დაწართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დავით სარაჯიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის #16 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: დავით ჭეიშვილი

წევრები:

ნონა ჩუბინიძე;
ნანა სონღულაშვილი;
მარინე ხუციშვილი;
მარიამ კუჭუხიძე;
მანანა ჯაყელი;
მზია დადვანი;
ელზა კუკავა;
ნინო მახარაშვილი;
თამარ ჩიმაკაძე;
კობა დეკანაძე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- დ. ჭეიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

---

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	დავით სარაჯიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის #16 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	209469109

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
იურიდიული მისამართი	სარაჯიშვილის გამზირი #9. 0153 თბილისი, საქართველო
ფაქტობრივი მისამართი	სარაჯიშვილის გამზირი #9. 0153 თბილისი, საქართველო
საფოსტო ინდექსი	0178
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	დაწესებულებას არ ააქვს ვებ - გვერდი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	tbilisi16@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	2621973; 2652563

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

---

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის, 2023 წლის 11 მაისის #MES 9 23 0000528734 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წლის 13 და 14 ივნისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო	I საფეხური (I – VI კლასები)	სახელმწიფო ენა (ქართული ენა)	სარაჯიშვილის გამზირი #9. 0178 თბილისი, საქართველო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
---

	პროგრამა;			
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	II საფეხური (VII – IX კლასები)	სახელმწიფო ენა (ქართული ენა)	სარაჯიშვილის გამზირი #9. 0178 თბილისი, საქართველო
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	III საფეხური (X – XII კლასები)	სახელმწიფო ენა (ქართული ენა)	სარაჯიშვილის გამზირი #9. 0178 თბილისი, საქართველო

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით“ განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის შესრულების შემოწმების მიზნით განხორციელდა ვიზიტი საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - დავით სარაჯიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N16 საჯარო სკოლაში.

ექსპერტთა ჯგუფი, ვიზიტის დაწყებამდე გაეცნო სკოლის თვითშეფასებას და თანდართულ დოკუმენტაციას. ჯგუფმა შეიმუშავა დღის წესრიგი, წარმოების ფარგლებში დამატებით გამოსათხოვი დოკუმენტაციის ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეცა ვიზიტამდე.

ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას.

დღის წესრიგით განსაზღვრულ დროს ჩატარდა ინტერვიუირება დაწესებულების წარმომადგენლებთან, კერძოდ: სკოლის დირექტორთან, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებთან, საგნობრივი კათედრების წარმომადგენლებთან, სკოლის ექიმთან და საქმისმწარმოებელთან.

ვიზიტი განხორციელდა ჰიბრიდული ფორმით. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის ექსპერტი იმყოფებოდა ადგილზე ვიზიტით, ხოლო დანარჩენ საგნობრივ ექსპერტებს დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუ .

აღიწერა და შეფასდა ოთხივე სტანდარტის ყველა კომპონენტი. სკოლამ უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა, თუმცა არასრულად. ექსპერტების მიერ გაიცა რჩევები, დაწესებულების წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს განმარტეს ზოგიერთი საკითხი. ექსპერტების მიერ, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბდა მიგნებები, რომლებიც ვიზიტის დასასრულს გაეცნო დაწესებულების წარმომადგენლებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ბერიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ყურაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

----

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	**v შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	**v შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	**v შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება **v მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება **v მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	**v შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	**v შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

----

კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება **v მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება **v მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	**v შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	**v შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**v შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	**v შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	**v შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

---

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 1100	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება V	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	სკოლის მატერიალური – ტექნიკური რესურსი არაა საკამარისი 1100 მოსწავლისთვის. კერძოდ სკოლაში არსებული ინდივიდუალური მერხები და სკამები არ შეესაბამება მოთხოვნილ რაოდენობას, სკოლას ააქვს 706 ერთეული მოსწავლის ინდივიდუალური მერხი და მისი შესაბამისი სკამი, თუმცა ინვეტარიზაციის დოკმენტების მიხედვით არის 748 მერხი და 734 სკამი. 1100 მოსწავლეს ესაჭიროება დაახლოებით 38 - დან 44 - მდე საკალასო ოთახი რისი რესურსიც სკოლის შენობას არ ააქვს. 1100 მოსწავლის მომსახურებას სკოლა შეძლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ იმუშავებს ორ ცვლაში. ინტერვიუს დროს სკოლის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ სასწავლო პროცესი სკოლაში იქნება ორ ცვლაში.

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, I საფეხური (I – VI კლასები);
ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, II საფეხური (VII –IX კლასები);
ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, III საფეხური (X – XII კლასები);

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ბერიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
		ხარვეზი არ დადგინდა
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
		ხარვეზი არ დადგინდა
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
		ხარვეზი არ დადგინდა
სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
		ხარვეზი არ დადგინდა

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი 3.1.2.3.	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და	სკოლამ ვაკანტური ადგილის შესავსებად საკონკურსო კომისიის შედგენისას გაითვალისწინოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს #174/ნ ბრძანებით

[1] გარდ მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ყურაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----

	გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;	დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობოს დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ მე - 5 მუხლი. სკოლამ წარმოადგინოს ცნობები „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლეობის შესახებ“ და „უფლების ჩამორთმევის შესახებ“ სკოლაში დასქმებულ პირებზე გაცემული.
ინდიკატორი 3.1.2.4.	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;	სკოლაში კადრების შერჩევის და მიღების დროს ყურადღება მიექცეს, რომ დაცული იქნეს ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობა.
ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლამ გაითვალისწინოს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა და დაუყოვნებლივ დაიწყოს დასკვნაში მითითებული ხარვეზების მოგვარებაზე ზრუნვა.
ინდიკატორი 3.5.1.3.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	სკოლამ პრობლემის სრულფასოვან მოგვარებამდე შეიმუშაოს ალტერნატიული გზა/გზები, რომ ეტლით მოსარგებლე პირებმა შეძლონ საერთო სარგებლობის სივრცეებში (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, საინფორმაციო ტექნოლოგიების ლაბორატორია, სპორტული დარბაზი და ა.შ.) მოხვედრა.
სტანდარტი 4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია***

სტანდარტი 2	**სასკოლო კურიკულუმი** **დაწყებითი საფეხური**	***სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ხერხეულიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
---

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი 3.1.1.1.	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული	სკოლამ ცალკე დოკუმენტად განსაზღვროს სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები
ინდიკატორი 3.1.1.2.	სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.	სკოლაში შემუშავდეს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკმენტი/დოკუმენტები.
ინდიკატორი 3.3.1.2.	იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;	სკოლის მიერ ერთ დოკუმენტში იქნეს აღწერილი და ინდტიფიცირებული სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები
ინდიკატორი 3.3.2.2.	უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.	სკოლამ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის #06/ნ ბრძანების საფუძველზე მრჩეველთა საბჭოში შეიყვანოს მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე და სამეურვეო საბჭოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
---

		თავმჯდომარე.
ინდიკატორი 3.4.1.5.	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;	ერთ დოკუმენტად შემუშავდეს პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები
ინდიკატორი 3.4.1.7.	სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.	ერთ დოკუმენტად შემუშავდეს სკოლაში დასაქმებული ადამიანებისა და მიმდინარე პროცესების უსაფრთხოების მექანიზმები.
ინდიკატორი 3.6.1.2.	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.	ერთ დოკუმენტად შემუშავდეს სკოლის მატერიალური და არამატერიალური რესურსებით ექსპლოატაციისა და სარგებლობის წესი
სტანდარტი 4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი 4.2.3.1.	სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;	სკოლაში არსებული დოკმენტაციის საფუძველზე ცალკე დოკუმენტად შეიქმნას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან/მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმი
ინდიკატორი 4.2,4,1.	სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;	სკოლამ შეიმუშაოს მართვის კოლეგიალურ ორგანოს/ორგანოებს და მომსახურების მიმღებს შორის ურთიერთობის შეთანხმებული წესი

სტანდარტი 2	**სასკოლო კურიკულუმი** **(დაწყებითი საფეხური)**	***რჩევა***
*ინდიკატორი **2.1.1.3.***	კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	სკოლამ სასკოლო კურუკულიუმების შემუშავების პროცესში აქტიურად ჩართოს მოსწავლეთა მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები
*ინდიკატორი **2.1.2.1.***	შემუშავებული კურიკულუმი/ები	საზოგადოებრივი მეცნიერებათა კათედრამ, კურიკულიუმის შემუშავებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ხელაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
---

	წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	დროს გაითვალისწინოს სამიზნე ცნებები და ქვეცნებებ. მათემატიკაში 1-3 კლასებში კომპლექსური დავალებები ჩაშენდეს.
ინდიკატორი 2.1.2.3.	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;	სკოლამ შექმნას იდივიდუალური სასწავლო გეგმა ფიზიკურ აღზრდასა ც სპორტში, სადაც გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა საჭიროებები. ჭადრაკში შემუშავებული იქნეს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
ინდიკატორი 2.1.2.4.	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;	სკოლამ ფიზიკურ აღზრდაში შეიმუშაოს გრძელვადიან მიზნებზ ორიენტირებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები ც რუბრიკები და ჩაშალოს თემების მიხედვით ტექნოლოგიებში შემუშავდეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები.
ინდიკატორი 2.2.1.2.	ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;	მათემატიკის საგნობრივმა, კათედრამ დაწყებით საფეხურზე შეიმუშაო კომპლექსური დავალებები ყველა კლასისთვის
ინდიკატორი 2.2.2.1.	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;	გამოკვეთონ დაწყებით საფეხურზე საგნობრივი კონტექსტები მეტი სიხშირით, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის სოციო-ემოციურ განვითარებას.
ინდიკატორი 2.2.2.3.	შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;	სკოლამ შეიმუშაოს ჭადრაკის შეფასების რუბრიკა და სხვა ინსტრუმენტებ
ინდიკატორი 2.2.2.4.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	(სასურველია შეფასების რუბრიკებში გამოიკვეთოს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები და სტანდარტის შედეგები.)
ინდიკატორი 2.3.1.1.	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;	მონიტორინგის მეთოდოლოგიის შემუშავების დროს გადადგას შემდეგი ნაბიჯები: გამოკვეთოს მიზნები და ამოცანები, თუ რა პრობლემის გადაჭრას ცდილობს კურიკულუმი, რა არის მისი მიზანი, რა ნაბიჯები გადაიდგმება, რა ინტერვენციები განხორციელდება ამ პრობლემის მოსაგვარებლად და როგორ დავრწმუნდებით, რომ კურიკულუმით წარმოებულმა პროცესებმა წარმატებით გადაჭრა პრობლემა;
ინდიკატორი 2.4.1.1.	იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;	- გაითვალისწინონ, რომ კურიკულუმის განვითარება გულისხმობდეს მუდმივ შესწავლას და რეფლექსიას.
სტანდარტი 2	**სასკოლო კურიკულუმი**	*რჩევა*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
---

	(საბაზო საფეხური)	
ინდიკატორი 2.1.2.2.	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);	ყველა კლასის კურიკულუმში ნათლად ჩანდეს კომპლექსური დავალების იდეა, სამიზნე ცნებები საკითხებთან მიმართებაში. სკოლამ წარმოადგინოს ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სადაც გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები.
ინდიკატორი 2.1.2.3.	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;	უფრო მკაფიოდ იყოს წარმოაჩენილი ადაპტირებული დავალებები ისგ - ში.
ინდიკატორი 2.1.2.4.	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;	სკოლამ შეიმუშაოს გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
ინდიკატორი 2.2.2.3.	შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;	სკოლამ დახვეწოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა რათა შეფასების სისტემა გახდეს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ვ. ბერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

---

---

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილია მისია: „ ვიზრუნოთ თითოეულ მოსწავლეზე, როგორც სრულყოფილ პიროვნებაზე, რათა მათ აღმოაჩინონ საკუთარი თავი და პოტენციალი, იყვნენ ისეთივე წარმატებულნი და მარადიული ღირებულებებით შემკულნი, როგორც ქართველი მამულიშვილი დავით სარაჯიშვილი“.
მისია შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. მასში ჩანს რომ სკოლა ორიენტირებულია თითოეულ მოსწავლეზე და აღიარებს „მარადიულ ღირებულებებს“. თუმცა სკოლას არ აქვს წარმოდგენილი მისიასთან ერთად სკოლის ხედვა. გამომდინარე ნათქვამიდან, ვერ დგინდება სკოლის ხედვის შესაბამისობა „განათლების ეროვნულ მიზნებთან“

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციად წარმოადგინა სკოლის ახალი მისია, ხედვა და ღირებულებები.
მისიაში ხაგზასმულია ხარისხიანი განათლების მიცემა მოსწავლეებისათვის, ასევე სკოლა აღიარებს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მქონე, ინიციატივიან, თავისუფალ მოქალაქეს, რომელიც შეძლებს სათანადო ადგილის დამკვიდრებას საზოგადოებაში და საკუთარი წვლილის შეტანას ქვეყნის განვითარებასა და წინსვლაში. ხედვა, რომელშიც ხაზგასმულია მოსწავლის შესაძლებლობებსა და ნიჭის გამოვლენა მათი მხარდაჭერა და გონებრივი, ფიზიკური თუ ემოციური განვითარება. ასევე სკოლა მოსწავლეებს უზრუნველყოფს ღირებული სასწავლო გამოცდილებითა და სწავლა/სწავლების ინოვაციური მეთოდებით; სასწავლო პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების, მრავალფეროვანი პროგრამებისა და ონლაინ-საგანმანათლებლო რესურსების გამოყენებით განუვითაროს მოსწავლეებს შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება, ხელი შეუწყოს ავტონომიურობასა და ინდივიდებთან თუ ჯგუფებთან ეფექტურ კომუნიკაციას; სკოლაში მიღებული გამოცდილება, უნარ-ჩვევები და კომპეტენციები მამოტივირებელი საშუალებაა მოსწვლეები ჩაერთონ ეროვნულ თუ საერთაშორისო პროექტებში.
სკოლის მიერ შერჩეული ღირებულებებია:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ბერიშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----

- საქმიანობის განხორციელებისას სამართლიანობის პრინციპის დაცვა;
- საკუთარი და სხვათა ღირსების პატივისცემა;
- იდეებისა და ინოვაციების განხორციელებისთვის ხელსაყრელი გარემოს უზრუნველყოფა;
- თანამშრომლობა, კომუნიკაცია და გუნდურობა

გამომდინარე ზემოთქმულიდან სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;

სკოლის მისიაში გაცხადებულია პიროვნულ განვითარებაზე ზრუნვა. სკოლა აღიარებს თითოეული მოსწავლის უნიკალურობას. სკოლას წარმოდგენილი არ აქვს სკოლის ხედვა, ამიტომ გაუგებარია და ვერ დგინდება როგორ წარმოუდგენია სკოლას მისი როლი, შექმნას სოციო - კულტურული სივრცე.

სკოლამ არგუმენტირებული პიზიციით წარმოადგინა ახალი მისია და ხედვა, სადაც ჩანს მისი როლი უსაფრთხო პიროვნული განვითარებაზე ორიენტირებული სოციოკულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;

სკოლამ წარმოადგინა კითხვარები, რომლის მიხედვით ჩანს, რომ მისის შემუშავებაში ჩართული იყო როგორც მასწავლებლები, ასევე მშობლები და მოსწავლეები. მტკიცებულებად წარმოდგენილი აქვთ თითო გამოკითხის ფურცელი (გამოკითხვა მიმდინარეობდა მატერიალური ფორმით, ფურცლების გამოყენებით) თუმცა შეხვედრისას სკოლამ წარმოადგინა გამოკითხვის ფორმები. სკოლის მიერ არაა წარმოდგენილი სკოლის ხედვა (წარმოდგენილია მხოლოდ სკოლის მისია და ღირებულებები). სკოლის წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს განაცხადეს, რომ წარმოდგენილი მისია არის სამუშაო ვერსია და ამჟამად მიმდინარეობა მუშაობა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების საბოლოო ვარიანტზე, რომელიც ახალი სასწავლო წლის დაწყების წინ იქნება შემუშავებული, დამტკიცებული და გასაჯაროებული.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა პედაგოგიური საბჭოს ოქმი N7. 08.09. 2023წ, სადაც ჩანს, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავდა მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების ჩართულობით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ყურაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----

სკოლას წარმოდგენილი არ აქვს სკოლის ხედვა. წარმოდგენილი მისია და ღირებულებები შედგენილია მასწავლებლის, მშობლებისა (მხოლოდ სამეურვეო საბჭოს წევრი მშობლების) და მოსწავლეთა ნაწილის გამოკითხვის ანალიზის შედეგად. სკოლამ ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ აღნიშნულ დოკუმენტებს გააზიარებს როგორც სოციალური გვერდის მეშვეობით, ასევე გამოაკრავს სკოლის სივრცეში თვალსაჩინოდ.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა პედაგოგიური საბჭოს ოქმი N7. 08.09. 2023წ, სადაც ჩანს, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია და მასწავლებელთა მსჯელობაში ჩანს, რომ ისინი იზიარებენ როგორც სკოლის ახალ მისიას, ასევე ხედვასა და ღირებულებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სკოლამ ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ 2023 - 2024 სასწავლო წლის დაწყებამდე შეიმუშავებენ სკოლის ხედვას (ამჯერად არ აქვთ შემუშავებული) და საჯაროს გახდიან სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების საბოლოო ვარიანტს. ვინაიდან ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს ვებ გვერდი, გაზიარებისა და საჯაროობისთვის გამოიყენებენ როგორც სკოლის სივრცეს (გამოაკრავენ თვალსაჩინოდ) ასევე გააზიარებენ სკოლის facebook გვერდზე სკოლის მისია და ღირებულებები წარამოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმის სამუშაო ვერსიაში.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა ვებ გვერდი (მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ გამოყოფილი სივრცე, სადაც გაზიარებულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

სკოლის სახელწოდება შეცვლილია 2016 წლის 16 აგვისტოს და იწოდება, როგორც „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დავით სარაჯიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №16 საჯარო სკოლა“. სკოლის აღნიშნული სახელწოდება დამტკიცებულია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 16 აგვისტოს №98/ნ ბრძანებით. გამომდინარე ნათქვამიდან სკოლის სახელწოდება შესაბამისობაშია მისი სტატუსის აღმნიშვნელ კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. „სკოლის ფილოსოფია“;

2. გამოკითხვის ფურცლები (კითხვარი) ფილოსოფიის შემუშავებაში ჩართულობის აღსანიშნავად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ბერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

---

---

3. დანართი 1.1 სკოლის ფილოსოფიისა აქტივობების განსახორციელებელი გრაფიკი სამუშაო ვერსია;

4. დანართი 1.2 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №98ნ 2016 წლის 16 აგვისტოს ბრძანება;

5. დანართი-1-სასკოლო-სასწავლო-გეგმის-სამუშაო-ვერსია.

6. დანართი 17. 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა

7. დანართი 3. სკოლის ვებ გვერდის მისამართი

8. დანართი N1 პედაგოგიური საბჭოს ოქმი

9. დანართი N5 სამეურვეო საბჭოს ოქმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

v შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

---

---

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
სკოლას წარმოდგენილი აქვს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომლითაც განსაზღვრულია, რომ სტრატეგიული გეგმის შედგენა ხდება წინა წლების გამოცდილების საფუძველზე. (სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, მუხლი 2). ინფორმაციის შეგროვება ხდება სკოლის პერსონალის, ბენეფიციარებისა (მშობლები, მოსწავლეები) და სხვა დაინტერესებული პირებისაგან. ინფორმაციის შეგროვებისთვის იყენებს თვისებრივ და რაოდენობრივ მეთოდებს, როგორიცაა: სასწავლო პროცესის მონაწილეთა გამოკითხვა, ინტერვიუ და სხვა. ინფორმაციის დამუშავების შემდეგ დირექტორი აქტიურ კომუნიკაციას ამყარებს სასკოლო საზოგადოებასთან და სამეურვეოს საბჭოსთან და მათ რეკომენდაციებს ასახავს დასკვნით დოკუმენტებში. (სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. მუხლი 3);
ამ ნაწილში სკოლას მხოლოდ გამოკითხვის ფორმა აქვს წარმოდგენილი, რომლის მიზანიც იყო სასკოლო საზოგადოების ინტერესების გამოვლენა. წარმოდგენილი შევსებული კითხვარებიდან ჩანს, რომ გამოიკითხა მასწავლებლები, სამეურვეო საბჭოს წევრი მშობლები და მოსწავლეთა ნაწილი. სკოლას არ წამოუდგენია გამოკითხვის ანალიზი სტატისტიკური ან ნარატიული ფორმით. ამიტომ გაუგებარია რამდენადაა გათვალისწინებული მათი ინტერესები სტრატეგიული გეგმის შედგენისას.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. მასში სკოლა აცხადებს რომ სტრატეგიული დაგეგმვისას ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას, ადამიანურ რესურსებს, ასევე აანალიზებს სუსტ და ძლიერ მხარეებს, საკუთარ შესაზლებლობებსა და საფრთხეებს და მხოლოდ ამის შემდეგ განსაზღვრავს განვითარებისმიამრთულებებს და მიზნებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიულ გეგმის ნიმუში არის შვიდწლიანი (დანართი 33) იგი არის ციკლური ხასიათის და ეფუძნება სკოლის მისიას და ღირებულებებს, თუმცა რადგან სკოლას წარმოდგენილი არ აქვს სკოლის ხედვა, გაუგებარია სგრატეგიული

გეგმის შესაბამისობა იმ 12 სტრატეგიულ მიზნთან, რომელიც წარმოდგენილი სკოლის მიერ. ასევე ვერ დგინდება ეფუძვნება თუ არა სტრატეგიული გეგმა სკოლის ხედვას.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციად წარმოადგინა 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც ციკლურია. იგი ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. კერძოდ. მასში გათვალისწინებული მიმართულებებია:

- სასწავლო პროცესი;
- სასკოლო დოკუმენტაცია და სკოლის ორგანიზაციული განვითარება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- უსაფრთხო გარემო;
- მშობელთა ჩართულობა;
- სწავლებისა და აღზრდის პროცესის მასტიმულირებელი ბერკეტები

სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრულია 6 მიზანი:

1. სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება
2. სასკოლო დოკუმენტაციის შემუშავება/განახლება და ორგანიზაციული განვითარება
3. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება
4. უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა
5. მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობა და საჯაროობის უზრუნველყოფა
6. სკოლის ორგანიზაციული განვითარება და მასტიმულირებელი ბერკეტები სწავლებისა და აღზრდის საქმეში

ასევე ამ მიზნების შესაბამისი ამოცანები

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი, რომლის სათაურია „2022 – 2023 სასწავლო წლის სკოლის განვითარების სტრატეგიული ერთწლიანი გეგმა“ რომელიც ვერ დაეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას, რადგან იგი გასული სასწავლო წლისაა. მასში არ ჩანს რამდენადაა კავშირში ერთწლიანი გეგმა სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებასთან. სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ სკოლა ამჯერად მუშაობს შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაზე და მის პარალელურად 2023 – 2024 სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაზე,რომელიც გამომდინარე იქნება სტრატეგიული გეგმიდან და დამტკიცდება ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე; ამჯერად წარმოდგენილი სტრატეგიული გემა არ არის საბოლოო და არის სამუშაო ვერსია. 2022 - 2023 სასწავლო წლის ერთწლიანი განვითარების გეგმა სკოლას წარმოდგენილი აქვს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ბერიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

სკოლის მიერ წარმოდგენილ გასული სასწავლო წლის (2022 – 2023 სასწავლო წელი) ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია ამოცანები, მიმართულებები, პასუხისმგებელი პირები და ვადები. თუმცა გეგმას არ ახლავს შეფასების ინდიკატორები, და იმ რესურსების ჩამონათვალი, რითაც სკოლა გეგმას მიზნების მიღწევას. ამიტომ ვერ დგინდება რამდენად რეალისტურია მათი უზრუნველყოფა. სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში თვითშეფასების დოკუმენტის წარდგენის მომენტში არ ჰქონდათ მზად ახალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომელზეც მუშაობა ამჟამადაც მიმდინარეობს (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე დამტკიცებული იქნება).

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციისას წარმოადგინა ახალი 2023-24 სასწავლო წლის ერთწლიანი გეგმა, სადაც გათვალისწინებულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები. წარმოდგენილი გეგმის მიხედვით მიზნებისა და ამოცანების უზრუნველყოფაც რეალისტურია.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი 33. ნიმუში. სტრატეგიული გეგმის ნიმუში;

2. დანართი 34. ნიმუში ერთწლიანი სამოქმედო გეგმის.

3. დანართი 4 სტრ.განვითარების მეთოდოლოგია

4. დანართი 18. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ყურაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

----

----

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს ზოგად დებულებებს, დაგეგმვის მეთოდოლოგიას, ინფორმაციის შეგროვებს/ანალიზს, მისიის ხედვის და მიზნების შემუშავებას, ამოცანების ფორმირებას, სამოქმედო გეგმის შემუშავებას, შესრულების მონიტორინგს, SWOT ანალიზს, სტრატეგიული განვითარების გეგმაში აღწერილი აქტივობების შესრულების მონიტორინგს, ერთწლიან სამოქმედო გეგმაში აღწერილი აქტივობების შესრულების მონიტორინგს და დასკვნით დებულებებს. მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, რომ „პროცესის სრულყოფილად წარმართვაზე პასუხისმგებელია სკოლის დირექცია, რომელიც აკადემიურ პერსონალთან, დასაქმებულებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციების შედეგად მიღებული უკუკავშირების გათვალისწინებით აყალიბებს მიზნებისა და ღირებულებების საბოლოო რედაქციას“ (სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. მუხლი 4. პუნქტი 5) სტრატეგიის შესრულების მონიტორინგის მექანიზმად განსაზღვრულია დაკვირვება და შეფასება და ახორციელებს სკოლის დირექცია;
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
წარმოდგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, სამეურვეო საბჭოს ფუნქციებში შედის სტრატეგიული და/ან სამოქმედო გეგმის აქტივობების შესრულების მონიტორინგის განხორციელება. იმდენად რამდენადაც სკოლას ჯერ არ დაუწყია, 2023 – 2024 სასწავლო წელი, წარმოდგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, ჩვენს ვიზიტამდე, ვერ განახორციელებდა ვერანაირ აქტიობას, რომელიც მითითებულია წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში, თუმცა სკოლას ამის მზაობა აქვს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ბერიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----
----

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;

იმდენად რამდენადაც სკოლის მიერ არაა განხორციელებული სასწავლო პროცესი ახალი სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით და სამოქმედო გეგმაც კი არ ააქვთ შედეგების საჯაროობაზე ვერ ვიმსჯელებთ, რის გამოც ინდიკატორის შესრულება არ შესრულებაზე გადაწყვეტილებას ვერ მივიღებთ.

თუმცა აღსანიშნავია, რომ სკოლის სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობა სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში არ ჩანს, სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა აპირებს მეთოდოლოგიის გასაჯაროვებას როგორც სოციალური ქსელით, ასევე საინფორმაციო დაფაზე გამოკვრის გზით;

გაიცა რჩევა: სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში გათვალისწინებული იქნეს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობა

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციისას წარმოადგინა სტრატეგული განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც გათვალისწინებულია სტრატეგული და ერთწლიანი გეგმების განხორციელების შედეგების გასაჯაროვება.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

სკოლამ საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დასადგენად გააკეთა SWOT - ანალიზი, ასევე გამოკითხვის შედეგად დაადგინა შესაძლებლობები და საფრთხეები, რომლის შედეგებიც უკვე გაანალიზებულია. სასწავლო წლის განმავლობაში, გამოიკითხა სასკოლო საზოგადოება (პედსაბჭო). სკოლა გეგმავს კითხვარის შედეგები ასახოს სამოქმედო გეგმაში. იმდენად რამდენადაც სკოლას ჯერ არ დაუწყია, 2023 – 2024 სასწავლო წლი, ჩვენი ვიზიტის დროს, ვერ ექნებოდა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების ანალიზი, რომელსაც გამოიყენებდა სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ბერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

----

----

1. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, ჩართულობა ფილოსოფიის შემუშავებაში;
2. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. მუხლი 7. პუნქტი 3 და 4;
3. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. მუხლი127. პუნქტი 1.
4. დანართი 4 სტრ.განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

v შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

სკოლას წარმოდგენილი აქვს სტრუქტურული ერთეულების/პირების თანამდებობრივი ინსტრუქციები. კერძოდ შემდეგი პირების: სკოლის დირექტორის მოადგილის, ბიბლიოთეკარის, ბუღალტრის, დამლაგებლის, კლასის დამრიგებლი, დარაჯის, ინკლუზიური განათლების პედაგოგის (აქ არასწორი ტერმინია ნახმარი, უდა იყოს „სპეციალური მასწავლებელი“),

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
---

მასწავლებლის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის, საინფორმაციო მენეჯერის, საქმისმწარმოებლის. ასევე წარმოდგენილი აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც საჭიროებს რედაქტირებას (გაპარულია ტექნიკური ხარვეზები.). მათში ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს სკოლის სტრუქტურა, რომელიც მოიცავს სკოლაში არსებულ ყველა სტრუქტურულ ერთეულსა და პირს.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი სკოლის სტრუქტურა არაა შესაბამისობაში საქართველოს კანონონის „ზოგადი განათლების შესახებ“ 35 - ე მუხლის მეორე პუნქტთან, რომლის მიხედვითაც „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურა მოიცავს პედაგოგიურ საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, დირექციას, მოსწავლეთა თვითმმართველობას და დისციპლინურ კომიტეტს. დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილებების გასაჩივრების მიზნით შეიძლება წესდებით გათვალისწინებული იყოს სააპელაციო კომიტეტის არსებობა.“. სკოლაში ვიზიტის დროს სკოლის ხელმძღვანელობასთან შეხვედრისას გაირკვა, რომ მათ აქვთ მზაობა სკოლის სტრუქტურა შესაბამისობაში მოიყვანონ მოქმედ კანონმდებლობასთან, ხოლო ამჯერად ისინი მოქმედებენ სკოლის წესდებით;

გაიცა რჩევა: სკოლამ ცალკე დოკუმენტად განსაზღვროს სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციებში პასუხისმგებლობები განაწილებულია, გამიჯნულია ერთმანეთისგან და კონკრეტულად ჩანს ვინ რაზეა პასუხისმგებელი მაგალითად:

სკოლის დირექტორის მოადგილის ფუნქციებში გაწერილია სკოლაში ინოვაციების დანერგა, სწავლა - სწავლების მონიტორინგი, კათედრების კოორდინირებული მუშაობის ხელშეწყობა, სადამრიგებლო პროგრამების განხორციელების შეფასება, მოსწავლეთა თვითმმართველობის მხარდაჭერა და ა. შ.

ბიბლიოთეკარი ვალდებულია - წიგნიერების დონის ამაღლების ხელშეწყობაზე;

ბუღალტერი - მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში ხარჯავს სახსრებს სწავლების ხელშესაწყობი რესურსების შეძენისთვის;

დამრიგებლები - უზრუნველყოფენ მოსწავლეებში 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევების გამომუშავებას;

სპეციალური მასწავლებლის ფუნქციებში შედის - სსსმ მოსწავლეთა ინტეგრირების ხელშეწყობა და საგაკვეთილო პროცესში სსსმ მოსწავლეების ჩართულობა;

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი - პასუხისმგებელია სკოლის შენობის და სასკოლო ქონებისა და ინვენტარის (მერხები, სკამები, კომპიუტერები. მაგიდები, კარადები. და ა.შ.) მოვლა პატრონობაზე, სასწავლო პროცესის მატერიალურ ტექნიკურ უზრუნველყოფაზე;

სკოლის საინფორმაციო მენეჯერი - ვალდებულია აქტიური მონაწილეობა მიიღოს სკოლის განვითარების დაგეგმარებაში, კოორდინირება გაუწიოს სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების გეგმის განვითარებასა და განხორციელებას, ასევე სკოლის ისტ-ის ინფრასტრუქტურის

(პროგრამული უზრუნველყოფა, ტექნიკური უზრუნველყოფა, ქსელი) მოვლასა და განახლებას და ა.შ. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საბოლოო ჯამში ყველაფერი ემსახურება საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხიან განხორციელებას. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული, სკოლის ტიპური წესდება. სკოლაში შექმნილია „ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი“, რომელსაც აქვს შესაბამისი დებულება. თუმცა არაა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკმენტი ან დოკმენტები. საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ მათ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკმენტზე ნაფიქრი აქვთ და იდეის დონეზე დამუშავებულიც. სკოლის დირექციის განცხადებით ახალი 2023 – 2024 სასწავლო წლის დასაწყისისთვის სკოლას ექმება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკმენტი.
გაიცა რჩევა: სკოლაში შემუშავდეს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკმენტი/დოკმენტები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის ბრძანება #448;

2. დოკუმენტი, პირების - ფუნქცია მოვალეობები;

3. დოკუმენტი, სკოლის სტრუქტურა ;

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ყურაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----
----

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;

სკოლაში, პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლის შინაგანაწესი, სადაც განსაზღვრულია პერსონალის სამუშაო კვირის ხანგრძლიობა, სამუშაო დროის აღრიცხვის პირობები, სამუშაო ადგილზე დაგვიანებით გამოცხადებისა და გამოუცხადობლობის შემთხვევაში შეტყობინების წესი, შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი, ანაზღაურებადი, ანაზღაურების გარეშე, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, შრომის პირობების დაცვის წესები , დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი, დასაქმებულის მიერ დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები, დასაქმებულთა (გარდა მასწავლებლების) დისციპლინური გადაცდომის განხილვაზე უფლებამოსილი ორგანო და დისციპლინური წარმოების წესი, მასწავლებლის დისციპლინური წარმოების წესი, სახდელის დაკისრება ერთზე მეტი გადაცდომის ჩადენის დროს, დასაქმებულის მატერიალური პასუხისმგებლობა, განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმები, შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვა და სამუშაოსთვის დამახასიათებელი მოთხოვნები. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება აღნიშნული შინაგანაწესის შესაბამისად. შინაგანაწესი დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ;

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა, რის დასტურათაც წარმოდგენილი აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომელიც მოიცავს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზნებს და სტრატეგიას, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ამოცანებს, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარებას, ადამიანური რესურსების მართვას, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებას, სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვას. დოკუმენტში აღწერილია პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნები და საშუალებები, რომელიც დაფუძნებულია თანამშრომლობაზე;

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
---
---

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;

სკოლას წარმოდგენილი აქვს 2022 წლის 1 სექტემბრის ბრძანება N2-198, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში ვაკანტური საათების შესავსებად ღია კონკურსი გამოცხადების, კანდიდატთა განცხადებების მიღების ვადებსა და პირობებს. ვაკანსია ეხება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის, მეორე უცხოური ენის (იტალიური) და დაწყებითი კლასების მასწავლებელთა ვაკანსიებს. კომისია შექმნილია მოქმედი კანონმდებლობის ნაწილობრივ დაცვით, რაც გამოიხატება შემდეგში: ობიექტურობის მიზნით კომისია შედგება 7 წევრიგან, რომელთა შორის არიან სკოლის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დარგობრივი დეპარტამენტის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლები, რაც დასტურდება სკოლის დირექტორის 2022 წლის 1 სექტემბრის ბრძანება N2-196-ით. კომისიაში არაა გათვალისწინებული დარგობრივი პროფესიული კავშირის წარმომადგენელი და დამოუკიდებელი სპეციალისტი (გარეშე პირი). არაა მითითებული, რომ განცხადება საჯაროობის მიზნით განთავსდეს ვებ - გვერდზე teachrs.gov.ge, სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შემდეგ გაირკვა, რომ მათ განცხადება კონკურსის შესახებ გამოქვეყნებული ქონდათ მითითებულ ვებ - გვერდზე. სკოლას არ ააქვს ცალკე დოკმენტის სახით შემუშავებული კონკრეტულ პოზიციაზე განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები;

სკოლის პერსონალს არ აქვს წარმოდგენილი ცნობები: „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლეობის შესახებ“ და „უფლების ჩამორთმევის შესახებ“, აღნიშნული ცნობების არსებობა სავალდებულოა, საქართველოს კანონით „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც აღნიშნული ცნობების წარმოდგენის ვადებია 15.09.2023-03.11.2023.

სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლეობის შესახებ“ და „უფლების ჩამორთმევის შესახებ“ ცნობები სკოლაში უნდა ყოფილიყო 2023 წლის 15 სექტემბრისთვის თუმცა დღევანდელი მდგომარეობით არაა წარმოდგენილი.

რეკომენდაცია:

1. სკოლამ ვაკანტური ადგილის შესავსებად საკონკურსო კომისიის შედგენისას გაითვალისწინოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს #174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ მე - 5 მუხლი;
3. სკოლამ წარმოადგინოს ცნობები „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლეობის შესახებ“ და „უფლების ჩამორთმევის შესახებ“ სკოლაში დასქმებულ პირებზე გაცემული.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **მეტწილად შეესაბამება**

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ყურშული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

---

სკოლას წარმოდგენილი აქვს მასწავლებელის პირადი საქმე. სკოლაში ვიზიტისას შემოწმდა სკოლის პერსონალის პირადი საქმეები. სკოლის პერსონალის კვალიფიკაცია გარდა სკოლის ექიმისა შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. სკოლის ექიმის კვალიფიკაცია წინააღმდეგობაშია „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ - ის“ მე - 2 მუხლის, მე - 2 პუნქტს. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს გაირკვა, რომ სკოლის ექიმის ვაკანტურ ადგილზე გამოცხადებული კონკურსის შემდეგ მითითებული მოთხოვნების შესაბამისი კადრის შერჩევა/მოზიდვა ვერ მოხერხდა.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციისას წარმოადგინა სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს წერილი, რითაც სკოლის ექიმს აქვს უფლება გადამზადდეს საექიმო სპეციალობაში „საოჯახო მედიცინა“. სკოლამ ასევე წარმოადგინა საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრის ცნობა, რითაც დასტურდება, რომ სკოლის ექიმი ამჯერად გადის გადამზადების ექვსთვიან კურსს. შესაბამისობის გეგმის მიხედვით აღნიშნული ხარვეზის გამოსწორების ვადაა 26.06.2023-26.06.2024 წელი.

რეკომენდაცია:

სკოლაში კადრების შერჩევის და მიღების დროს ყურადღება მიექცეს, რომ დაცული იქნეს ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობა.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **მეტწილად შეესაბამება**

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

სკოლას წარმოდგენილი აქვს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის სხდომის ოქმები, ოქმებში აშკარად ჩანს სკოლის მასწავლებელთა და დირექციას შორის ჯანსაღი თანამშრომლობა. ჯანსაღ თანამშრომლობას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ სასკოლო კურიკულუმები შექმნილი იყო ერთობლივად. მასწავლებლები ერთობლივად მონაწილეობდნენ სკოლის მიერ წარმოებულ გამო0კითხვებში. სკოლას წარმოადგინა ერთობლივად დაგეგმილი გაკვეთილების გეგმები. საერთო ჯამში დასტურდება, რომ სკოლაში დამკვიდრებულია თანამშრომლობითი გარემო;

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

სკოლის შინაგანაწესში გაწერილია/დადგენილია თანამშრომელთა წახალისებისა და წარმატების აღიარება/გაზიარების მექანიზმები. სკოლა ყველა წარმატებას აზიარებს სკოლის facebook გვერდზე. ასევე სკოლას წარმოდგენილი აქვს 2023 წლის 12 აპრილის ბრძანება N3/1-44, საიდანაც ჩანს, რომ სკოლამ ფულადი პრემიით წაახალისა მასწწავლებლები და თანაშრომლები აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.სკოლის შინაგანაწესი 2022-2023 სასწავლო წელი (დანართი-2);

2. პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ;

3. ღია კონკურსის, ვადებისა და პირობების განსაზღვრის შესახებ ბრძანება N2-198;

4. პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;

5. კონკურსის წესის დამტკიცების ბრძანება N2-11;

6. მასწავლებლის პირადი საქმეებით;

7. პრემიის გაცემის შესახებ ბრძანება;

8. დანართი - 94.1;

9. დანართი - 94.2;

10. შრომითი ელშეკრულებები და დანიშვნის აქტები;

11. პერსონალის პირადი საქმეები;

12. დანართი 6. თანხმობის წერილი

13. დანართი 7. -ცნობა-6თვიანი-კურსის-გავლის-შესახებ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

v მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ხურციძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

----

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
სკოლას წარმოდგენილი აქვს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ოქმების სია, რომლის დღის წესრიგებშიც იკითხება, რომ იგეგმება ღონისძიებები (ოქმი N1. 2.12.2020 ოქმი N3 12.10.2021) და იხილება ჯგუფის მუშაობა (ოქმი N2 10.02.2021 ოქმი N2 17.06.2022) აღნიშნული ჯგუფი საქმიანობის ფარგლებში მონიტორინგს უწევს, როგორც საგაკვეთიულო პროცესს და ესწრება მასწავლებლებს გაკვეთილებზე, ასევე მონიტორინგს უწევს კურიკულუმებსაც და მის შესრულებას. ამ დოკმენტებიდან შესაძლებელია დადგინდეს თუ როგორ ახერხებს სკოლა პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენას. სკოლას ცალკე დოკმენტის სახით არ აქვს შექმნილი, პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას განაცხადეს, რომ იმუშავებნ აღნიშნული დოკმენტის შექმნაზე;
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტში გაწერილია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების გზები (ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები), რომლებიც ეფუძვნება ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ---

მიერ გამოვლენილ საჭიროებებს, აღნიშნული საჭიროებები გამოვლენილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების, მიღებული შედეგების ანალიზისა და შეფასების შემდეგ;
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;

პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია, რომ სკოლა ორიენტირებულია პერსონალის კარიერულ ზრდაზე; დოკუმენტი მოიცავს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზნები და სტრატეგიას, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ამოცანებს, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარებას, ადამიანური რესურსების მართვას. ცალკე თავად არის გაწერილი მასწავლებელთა პროფესიული განვითარება და ხარისხის მართვა. ამიტომ ვასკვნით, რომ სკოლა პერსონალის კარიერულ ზრდაზეა ორიენტირებული;
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

სკოლის წარმომადგენლებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ სკოლის ადმინისტრაცია მაქსიმალურად ცდილობს ხელი შეუწყოს და უზრუნველყოს თანამშრომლების იტეგრაციას სამუშაო გარემოსთან, რისთვისაც ცდილობს კეთილმოაწყოს სამუშაო სივრცეები, ამ დროს გაითვალისწინოს თანამშრომლების ხედვები, მოსაზრებები, ფიზიკური შესაძლებლობები, შეუქმნას მათ ისეთი საკოლო გარემო რომელშიც მათი საქმიანობა იქნება ეფექტური;
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

სკოლის თანამშრომლებთა იჭტერვიუს დროს გაირკვა, რომ სკოლის ხელმძღვანელობა ახალისებს პერსონალის მიერ განვითარებაზე გადადგმულ ნაბიჯებს, რაც აისახება სიტყვიერი, თუ მატერიალური წახალისების ფორმებით, მაგალითად საპატიო სიგელების გადაცემით, შიდა ადმინისტრაციული აქტის გამოცემით და ა. შ. აღნიშნულის შედეგია, რომ სკოლას რამდენიმე მასწავლებელი ყავს წარდგენილი მასწავლებლის სტატუსის (წამყვანი და მენტორი) ამაღლებაზე.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკმენტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ყურშილა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----
----

2. ადამიანური რესურსების მართვასთან და განვითარებასთან დაკავშირებული აქტივობები;

3. დანართი-94 ხარისხის ჯგუფის ოქმების სია;
4. დანართი-94.1;
5. დანართი-94.2.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

v **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ბერიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----
----

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;

სკოლის წარმომადგენლებთა ინტერვიუს დროს გაცხადებულ იყო, რომ სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით, აღნიშნულის განხორციელების პროცესში ჩართულია სკოლის თითეული სტრუქტურული ერტეული, მათი ქმედება მიმართულია სკოლის მისიის და მიზნების შესრულებისკენ რომელიც მიმდინარეობს ციკლურად: ერთობლივი დაგეგმვა, დანერგვის პროცესში თვითდამკვიდრება, ურთიერთდაკვირვება, შეხვედრებზე რეკომენდაციების გაცემა, ხარვეზებზე ინტერვეციების ძიება, პროცესზე დაკვირვების მონიტორინგი, საგნობრივი კათედრების მიერ მიღწეული შედეგების შეფასება, დასკვნების გაკეთება პრობლემის გამოკვეთის მიზნით და მის მოგვარებაზე ორიენტირებული აქტივობების დაგეგმვა;

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

სკოლის წარმომადგენლები განმარტავენ, რომ მათ მიერ იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები, რომლის გაუმჯობესებაზეც სისტემატიურად ზრუნავენ, რაც ასახული იქნება სკოლის სტრატეგიულ (შვიდწლიან) და სამოქმედო (ერთწლიან) გეგმებში. თუმცა ამჟამად აღნიშნული ინფორმაცია გაბნეულია სკოლაში არსებულ სხვადასხვა დოკუმენტში;

გაიცა რჩევა: სკოლის მიერ ერთ დოკუმენტში იქნეს აღწერილი და ინდტიფიცირებული სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

სკოლაში თანამშრომელთა მხრიდან მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება გაწერილია სკოლის წესდებაში (მუხლი 15), სადაც აღნიშნულია, რომ სკოლის მოსწავლეს, მასწავლებელსა და მშობელს უფლება აქვს წერილობითი საჩივრით მიმართოს დირექტორს ორი კვირის განმავლობაში, რაც მისთვის ცნობილი გახდა უფლების დარღვევუის შესახებ. სკოლის დირერქტორი საჩივრის შეტანიდან 2 კვირის განმავლობაში იხილავს საჩივარს. მისი ქმედება/უმოქმედობა შეიძლება გასაჩივრდეს სამეურვეო საბჭოში, რომელიც 1 თვის ვადაში იხილავს აღნიშნულ საჩივარს. სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, რითაც დასტურდება, რომ სკოლის მოსწავლეებმა ჩათვალეს მათი სემესტრული შეფასება არაობიექტური იყო და მოითხოვეს სემესტრული გამოცდა. სკოლამ მათი მოთხოვნა დააკმაყოფილა. (ბრძანება N2-38. 2019 წლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ბერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

---

---

10 იანვრის ოქმი,) ასევე სკოლამ წარმოადგინა დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმი N3 02.06.2017წ. სადაც განხილულია მასწავლებლის შესაძლო დისციპლინური გადაცდომა. შესაძლებელია დავასკვნათ, რომ რეალურად სკოლას აქვს გასაჩივრების მექანიზმი და იყენებს კიდეც მას;

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლის წესდება, რომელიც არის ტიპური დოკუმენტი და დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით. დოკუმენტში გაწერილი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები, რომელიც საშუალებას იძლევა დაცულნი იყვნ ისინი არაობიექტური ან მიკერძოებული მიდგომებიგან და გადაწყვეტილებებიგან. სკოლას არ ააქვს შემუშავებული, პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის, საკუთარი მექანიზმები, რომლიც, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, მორგებული იქნებოდა სკოლის საზოგადოებაზე.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი 120. სკოლის წესდება;
2. დანართი 130. სემესტრული გამოცდის კომისის სხდომის შექმნისოქმი-N1;
3. დანართი 129. სემესტრული გამოცდის კომისის სხდომის ოქმიN2;
4. დანართი127. სემესტრული გამოცდების კომისის-შექმნა;
5. დანართი128. სემესტრული გამოცდის განცხადების ნიმუში;
6. დანართი131. სემესტრული გამოცდის შედეგების-დამტკიცება;
7. დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმი N3 02.06.2017წ.;
8. ბრძანება N2-38. 2019 წლის 10 იანვრის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ყურაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

სკოლას წარმოდგენილი აქვს მე-3ა კლასის 2022 წლის 15 აპრილის მშობელთა კრების ოქმი, საიდანაც დასტურდება, რომ მშობლები გაეცვნენ სკოლის შინაგანაწესს. ასევე სკოლის დირექტორის 2020 წლის 7 დეკემბრის №/1-77-ით დასტურდება, რომ სკოლას ჰყავს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლა ინფორმაციის გავრცელებას ასევე ახდენს სკოლის facedbook გვერდის მეშვეობით. ასევე შექმნილი აქვს დახურული ჯგუფები კლასებისთვის, სადაც მარტივად ხდება მშობელთა ინფორმირება და მათი უკუკავშირის მიღება. სკოლას არ ააქვს შემუშავებული მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

სკოლაში კოლეგიალურ ორგანოებში პედსაბჭო, სამეურვეო საბჭო, მრჩეველთა საბჭო, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, დისციპლინური კომიტეტი ჩართულია სასკოლო საზოგადოების წევრები მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები (გარდა მრჩეველთა საბჭოსი)

გაიცა რჩევა: სკოლამ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის #06/ნ ბრძანების საფუძველზე მრჩეველთა საბჭოში შეიყვანოს მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე და სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ბერიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი 109 მშობელთა კრების ოქმი ზოგადი;
2. საჯარო ინფორმაციის ხელმოსაწვდომობის უზრუნველყოფისა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანება N კ.1-77 ;
3. მე-3ა კლასის 2022 წლის 15 აპრილის მშობელთა კრების ოქმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

v შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
---

7.სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;

სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლის დირექტორის 2022 წლის 13 სექტემბრის ბრძანება N2-227, სადაც დასტურდება რომ გამოყოფილია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი. ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მიზნით სკოლის შიდა სივრცე აღჭურვილია ვიდეო სათვალთვალო კამერებით. ასევე სკოლას ჰყავს 3 მანდატური და ექიმი. სკოლის ექიმის კვალიფიკაცია არ შეესაბამება არც ერთ ქვემოთ ჩამოთვლილს.

ა) „პედიატრია;

ბ) „საოჯახო მედიცინა;

გ) „ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი.

სკოლა შემოსაზღვრულია ღობით და ჰყავს დარაჯები. სკოლას ამ ეტაპზე აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის დამტკიცებული გეგმა (დირექტორის ბრძანება N2-609. 01.12.2016 წ), თუმცა ასევე წარმოდგენილი აქვს სკოლის დირექტორის 2023 წლის 29 მაისის წერილი, რითაც მათ მიმართეს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსს, დახმარების აღმოჩენის მიზნით. სკოლას არ აქვს:

1. შემუშავებული ფიზიკური დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები;
2. უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
3. დასკვნა და მიწერილობა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ
4. შენობა ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციისას წარმოადგინა დავით სარაჯიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N16 საჯარო სკოლასა და შპს სახანძრო კონტროლს შორის 2023 წლის 7 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის საგანია სახანძრო უსაფრთხოების სისტემების მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურეობის შესყიდვა.

სკოლამ ასევე წარმოადგინა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ სადაც ნათქვამია: „ქ. თბილისში სარაჯიშვილის გამზირი N9-ში მდებარე (ს/კ 01.11.05.035.(035.009) N16

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ხელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

----

საჯარო სკოლის ვიზუალური გამოკვლევის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. თუმცა სეისმურ ნორმებთან შეუსაბამო. დაზიანებები ძირითადად გამოწვეულია ასაკობრივი ცვეთით და ტექნიკური მოუვლელობით. ამ ეტაპზე შენობის მდგრადობას საფრთხე არ ემუქრება, თუმცა კვლევით ნაწილში მოცემულია საკითხები, რომლებიც დაუყოვნებლივ რეაგირებას მოითხოვს. კერძოდ სახურავის და სარდაფის ნაწილში წყობის ჩამონგრევის საფრთხე, ეროზირებული ბეტონისა და კოროზირებული არმატურის დამუშავება. კვლევაში მოცემული რეკომენდაციის მიხედვით ასევე შენობის შემდგომი ხანგრძლივი ექსპლოატაციისათვის საჭიროა გაძლიერებითი სამუშაოების ჩატარება, რითაც მისი სეისმომედეგობა გაცილებით გაიზრდება. კერძოდ მეოთხე სართულზე შუალედლისების გარსაკრში ჩასმა, განივ კედლებს შორის მანძილების შემცირების მიზნით. განივი ჩარჩოებისა და კედლების მოწყობა შესაბამისი საძირკვლებით. ასევე საჭიროა განხილულ იქნეს შენობის მეოთხე სართულის სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება“.

სკოლამ ასევე წარმოადგინა ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი, სამედიცინო და ჰიგიენური დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

შესაბამისობის გეგმის მიხედვით აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრის ვადებად სკოლამ განსაზღვრა 26.06.2023-10.06.2024 წ.

რეკომენდაცია: სკოლამ გაითვალისწინოს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა და დაუყოვნებლივ დაიწყოს დასკვნაში მითითებული ხარვეზების მოგვარებაზე ზრუნვა.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **მეტწილად შეესაბამება**

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა უზრუნველყოფილია. ეს იგრძნობა სკოლის შენობაში შესვლის მომენტიდან. ხდება ვიზიტორების აღრიცხვა, გამოყოფილია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი, სკოლის შენობა შიდა პერიმეტრზე აღჭურვილია ვიდეოსამეთვალყურეო კამერებით, სკოლაში ფუნქციონირებს მანდატურის სამსახური, სკოლის ტერიტორია შემოსაზღვრულია ღობით, სკოლაში არის დარაჯები, სასწავლო პროცესის მსვლელობის დროს ხორციელდება მასწავლებლების მორიგეობა. ჩამოთვლილი ნათლად მიგვანიშნებს იმაზე, რომ თვითეული მათგანი ორიენტირებულია იზრუნოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე. სკოლას არ აქვს შემუშავებული საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები, თუმცა, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ საზოგადოებრივი წესრიგი მაქსიმალურადაა დაცული;

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

სკოლაში მოქმედებს სოციალური სამსახურის პროექტი, რომელიც მიმართულია მოსწავლეთა ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველსაყოფად. სკოლას წარმოდგენილი აქვს სოციალური სამსახურის მიერ შექმნილი დოკუმენტი, რომელიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ბერიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----

მოიცავს იმ სამუშაოთა ჩამონათვალს, რაც ხორციელდება სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შესაქმნელად. თავად სკოლას არა აქვს შემუშავებული ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმები, თუმცა აღნიშნული პროექტის განხორციელება უზრუნველყოფს ასეთ დაცულ გარემოს;

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლის დირექტორის 2021 წლის 04 ოქტომბრის ბრძანება N2-221, სადაც დასტურდება რომ განსაზღვრულია სანიტარულ - ჰიგიენური პირობების დაცვაზე ზედამხედველი პირი. ვიზიტისას სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები იყო დაცული. რაც დასტურდება ვიზუალური დათვალიერებით. კერძოდ: სკოლის ტერიტორიის დათვალიერებისას საკლასო ოთახები, საერთო სარგებლობის სივრცეები, სკოლის ეზო, სველი წერტილები, სპორტული დარბაზი და ა.შ. იყო სუფთად და მოწესრიგებული. სველ წერტილებში შევსებული იყო დისპენდერები თხევადი საპნით, შესაბამის დისპენსერებში განთავსებული იყო ხელსახოცები. სკოლაში შემუშავებული არაა სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმები, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ სანიტარულ - ჰიგიენური ნორმები დაცულია;

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

სკოლის დირექტორის 2020 წლის 7 დეკემბრის N3/1-77-ბრძანებით დასტურდება, რომ სკოლას ჰყავს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი, თუმცა არაა პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები;

გაიცა რჩევა: ერთ დოკუმენტად შემუშავდეს პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

სკოლას არ ააქვს შემუშავებული მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. თუმცა სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ მათ ხელთ არსებული ინფორმაცია დაცულია, რაც გულისხმობს იმას, რომ ინფორმაცია არ გაიცემა თუ შესული განცხადება/მოთხოვნა ინფორმაციის მიღებაზე არ შესაბამება იმ მოთხოვნებს, რომლებიც დადგენილია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

სკოლას არ ააქვს შემუშავებული ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმები. მაგრამ სკოლაში ვიზიტის დროს აღმოჩნდა, რომ ადამიანებისა და სკოლაში მიმდინარე პროცესების უსაფრთხოება დაცულია. კერძოდ: სკოლის შენობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ხერხეულიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

---

შესასვლელში არის დარაჯი, რომელიც აღრიცხავს სკოლაში ვიზიტორებს და აკონტროლებს, მათ შესვლა - გამოსვლას სკოლის შენობაში. მაქსიმალურად შეზღუდულია სასწავლო პროცესის მსვლელობის დროს სკოლის შენობაში ვიზიტორების შესვლა, რადგან სასწავლო პროცესში მონაწილე ადამიანებს (მოსწავლეები, მასწავლებლები, დირეაცია, ტექნიკური პერსონალი) ხელი არ შეეშალოთ მათი მოვალეობების კეთილსინდისიერად შესრულებაში, სკოლის შენობაში არის მანდატურები, რომლებიც ზრუნავენ სკოლის საზოგადოებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნაზე, შენობის შიდა სივრცე აღჭურვილია ვიდეო - სამეთვალყურო კამერებით, სკოლის შენობაში არის მასწავლებლების მორიგების პრაქტიკა.
გაიცა რჩევა: ერთ დოკუმენტად შემუშავდეს სკოლაში დასაქმებული ადამიანებისა და მიმდინარე პროცესების უსაფრთხოების მექანიზმები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ ბრძანება N2-227;

2. 8. და 9. საგანგებო სიტუაციებისა და სახანძრო უსაფრთხოების წერილი;

3. ბრძანება N2-609;

4. დანართი N1;

5. სოციალური სამსახურის სამუშაო გეგმა 2023;

6. 11.-უსაფრთხ. სანიტ. ჰიგ. ნორმები

7. დანართი137.საჯარო ინფორმაციის ხელმოსაწვდომობის უზრუნველყოფისა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანება N კ.1-77

8. დანართი 16. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

9. დანართი 8. signed_1694089553_მომსახურება_N21-signed

10. დანართი 9. ექსპერტიზის შენობა - ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა

11. დანართი 10 სამედიცინო და ჰიგიენური დაცვის უზრუნვ. მექანიზმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ყურაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

v მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო - კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ყურაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

----

----

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
სკოლის ინფრასტრიქტურა დამაკმაყოფილებელია. სკოლაში არის 875 ერთეული ინდივიდუალური მერხი და მათი შესაბამისი სკამი, რომელიც არაა საკამრისი სკოლის მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობისთვის, სასწავლო პროცესის ერთ ცვლიან რეჟიმში განსახორციელებლად. თუმცა საკმარისია თუ სკოლაში სასწავლო პროცესი ორ ცვლაში წარიმართება. სკოლას აქვს მატერიალური რესურსები რუკები, სქემები, სახელმძღვანელოები. უწყვეტი ინტერნეტის ქსელი და 31 პერსონალური კომპიუტერი. ასევე 10 ცალი მულტივიდეო პროექტორი, 21 ლეპტოპი და 21მოსწავლის ბუქი რაც საკმარისი რესურსია გაკვეთილებზე ელექტრონული ტექნიკის გამოსაყენებლად. ასევე სკოლას აქვს სპორტული ინვენტარი: ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის ბურთები, ფრენბურთის ბადე, რაგბის სხვადასხვა ინვენტარი, ჭადრაკის დაფები (მოძრავი და კედელზე უძრავად დამაგრებული პირველი კლასისთვის);
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეებია კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სააქტო და სპორტული დარბაზი (თითო) საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სპორტული მოედანი, რესურსოთახი, ექიმის ოთახი. ყველა მათგანი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის;
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეებიდან მხოლოდ ექიმის ოთახი და სპორტულ;ი მოედანი არის განთავსებული ისე, რომ ეტლით მოსარგებლე ადამიანმა შეძლოს იქ მოხვედრა. სკოლის შემობაში შესასვლელი არის კიბით, თუმცა გარედან დამაგრებულია ამწე. თავად სკოლის შენობის მეორე, მესამე და მეოთხე სართულებზე მოხვედრა არ არის შესაძლებელი ეტლით მოსარგებლე პირისთვის. სკოლას აქვს ადაპტირებული სველი წერტილები. სკოლის ინფრასტრუქტურა შეუსაბამოა სწავლის ინკლუზიურ გარემოსთვის;

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციისას წარმოადგინა 2023 წლის 22 სექტემბრის წერილი N MES 6 23 0001221758, რითაც დასტურდება, რომ მათ მიმართეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს გლდანი-ნაძალადევის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრს შუამდგომლობა გაუწიოს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან, რათა სკოლაში მოეწყოს ლიფტი ან ამწეები სართულებზე გადაადგილების პრობლემის მქონე პირთა შეუფერხებლად მოძრაობისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ბერიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----

სკოლამ შესაბამისობის გეგმის მიხედვით ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 22.09.2023-20.09.2024 წ

რეკომენდაცია: სკოლამ პრობლემის სრულფასოვან მოგვარებამდე შეიმუშაოს ალტერნატიული გზა/გზები, რომ ეტლით მოსარგებლე პირებმა შეძლონ საერთო სარგებლობის სივრცეებში (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, საინფორმაციო ტექნოლოგიების ლაბორატორია, სპორტული დარბაზი და ა.შ.) მოხვედრა.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **მეტწილად შეესაბამება.**

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო - კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;

სკოლის ინფრასტრუქტურა: სააქტო დარბაზი, სპორტული დარბაზი, გარე სპორტული მოედანი, ბილიოთეკა და ინფორმაციულ საკოლმუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორია, იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ სკოლა ჩამოყალიბდეს სოციო - კულტურულ სივრცედ და მოემსახუროს სკოლის საზოგადოებას. თუმცა ექსპერტთა ვიზიტის დროს ეს არ იგრძნობოდა. არაა კეთილმოწყობილი და ფუნქციურად დატვირთული სააქტო დარბაზი. სკოლის ბიბლოოთეკა, ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორია და ა. შ. არაა გამოყენებული სრულფასოვნად. არადა აღნიშნული სივრცეები იძლევა ომის საშუალებას, რომ აქტიურად და ფართოდ იყოს გამოყენებული სოციალური და კულტურული პროექტების განსახორციელებლად. თუმცა სკოლის მიერ წარმოდგენილი განხორციელებული პროექტების მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მინიმალურადაა შესრულებული სკოლის სოციო - კულტურულ სივრცედ ჩამოალიბების საკითხი.. სკოლის წარმომადგენლეთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად იგეგმება, რომ კეთილ მოეწყოს სააქტო დარბაზი, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამჟამად უფუნქციოდაა, შემუშავდება შესაბამისი აქტივობების გეგმა, რომელიც გათვალისწინებული იქნება სკოლის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში;

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

სკოლას ბიუჯეტი ძირითადად შედგება ვაუჩერული დაფინანსებისგან. სკოლას აქვს ასევე არასაბიუჯეტო შემოსავები, იჯარით გაცემული ფართების ხარჯზე, დღევანდელი მონაცემებით აღნიშნული დაფინანსება საკმარისია რათა უზზრუნველყოფილი იყოს კურუკულიუმით განსაზღვრული/მოთხოვნილი რესურსები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ბერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

---

---

1. დანართი 36. 2023-2024-ციფრული-განვითარების-გეგმა
2. დანართი 14. შენობა ნაგებობების სქემა
3. დანართი 140.ამონაწერი-საჯარო-რეესტრიდან-2021
4. დანართი 11. წერილი ინფრასტრუქტურას

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
v მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ხელაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას, რისთვისაც სკოლას აქვს: უწყვეტი ინტერნეტის ქსელი და 31 პერსონალური კომპიუტერი. ასევე 10 ცალი მულტივიდეო პროექტორი, 21 ლეპტოპი და 21მოსწავლის ბუქი რაც საკმარისი რესურსია გაკვეთილებზე ელექტრონული ტექნიკის გამოსაყენებლად. სკოლის სამასწავლებლოში არის 6 ლეპტოპი. რომლებიც ინტერნეტს უკავშირდება უკაბელოდ. ინტერნეტი უწყვეტია. ასევე სკოლის ადმინისტრაციის ყველა ოთახში (დირექტორი, დირექტორის მოადგილე, საქმისმწარმოებელი, ექიმი, ბიბლიოთეკარი) არის პორტატული კომპიუტერები. სკოლის ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა მოსწავლეებმაც და სკოლის ადმინისტრაციასაც ხელი არ შეეშალოთ დაგეგმილი საქმიანობების განხორციელებაში;

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში გამოყოფილია სივრცე, სადაც განთავსებულია ლეპტოპები და პროექტორები კათედრების მიხედვით. ყველა მასწავლებელს საშუალება აქვთ ისარგებლონ აღნიშნული რესურსით. ასევე კომპიუტერული ლაბორატორია საშუალებას იძლევა საგაკვეთილო პროცესში ყველა მოსწავლე ინდივიდუალურად განთავსდეს კომპიუტერებთან. სკოლის წამომდგენლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ კომპიუტერული ტექნიკა შეუზღუდავადაა ხელმისაწვდომი სკოლის საზოგადოებისთვის სასწავლო პროცესიდან თავისუფალ დროს დადგენილი წესების შესაბამისად, თუმცა აღნიშნული წესები არის ზეპირსიტყვიერი და ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე მას მიეცემა შესაბამისი დოკუმენტის სახე.

გაიცა რჩევა: ერთ დოკუმენტად შემუშავდეს სკოლის მატერიალური და არამატერიალური რესურსებით ექსპლოატაციისა და სარგებლობის წესი

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი 36. 2023 – 2024 ციფრული განვითარების გეგმა;
2. დანართი 142. კომპიუტერებისა და პროექტორის სასწავლო პროცესში გამოყენების აღრიცხვის ჟურნალი 1;
3. სკოლის წარმომადგენლებთა ინტერვიუებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ხურციძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
---

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეოს, საქმისწარმოების ელექტრონული დოკმეტბრუნვის სისტემის eFlow - ს საშუალებით. სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2022 წლის 28 თებერვლის N2-31 ბრძანება საქმისწარმოების განსხვავებული წესის დამტკიცების შესახებ. ასევე წარმოდგენილია სკოლასა და საქმისმწარმოებელს შორის დადებული ხელშეკრულება N5-77. 16.09.2021წ. სადაც საქმისმწარმოებლის ფუნქციებია დაზუსტებული და მკაფიოა. სკოლას არ ააქვს ცალკე დოკმენტის სახით შემუშავებული საქმის წარმოების წესი. სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროს აღნიშნული იქნა, რომ შეიმუშავებენ სკოლაზე მორგებულ საქმისწარმოების წესს, თანაც გააზრებული და გათვიცნობიერებული აქვთ როგორი იქნება ეს წესი;

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით წაროადგინა ახალი საქმისწარმოების წესი. სამისწარმოების წესში განსაზღვრულია ელექტრონული დოკუმენტბრუნვის წესებიც.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
სკოლა მართვისთვის იყენებს დოლუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას EFLOW. ასევე მატერიალურად აღრიცხავს შემოსულ და გასულ დოკუმენტაციებს, საერთო და საკადრო ბრძანებებსა და შრომით ხელშეკრულებებს;
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ყურაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

სკოლას წარმოდგენილი აქვს სამეურვეო საბჭოს 2021 წლის 9 დეკემბრის ოქმი N17, საიდანაც დასტურდება, რომ სკოლის დირექტორმა სამეურვეო საბჭოს ჩააბარა ანგარიში სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ფინანსური საქმიანობის შესახებ. გარდა ამისა სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. მაგალითად როგორიცაა საგანმანათლებლო რესურსცენტრი, გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი და ა. შ.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი144.საქმისწარმოების-და.განსხვავებული-წესის-დადგენის-შესახებ-ბრძანება- 2-31
2. დანართი 35. 10 დეკემბრის ანგარიში სამეურვეო საბჭოს ოქმი
3. სკოლის წარმომადგენლების ინტერვიუებით.
4. დანართი 12. საქმის წარმოების წესის დამტკიცების ბრძანება

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ბერიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----
----

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას სკოლის შენობაში განთავსებული საინფორმაციო დაფის და facebook გვერდის მეშვეობით. სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს ვებ გვერდი;

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციისას წარმოადგინა ვებ გვერდის მისამართი (მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ გამოყოფილი სივრცე) სადაც მას ატვირთული აქვს შესაბამისი დოკუმენტები. ასევე წარმოდგენილია სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 05 სექტემბრის ბრძანება N 2-250, რითაც სკოლამ განსაზღვრა სკოლის პორტალის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლის დირექტორის 2021 წლის 5 მარტის N2-33 ბრძანება რომლითაც დამტკიცებულია მშობლებთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია). სკოლა ახორციელებს დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს და ამის შესახებ ინფორმაციას ავრცელებს facebook-ის მეშვეობით (მაგალითად გაზიარებული აქვს პირველკლასელთა რეგისტრაციის ვადები);

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ბერიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----
----

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

სკოლას აქვს სოციალური ქსელი, სადაც მუდმივად აახლებს ინფორმაციას. მშობლებსა და საზოგადოების სხვა წევრებს საშუალება აქვთ უკუკავშირი იქვე მიაწერონ კომენტარის სახით. ასევე სკოლას აქვს ელ. ფოსტა, რომელიც საშუალებას იძლევა ნებისმიერი უკუკავშირი დაინტერესებულ პირთაგან სკოლამ მიიღოს ელექტრონულად. სკოლის წარმომადგენლების განცხადებით, მითითებული არხებით მიღებულ ინფორმაციას (უკუკავშირს) სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს ვებ გვერდი;

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციისას წარმოადგინა ვებ გვერდის მისამართი (მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ გამოყოფილი სივრცე) სადაც მას ქართულ ენაზე ატვირთული აქვს შესაბამისი დოკუმენტები. ასევე წარმოდგენილია სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 05 სექტემბრის ბრძანება N 2-250, რითაც სკოლამ განსაზღვრა სკოლის პორტალის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს ვებ გვერდი

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციისას წარმოადგინა ვებ გვერდის მისამართი (მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ გამოყოფილი სივრცე) სადაც მას ატვირთული აქვს შესაბამისი დოკუმენტები. ასევე წარმოდგენილია სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 05 სექტემბრის ბრძანება N 2-250, რითაც სკოლამ განსაზღვრა სკოლის პორტალის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ყურაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

----

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი 145.მშობლებთან-ურთიერთობის-დებულების-კომუნიკაციის-სტრატეგიის-დამტკიცების-შესახებ-ბრძანება- 2-33 (1)
2. https://www.facebook.com/n16sajaroskola
3. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრება, ინტერვიუ.
4. დანართი 13. სკოლის პორტალის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

v შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ხელაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----
----

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;

სკოლას აქვს ფინანსური რესურსები, რათა განახორციელოს დაგეგმილი ღონისძიებები. სკოლას აქვს შემოსავლები ეკონომიკური საქმიანობიდან (იჯარები). ასევე აქვს შემოსავლები ვაუჩერული დაფინანსებით, რაც აძლევს საშუალებასშეიძიონოს აუცილებელი რესურსები, რომლებიც გაწერილია კურუკულიუმებში; ვინაიდან სკოლას წარმოდგენილი არ აქვს 2023 - 2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

სკოლას ჰყავს ბუღალტერი, რომელიც პასუხიმგებელია შესყიდვების გეგმის შედგენაზე, შესყიდვების განხორციელებაზე. მისი ფუნქციები გაწერილია ხელშეკრულებაში, რომელიც სკოლამ წარმოადგინა ვიზიტისას. ბიუჯეტის დამტკიცებას ახდენს სამეურვეოს საბჭო. სკოლის დირექტორი ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიშს წარუდგენს სამეურვეო საბჭოს კანონით დადგენილ ვადებში. რაც დასტურდება სამეურვეოს საბჭოს ოქმი N17. 09.12.2021 წ. სკოლას ემსახურება სახელმწიფო ხაზინა, რომლის საშუალებითაც ხორციელდება ფინანსური რესურსების მართვა და მონიტორინგი. აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლაში ხდება ფინანსური მართვა, რომელშიც იგულისხმება: დაგეგმვა (ანუ ბიუჯეტის შედგენა); განკარგვა (შესყიდვების გეგმის შედგენა), მონიორინგი (დირექტორის მიერ სამეურვეო საბჭოსთვის ფინანსური ანგარიშის წარდგენა). თუმცა სკოლას არ აქვს დამოუკიდებელი დოკმენტის სახთ გაწერილი ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი 35. 10 დეკემბრის ანგარიში სამეურვეო საბჭოს ოქმი;
2. ბიუჯეტი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ბერიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----
----

v შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;

სკოლის მიერ შემუშავებულია სტანდარტული შიდა რეგულაციები. სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, გაფორმებულია სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიე წარმომადგენელს შორის ხელშეკრულება, რომლითაც ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა და უზრუნველყოფილია მოსწავლისათვის განათლების მიღების, უსაფრთხოების, ინტერესების დაცვის და ა. შ. გარანტიები;

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ბერიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----
----

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

სკოლის მიერ შემუშავებული სასკოლო რეგულაციები, რომლითაც ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა ცნობილია სკოლის საზოგადოებისთვის. სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია სკოლის შენობაში და შესაძლებლია მისი გაცნობა ნებისმიერი მსურველისათვის, რაც შეეხება სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას ის არის სტანდარტული, დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით, განთავსებულია ინტერნეტ სივრცეში და გამოქვეყნებულია საკანონმდებლო მაცნეში. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შემდეგ გაირკვა, რომ სკოლა გეგმავს ამ რეგულაციების გასაჯაროებას, როგორსც სოციალური ქსელის მეშვეობით ასევე განათავსებს სკოლის ვებ - გვერდზე, რომლის შექმნასაც უახლოეს მომავალში აპირებს;

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

სკოლაში გაფორმებულია სტანდარტული ხელშეკრულებები მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის, რომელიც შესაბამისობაშია ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობასთან, მკაფიოა და ცნობილია სკოლის საზოგადოებისთვის. აღნიშნული ხელშეკრულება დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით, განთავსებულია ინტერნეტ სივრცეში და გამოქვეყნებულია საკანონმდებლო მაცნეში. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შემდეგ გაირკვა, რომ სკოლა გეგმავს ამ ხელშეკრულების ნიმუშის გასაჯაროებას, როგორსც სოციალური ქსელის მეშვეობით ასევე განათავსებს სკოლის ვებ - გვერდზე, რომლის შექმნასაც უახლოეს მომავალში აპირებს.

გაიცა რჩევა: სკოლამ შექმნას საკუთარი ვებ - გვერდი და მისი და ასევე სოციალური ქსელის საშუალებით გაასაჯაროოს მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულების ნიმუში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები;
2. სკოლის შინაგანაწესი;
3. მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი;
4. სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;
5. დისციპლინარული საბჭოს სხდომის ოქმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ყურაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

----

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა, საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება, აღდგენა და შეწყვეტა ხორციელდება ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, კანონქვემდებარე აქტების (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებები) შესაბამისად. სკოლას არ ააქვს შემუშავებული აღნიშნული პროცედურების განხორციელების საკუთარი წესი.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციისას წარმოადგინა სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 13 სექტემბრის ბრძანება N 2-271, რომლითაც განსაზღვრულია მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები, დოკუმენტი მოიცავს მოსწავლის ჩარიცხვის წესებს (მათ შორის გარდა პირველკლასელისა) ასევე მოსწავლის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის

წესებს. მექანიზმი ასევე განსაზღვრავს მობილობის წესებს, მათ შორის განსხვავებულ ვადებში მობილობის წესს. საფეხურის დაძლევის წესს, პარალელურ კლასებში მობილობისა და პროცედურების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახვაზე პასუხისმგებელ პირს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;

სკოლაში დაცულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებებით დამტკიცებული მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა, აღდგენისა და შეწყვეტის წესები. თუმცა სკოლაში არაა შემუშავებული, „მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები“, შესაბამისად ვერც დაიცავენ მას. ამ მექანიზმების შექმნაზე სკოლა მუშაობს;

გაიცა რჩევა: სკოლამ შექმნას, მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა, აღდგენისა და შეწყვეტის, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი, საკუთარ ხედვებზე მორგებული მექანიზმები;

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სკოლაში არსებული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების, პროექტების, სპეციფიკის, არასაბიუჯეტო მომსახურების (ფასიანი წრეები, იჯარები და ა. შ.) საფასურების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. თუმცა იმის გამო, რომ სკოლას არ ააქვს ვებ გვერდი ეს ინფორმაცია არაა გაზიარებული ამ კუთხით. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შემდეგ გაირკვა, რომ ვებ - გვერდი შეიქმნება უახლოეს მომავალში;

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

სკოლა ავრცელებს ინფორმაციას პროგრამების, სერვისების, აქტიობების, რესურსების შესახებ, ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განახლებულს. აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომი და გამჭვირვალეა ნებისმიერი ადამიანისათვის, რომელიც ეწვევა სკოლას მიუხედავად მისი ეროვნებისა, სქესისა, სარწმუნოებისა, კანის ფერისა და ა.შ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ყურშული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

----

იმის გამო, რომ სკოლას არ ააქვს ვებ გვერდი ეს ინფორმაცია არაა გაზიარებული ამ კუთხით. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შემდეგ გაირკვა, რომ ვებ - გვერდი შეიქმნება უახლოეს მომავალში;

გაიცა რჩევა: სკოლამ შექმნას ვებ - გვერდი

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შენობაში განთავსებული საინფორმაციო დაფები;

2. დანართი 14. მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხ. დაძლევის, გადავანის, სტატ. შეც.შეწყვ. მობილობის განათ. აღიარ საფ. ჩარიცხვის წესის შეს. 2-271

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

v შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ხელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

----

----

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;

სკოლის ადმისტარციასთან და წარმომადგენლებთან იტერვიუების დროს გაირკვა, რომ სკოლა მაქსიმალურად უწყობს ხელს მოსწავლეს სასწავლო გარემოსთან ადაპტაციაში, რისთვისაც მობილიზებულია სკოლის თითეული თანამშრომელი, ხშირ შემთხვევებში შესაბამის შეხვედრებს და საუბრებს მოსწავლეებთან ატარებს სკოლის დირექტორი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას არ ააქვს შემუშავებული მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესი. სკოლის ადმნისტრაციის განცხადებით ამ მიმართულებითაც დაწყებული აქვთ მუშაობა და ინტერვიუს დროს წარმოადგინეს საკუთარი პოზიცია და ხედვები ამ საკითხთან დაკავშირებით;

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 7 სექტემბრის N 2-258 ბრძანება, რითაც დამტკიცებულია მოსწავლის ადაპტაციის წესი. წესი მოიცავს პირველკლასელთა, სსსმ მოსწავლეთა, მობილობით გადმოსული მოსწავლეების, სფეხურის დასრულებისას მოსწავლეთა ადაპტაციის წესებს. ასევე განსაზღვრულია წარმატებული ადაპტაციის მახასიათებლები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

სწავლის დაწყების მომენტიდან სკოლის პერსონალი ზრუნავს, ეხმარება და ხელს უწყობს მოსწავლეებს სასწავლო გარემოსთან ადაპტაციაში. მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან შეხვედრებს ატარებენ კლასის დამრიგებლები, საგნის მასწავლებლები, სკოლის დირექციის

წამომადგენლები და სკოლის დირექტორი. ტარდება კლასის საათები. ყველა შეხვედრა მიმართულია და ორიენტირებულია რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეებს რაც შეიძლება სწრაფად და ადვილად მოხდეს მათი შეგუება სასწავლო გარემოსთან. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ხორციელდება ინდივიდუალური შეხვედრები როგორც მოსწავლეებთან ასევე მშობლებთანაც. სკოლას შემშავებული აქვს მოსწავლეთა ინდივიდუალური გამოკითხვის ფორმები, რომლის ანალიზის შემდეგაც ხდება მოსწავლეებთან შესაბამისი შეხვედრების და საუბრების ორგანიზება.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

მოსწავლე სასწავლო პროცესის დროს იღებს შესაბამის კონსულტაციებს და მხარდაჭერას სკოლის თანამშრომლებისგან, რომ გაიუმჯობესოს აკადემიური შედეგები. ამისთვის მასწავლებლების მხრიდან ადგილი აქვს დამატებიტი გაკვეთილების ჩატარების პრაქტიკას, ხდება დამატებითი დავალებების მიცემა მოსწავლეებისათვის მათი შესაძლებოლობებიდან და უნარებიდან გამონდინარე, ადგილი აქვს მოსწავლეებთან ინდივიდუალურ მუშაობის პრაქტიკას, ხდება მოსწავლეების ჩართვა სხვადასხვა სახის პროექტებში, კონკურსებში, ოლიმპიადებში, აქტიურად მიმდინარეობს საკლუბო მუშაობა და ა. შ. ყოველივე აქ ჩამოთვლილი აქტიობა რხმარება მოსწავლეს აკადემიური მიღწევების გაუმჯებესობაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

მოსწავლის მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით სკოლა ახორციელებს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში და შესაბამის ვადებში. მაგალითად მოსწავლეს შეუძლია მისთვის არასასურველი სემესტრული შეფასების გაუმჯობესების მიზნით სემესტრული გამოცდის ჩაბარება, ხანგრძლივი ავადმოფობის შემთხვევაში შინ სწავლების რეჟიმზე გადასვლა, განსაკუთრებულ შემთხვევებში მოითხოვოს გადაფასება და გაიაროს გასაუბრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინარულ გუნდთან;

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

სკოლის მიერ წახალისებულია და მხარდაჭერილია მოსწავლეთა ინიციატივები, დამატებითი ან არაფორმალური აქტიობები, რომლებშიც ჩართული არიან სკოლის კვალიფიციური მასწავლებლები და თანამშრომლები. მხარდაჭერილია სკოლის მოსწავლეთა თვითმართველობის ინიციატივები, ფართო სპექტრითაა წარმოდგენილი კლუბურუ მუსაობა, მიმდინარეობს სხვადასხვა საგნებში წრეობრივი მუშაობები, ეწყობა შიდა კონკურსები, პოეზიის საღამოები და ა.შ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ბერიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

სკოლა მაქსიმალურად ცდილობს გააუმჯობესოს სასწავლო პროცესის და მოსწავლეთა მომსახურება სასკოლო საზოგადოების ან დაინტერესებული პირების/მხარეების უკუკავშირის საფუძველზე. სკოლა ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე იხილავს ყველა ინიციატივას, რომელიც მოდის სკოლის საზოგადოებიდან და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემთხვევაში მაქსიმალურად მხარს უჭერს მის განხორციელებას. გარდა ამისა სკოლაში პერიოდულად ტარდება გამოკითხვა (ტესტების სახით) სასწავლო პროცესთან დაკავშირებით, რომელშიც მონაწილეობას იღებენ სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები. მიღებული შედეგები მუშავდება და შემდეგ ხდება მათი გათვალისწინება სასწავლო პროცესის სრულყოფისათვის.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის მიერ განხორციელებული პროექტები;

2. დანართი 15. მოსწავლეთა ადაპტაციის წესი

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ყურაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

----

----

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;

სკოლის მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება. ამ მიზნით ხდება სკოლაში მოწვევა სხვადასხვა პროფესიული სასწავლებლების წარმომადგენლების და მათი შევედრა მოსწავლეებტან, ხორციელდება ვიზიტები სხვადასხვა მიმართულების პროფესიულ სასწავლებლებში სადაც მოსწავლეები უშავალოდ იღებენ მონაწილეობას სასწავლო პროცესში, მსგავსი ღონისძიებები ტარდება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

წინა ინდიკატორში აღწერილი სიტუაციიდან გამომდინარე ნათელია, რომ სკოლა მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აწვდის განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან მიმართებაში;

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

სკოლის ხელმძღვანელობის განცხადებით, როცა ხდება მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე ფიქრი და დაგეგმვა გათვალისწინებულია წინა პერიოდში გაწეული მომსახურების შედეგები. თუმცა სკოლის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი დოკმენტი/დოკმენტები რომლშიც/რომლებშიც ასახული იქნებოდა სკოლის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში წინა პერიოდში გაწეული მომსახურების შეფასების შედეგები. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას და ამიტომ მას წინა პერიოდის შედეგების შეფასების ამსახველი დოკმენტები ვერ ექნებოდა.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლასა და პროფესიულ სასწავლებლებს შორის გაფორმებული მემორანდუმები/ხელშეკრულებები/შეთანხმებები;
2. პროფესიულ სასწავლებლებში ვიზიტების ამსახველი ფოტო მასალა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ყურაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

----

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;

სკოლაში სწავლობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები. მათან მუშაობენ შესაბამისი კავლიფიკაციის მასწავლებლები, მათ მიერ მომზადებული ინსტრუქციებით და ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული სასწავლო პროცესში და სკოლიდან დაუბრკოლებლად იღებენ ყველა იმ სერვის, რაც მათთვისაა განსაზღვრული. სკოლას, ცალკე დოკუმენტის სახით, არ ააქვს შემუშავებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმები. ეს მექანიზმები გაბნეულია სკოლაში არსებულ სხვადასხვა დოკმენტებში. მაგალითად სკოლის სასწავლო გეგმაში, ინდივუდუალურ სასწავლო გეგმებში, სპეციალური მასწავლებლის სამუშაო გეგმაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის მონიტორინგის ჯგუფის სამუშაო გეგმაში და ა. შ. ამ დოკუმენტებიდან ადვილად შეიძლება ჩამოყალიბდეს და ცალკე დოკუმენტის სახით შეიქმნას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმები, რისი მზაობაც სკოლის პერსონალს აქვს;

გაიცა რჩევა: სკოლაში არსებული დოკმენტაციის საფუძველზე ცალკე დოკუმენტად შეიქმნას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან/მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმი

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის/ მოსწავლეების წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძვნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. ამ მიზნით სკოლაში შექმნილია მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ყოველი სასწავლო წლის ბოლოს გაწეული მუშაობის მონიტორინგის შედეგებს აწვდის, როგორც სკოლის დირექციას ისეა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტს. სკოლის საზოგადოების ჩართულობის მაგალითია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონემოსწავლის/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ბერიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----

მოსწავლეების ინდივიდუალური სამუშაო გეგმები. სპეციალური მასწავლებლების სამუშაო გეგმები, ანგარიშები, მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან შეხვედრები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლაში არსებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონემოსწავლის/მოსწავლეების ინდივიდუალური სამუშაო გეგმები

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ხერხეულიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება, ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე;

გაიცა რჩევა: სკოლამ შეიმუშაოს მართვის კოლეგიალურ ორგანოს/ორგანოებს და მომსახურების მიმღებს შორის ურთიერთობის შეთანხმებული წესი

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას. თუმცა სკოლას შესამუშავებელი აქვს, კოლეგიალურ ორგანოსა (სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო) და მომსახურების მიმღებთან შეთანხმების შესაბამისი წესი;

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

დამატებითი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების შემთხვევაში, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

---

---

1. სკოლის მიერ გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებები;

შეფასება:

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

v შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება*I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური)*

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ხელაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----

სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	**v შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	**v შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	**v შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	**v შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	**v შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური)

2. სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ვ. ბერიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

---

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას, შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რაც კარგად აისახა ასევე პედაგოგებთან გასაუბრებისას. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს, აღნიშნეს რომ პედაგოგები, სკოლის და მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავენ და კათედრაზე კოლეგიალურად შეიმუშავებენ სასკოლო კურიკულუმებს. მათ გამოთქვეს მზაობა, რომ სამომმავლოდ კურიკულუმის შემუშავების პროცესებში აქტიურად იქნება ჩართული სასკოლო საზოგადოება. (მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი, დირექცია). რომელშიც ასახული იქნება სასკოლო საზოგადოების ინტერესები.. წარმოდგენილია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია განზოგადებულად, თუმცა სკოლის მიერ შევსებულ თვითშეასებაში და სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენელია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

წარმოდგენილ დოკუმენტაციით დგინდება, რომ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. მაგალითად საგნობრივი კათედრების შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი საჭიროებები, რომელთა გათვალისწინებით ხდება საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება კათედრების მიერ. კურიკულუმებში ჩანს სასკოლო

საზოგადოების დაინტერესება და ამ პროცესის ერთიანი ხედვა. შერჩეულ მრავალფეროვან სასწავლო თემებით გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები;

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

გამოიკვეთა, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო პედაგოგიური საზოგადოების მიერ, გასაუბრებისას გამოჩნდა პედაგოგების თანამშრომლობა, რასაც ასევე ადასტურებს წარმოდგენილი დოკუმენტები. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში და ინტერვიუს მსვლელობის დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია ყველა საგნობრივი კათედრა და ერთობლივად გეგმავდნენ სკოლაზე და მოსწავლეებზე ორიენტირებულ სასკოლო გეგმებს და აქტივობებს. თუმცაღა უცხოური ენების შემთხვევაში იყო შემთხვევები როდესაც ინგლისურ და რუსულ ენას სტრუქტურულად სრულიად განსხვავებული კურიკულუმის ჩარჩოები ქონდათ წარმოდგენილი;

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სკოლაში ვიზიტის დროს ინტრვიუებისას გაირკვა ,რომ კურიკულუმს იზიარებს და მხარს უჭერს სასკოლო პედაგოგიური საზოგადოება, მაგრამ ისინ აღნიშნავენ, რომ არის რიგი პრობლემებისა, კერძოდ: იმის გამო, რომ სკოლას არ ააქვს ვებგვერდი კურიკულიუმის სკოლის საზოგადოებისთვის გაზიარების საკითხს არ თვლიან სრულფასოვნად, დროის მცირე ინტერვალის გამო და ამ დროის სასწავლო პროცესის დასრულებაზე დამთხვევის გამო ვერ მოახერხეს მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების სრულფასოვანი ჩართვა კურიკულიუმების შემუშავების პროცესში, რომლებიც გამოსწორებული იქნება ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლის სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე. კურიკულუმი გაზიარების საკითხს მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს შორის ადასტურებს სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია და მშობელთა ბარათები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;

2. კურიკულუმის შემუშავების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობების/მასალები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ხელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

---

---

3. დაწყებითი საფეხურის (I – VI კლასები) კურიკულუმები;

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, მასში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები სასწავლო რესურსების შერჩევისას. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები საგან მე და საზოგადოებაში და ჩვენ საქართველოში წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, ეს გამოჩნდა შემოთავაზებულ კურიკულუმებში, კომპლექსურ დავალებებში, რომლებიც შერჩეულია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად; საგან ჩვენი საქართველოს და მე და საზოგადოების მიმართულებით კურიკულუმში ძირითადად მოცემულია კომპლექსური დავალების იდეები, რაც შეეხება სამიზნე ცნებებს, ქვეცნებებს, ინტერვიურების დროს კარგად გამოიკვეთა მასწავლებლების მზაობა კურიკულუმების დახვეწისათვის; ასევე, გამოჩნდა მათი სამომავლო ხედვა, რომ კომპლექსური დავალება წარმოადგენს შუალედურ მიზანს, გრძელვადიანი მიზნისაკენ მისასვლელად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ვ. ხუროშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----

მათემატიკის დაწყებითი კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რაც დასტურდება კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით, რომელიც კათედრამ შეარჩია და წარმოადგინა. თუმცა სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში 1-3 კლასებში კომპლექსური დავალებები ჩაშენებული არ არის. ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ მცირე დროის გამო ვერ მოხერხდა კომპლექსურების შერჩევა, პირველ - მეორე კლასებში კი მხოლოდ ერთი თემა წარმოადგინეს, რადგან ჩათვალეს, რომ გრიფირების შემდეგ მაინც ახალი გრიფირებული სახელმძღვანელოები უნდა აირჩიონ და სექტემბრამდე ყველა ამ პრობლემას მოაგვარებენ.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ფიზიკური აღზრდის დაწყებითი საფეხურის 1-6 კლასის წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზებზე.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

წარმოდგენილი უცხოური ენების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი პროგრამებიდან ჩანს, რომ ისინი დაუძნებულია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით და სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებს ასევე მოსწავლის პიროვნული განვითარებაც. უმეტეს შემთხვევებში წარმოდგენილია და აღწერილია ცნებების, ქვეცნებებისა და ქვესაკითხების ჩამონათვალი, თუმცა არის უზუსტობებიც. მაგ., ინგლისური - დაწყებითის კურიკულუმებში არ გვხვდება ცნებების ჩამონათვალი იმ თემებისთვის, რომლის ქვეშაც კომპლექსურები არ ხორციელდება, ხოლო სადაც შუალედური მიზნებია განსაზღვრული ასახულია მხოლოდ ერთი ცნება ან ქვეცნებების და ქვესაკითხების მცირე ნაწილი. ასევე არ არის გამოკვეთილი ძირითადი საკითხი შუალედური მიზნებისთვის და თემის ქვეთავებია ჩამოთვლილი. მე-5 კლასის რუსულის კურიკულუმის ჩარჩოში სამიზნე ცნებების სვეტში ჩასმულია ლინკი. მიუხედავად აღნიშნულისა, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ საგნობრივი შინაარსები და შეუძლიათ სამიზნე ცოდნის მკაფიოდ აღწერა. უცხოური ენების მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ დაგეგმილი კურიკულუმებით ხელი შეუწყონ მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარებას, რა დროსაც იგი თავადვე შეძლებს აწარმოოს ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესი. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, მასში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები სასწავლო რესურსების შერჩევისას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ჭადრაკის კურიკულუმში მოცემულია ერთი კომპლექსური დავალების იდეა, არ ჩანს პირობა, კონტექსტ მაგალითი, რესურსები. კურიკულუმში გათვალისწინებულია ოთხი სავალდებულო თემა.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ბერიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

----

ქართულ ენასა და ლიტერატურაში *დაწყებით საფეხურზე* შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. სასკოლო საზოგადოება ორიენტირებულია გძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე (ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სტანდარტებში წარმოდგენილია სამიზნე ცნებების სახთ). შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებებისა და არსებული მოცემულობის შესაბამისად. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომლთა შესრულებასაც მოსწავლეს გამოცდილება და მაღალი სააზროვნო უნარები სჭირდება. კათედრის წევრებს მაგალითად მოჰყავთ წინარე გამოცდილება მსგავსი ტიპის კომპლექსური დავალების დანერგვის შემთხვევები. თვითშეფასების ფორმაში ვკითხულობთ: „ამ ეტაპზე შემუშავებული გვაქვს კურიკულუმი, თუმცა არასრული სახით. ვგეგმავთ, შევიმუშავოთ ისეთი სასკოლო კურიკულუმი, რომელიც დაეფუძნება მე-3 თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს. იქნება მდგრადი და ორიენტიერებული მოსწავლის კოგნიტურ განვითარებაზე.“(დანართი 03), კათედრასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე კათედრა გეგმავს კურიკულუმის ჩარჩოების სრულყოფას. ამ ინდიკატორში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ესთეტიკური ციკლის საგნების კურიკულუმები შემუშავებულია და ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაზე, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას და სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურ ჩართვას.საგნობრივი კურიკულუმების საფუძველზე ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგებზე, ჩანს შუალედური მიზანი და უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს,ეს განსაკუთრებით გამოიკვეთება მუსიკის კურიკულუმებში, სადაც დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ რომ მასწავლებელი სწავლა სწავლების პროცესში მოიაზრებს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. თემები და კომპლექსური დავალებების პირობა ისეა დაგეგმილი,რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ , შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას და ეფუძნება სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს.) ხელოვნებაში-იქიდან გამომდინარე რომ არასრული კურიკულუმია დაწყებით საფეხურზე პირველ,მე 2, მე 3, მე 4 და მე 5 კლასში არ არის გათვალისწინებული სავალდებულო თემატური ბლოკები ,(ზოგან ერთი თემაა წარმოდგენილი და ზოგან ორი,მაგრამ ისიც ერთიდაიგივე თემატურ ბლოკს მოიცავს.)რაც გვაფიქრებინებს რომ ხელოვნების საგანში დაწყებით საფეხურზე მეტნაკლებად ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგმვისა და განვითარების გზა.თუმცა მე 6 კლასში წარმოდგენილია სამივე თემატური ბლოკის ფარგლებში დაგეგმილი თემები,საკითხები,კონტექსტ მაგალითი,რესურსი და კომპლექსური დავალებები. რაც საერთო ჯამში გვაფიქრებინებს,რომ კათედრას აქვს მზაობა დანარჩენ კლასებშიც სწორად დაგეგმოს სასწავლო გეგმა.თავადაც აღნიშნავენ წარმოდგენილ დოკუმენტში,რომ სექტემბრამდე კათედრა დახვეწავს და სრულად გაწერს სასწავლო გეგმას.ინტერვიურების პროცეში დაზუსტდა კურიკულუმებში არსებული ხარვეზები და დაიგეგმა სრულფასოვანი სასწავლო გეგმების შევსება მიცემული რეკომენდაციების საფუძველზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

---

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ტექნოლოგიებში სკოლას წარმოდგენილი აქვს კომპლექსური დავალებები, რაც ცალსახად შეიძლება მივიჩნიოთ მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომად. კურიკულუმში გაწერილი საგანმანათლებლო აქტივობები შეიძლება ჩაითვალოს როგორც მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარების გააქტიურებაზე ორიენტირებული.წარმოდგენილი კურიკულუმები აღწერს დაწყებითი საფეხურის მოსწავლის განვიტარების გზას ესგ-თი გათვალისწინებული სწავლა-სწავლების 5 ძირითად პრინციპზე დაფუძნებულ, მისი ცოდნის კონსტრუირებისთვის აქტიურ პროცესს. სკოლას გააზრებული აქვს, რომ მასწავლებელმა მომავალი სასწავლო წლისთვის რევიზირებულ კურიკულუმში ისე შეარჩიოს თემები, რომ იგი მოწოდებული იყოს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვაზე და არა პროგრამის დასრულებაზე.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); კურიკულუმში ასახულ კომპლექსურ დავალებებში ჩანს, რომ კურიკულუმი ემსახურება ფუნქციური უნარების განვითარებას, გრძელვადიანი სასწავლო მიზნების განხორციელებას; კურიკულუმში წარმოდგენილი თემები ფარავს ყველა სამიზნე ცნებას, მიზნების შესაბამისად შერჩეულია საკითხები. წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახული შუალედური სასწავლო მიზნები და გრძელვადიანი მიზნები იძლევა შესაძლებლობას, რომ პროცესი იყოს ორიენტირებული პოზიტიურ სასწავლო გარემოზე. კერძოდ, დაწყებითი საფეხურის საგნობრივ პროგრამებში წარმოდგენილ ძირითად საკითხებზე მუშაობა მოსწავლეებისგან მოითხოვს ისეთი ტიპის შეკითხვებზე დაფიქრებას და ისეთი კოგნიტური ოპერაციების შესრულებას, რომლებიც მიემართება ყველა ფუნქციურ-კომპონენტური უნარის გააქტიურებას. აღნიშნულზე დაყრდნობით და მასწავლებლებთან ინტერვიუს ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები გრძელვადიან მიზნებად და აქვთ მზაობა, რომ გლობალური ფუნქციური უნარები განიხილონ უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად (და არა სასწავლო მიზნებად).

სასკოლო საზოგადოება აქტიურად მუშაობს გლობალურ-ფუნქციური უნარ-ჩვევების განვითარების მიმართულებით, სასწავლო პროცესი ეფუძნება გრძელვადიან მიზნებსა გლობალურ-ფუნქციურ უნარებს (6 უნარი, მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები). კურიკულუმის ჩარჩოში კომპლექსური დავალების იდეები იმგვარადაა წარმოდგენილი, აქტივობების ეტაპები აუცილებლად მოითხოვს ფაქტების ანალიზსს, იდეების გენერირებას, მოსაზრებების დაცვას, შედარებას, დასკვნების გამოტანას, პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას, კურიკულუმის ჩარჩოში აღნიშნული დავალებების დანერგვის ეტაპზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ბერიშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
---

აქტივობები ბუნებრივად შეუწყობს ხელს ფუნქციური უნარ-ჩვევების განვითარებას (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, ხასიათის ნებელობა, მოქალაქეობა). თვითშეფასების კითხვარში სკოლა წერს: „სკოლის მიდგომა, თითოეულ საფეხურზე, მიმართულია, იმისკენ, რომ მოსწავლე ჩამოყალიბდეს პიროვნებად, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობა, კოგნიტური და სოციო-ემოციური სფეროს კეთილდღეობა, აკადემიური მიღწევა , იდენტობა. ამ თვალსაზრისით სკოლაში არსებობს გამოცდილება - არაფორმალური განათლების ჭირილში, სამივე საფეხურზე, განხორციელდა სასკოლო პროექტები ,,ყველა ადამიანშია მზე“ და ,,ჩვენ ვირჩევთ ჯანსაღი ცხოვრების წესს.“..(დანართი 03.) (ასევე-გამოთხოვილ დოკუმენტაციაში: მატრიცის გასაუმჯობესებელი ინსტრუმენტები; „მოსწავლეთა პროგრესის ამსახველი მასალა ფუნქციურ-კომპონენტური უნარის მიხედვით“).

შექმნილი კურიკულუმები ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზანს, სასწავლო კურიკულუმებში გაწერილი სამიზნე ცნებები მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად გამოიყენოს ახალი ცოდნა და უნარები, კურიკულუმში ჩანს სავალდებულო თემატური ბლოკები, მასთან დაკავშირებული თემები რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. სასკოლო პროექტები და კომპლექსური დავალებები ხელს უწყობს გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას. თუმცა არის რიგი საკითხები რომელიც აფერხებს სრული სურათის წარმოდგენას, მაგალითად: მუსიკის მე-3 კლასისი კურიკულუმის ჩარჩოში ფონოგრამა და ფოტოები არ შეიძლება იყოს მაგალითები შედარებისთვის. ქვეცნებები ძალიან დეტალიზებულია, (მოსარგებია კომპლექსურ დავალებას.) მესამე თემა საერთოდ არ არის გაწერილი.მე 4 კლასისი კურიკულუმის ჩარჩოში სამიზნე ცნება/ქვეცნებები გაუმართავია ყველა საკითხში. (მოსაყვანია სტანდარტთან შესაბამისობაში.).სახვითი და გამყენებითი ხელოვნების დაწყებით საფეხურზე პირველ, მე 2, მე 3, მე 4 კლასების კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში წარმოდგენილია მხოლოდ ორი თემა და ორი კომპლექსური დავალება წლის განმავლობაში,შესბამისად უცნობია ამ კლასებში როგორ განისაზღვრება გრძელვადიან მიზნებამდე მისასვლელი გზები. პირველ კლასში არ ჩანს სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო სამივე თემატური ბლოკი, წარმოდგენილია მხოლოდ ერთი კომპლექსური დავალება, თუმცა ყველა კლასისის კურიკულუმის ჩარჩოში გამოკვეთილია თემა, ძირითადი საკითხი, ქვეცნებები, მე 6 კლასში კი გაწერილია სამივე თემატური ბლოკის ფარგლებში კომპლექსური დავალება რაც გვაფიქრებინებს იმას რომ მასწავლებელს გააზრებული აქვს თუ როგორ ხდება თემატური ერთეულის დაგეგმვა ისე რომ მიემართებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ასევე სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა სადაც აღნიშნულია,რომ ყველა კათედრაზე პედაგოგების მიერ კურიკულუმის შემუშავების დროს მოხდება გლობალურ ფუნქციური უნარებისა და მაკროცნებების გათვალისწინებით წლიური გეგმის შედგენა.

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში, იმ კლასებში, სადაც ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები, გაწერილია სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები. შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები. ყველა თემაში განსაზღვრულია სამიზნე ცნების დამუშავება, რაც ერთობლივად ხელს შეუწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ყურაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

---

---

3. . სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები. კურიკულუმი წარმოდგენილია ძირითადი საკითხების, კონტექსტ მაგალითების და კომპლექსური დავალების იდეების დონეზე, თუმცა ინტერვიურების დროს ჩანდა მასწავლებლების მზაობა და წინარე გამოცდილება დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებთან მიმართებაში. მასწავლებლემს მოსწავლეებისათვის წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით შემუშავებული აქვთ მათ შესაძლებლობებზე და ინტერესებზე კომპლექსური დავალებები. სასკოლო სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავება, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში.

სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის მიხედვით სკოლა გეგმავს ადმინისტრაციული წერების ჩატარებას მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით და შედეგებიდან გამომდინარე კურიკულუმის მოდიფიცირებას. იმავე სასკოლო სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავება და მოსწავლის პირველადი მართვა, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში.

სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკური აღზრდის სასწავლო პროცესის დიფერენციალურ და ინკლუზიური მიდგომებს, სკოლაში იგეგმება სსსმ მოსწავლეებისათვის ფიზიკური აღზრდის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავება და მოსწავლეების საჭიროებისადმი მორგება, რომელიც ჩაშენებული იქნება კომპლექსურ დავალებებში.

წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე არის დაგეგმილი. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, რადგან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებზე და ინდგეგმებზე მუშაობის გამოცდილება. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საერთო ჯამში, მასწავლებლებს აქვთ სწავლების დიფერენცირებული მიდგომის პრაქტიკა და სასწავლო პროცესის ინკლუზიური ხედვა. მათ აქვთ მზაობა რომ სასწავლო პროცესი დაგეგმონ და წარმართონ მოქნილ გარემოში, კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე.

სკოლა განიხილავს მოსწავლეს, როგორც სწავლა-სწავლების აქტიურ სუბიექტს და მიიჩნევს, რომ განათლების უმთავრესი მიზანი მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარების ხელშეწყობაა, ამისათვის მათ შემუშავებული აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (დანართები-1; 27; 28,29, 30,31) კურიკულუმში შეთავაზებული კომპლექსური დავალებები, როგორც კათედრების წარმომადგენლებმა აღნიშნეს გასაუბრებისას, სსსმ მოსწავლეებისათვის ქმნიან მოდიფიცირებულ კომპლექსურ დავალებებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

---

კურიკულუმი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს, მიუხედავად იმისა რომ ხელოვნებაში ფრაგმენტულად ჩანს დაწყებით საფეხურის სხვადასხვა კლასში კურიკულუმში გაწერილი კომპლექსური დავალებები, ჩანს დავალებების კომპლექსური ბუნება რომელიც მისცემს მოსწავლეს შესძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით. ვინაიდან კურიკულუმში მეტწილად მოცემულია კომპლექსური დავალებები, რომლებიც თავისთავად მოიაზრებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს სხვადასხვა არჩევანს ერთი და იმავე საკითხის დამუშავებისას და ერთი და იმავე სამიზნე ცნებაზე მუშაობისას საბოლოო პროდუქტი იყოს მრავალფეროვანი და მათ შესაძლებლობებზე მორგებული.სკოლის სასწავლო გეგმაში აღნიშნულია ,რომ: „სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლის ინდივიდულუალურ ფიზიკურ და ფსიკქიკურ მახასიათებლებს,შესაძლებლობებსა და ინტერესებს. აქტიურად იყენებენ დიფერენცირებული სწავლების სტრადეგიებს. მასწავლებლები დროულად გამოკვეთენ საჭიროებებსა და არჩევენ შესაბამის სტრატეგიას სასწავლო შედეგის გასაუმჯობესებლად.“ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში ვკითხულობთ,რომ პარალელური კლასებისთვის პედაგოგები თანხმდებიან თემებისა და ძირითადი საკითხების სინქრონულ განაწილებაზე;- უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომლთა შესრულებასაც მოსწავლეს მთლიან პიროვნული ინტეგრირებული გამოცდილება და მაღალი სააზროვნო უნარები სჭირდება.სასწავლო პროცესში მოხდება კომპლექსური დავალებების ადაპტირება მოსწავლეთა საჭიროებებისა და წინარე ცოდნის გათვალისწინებით. ერთი კლასის ფარგლებში ერთსა და იმავე საკითხზე სხვადასხვა მოსწავლემ შესაძლოა სხვადასხვა კომპლექსური დავალება განახორციელოს. აქვე უნდა აღინიშნოს რომ სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩანს სსსმ მოსწავლისთვის განსაზღვრული რესურსი. აღნიშნულია,რომ „სკოლის დირექცია და ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები სკოლა სსსმ მოსწავლეებთან ეფექტური მუშაობის მიზნით შეიმუშავებს ინკლუზიური განათლების დანერგვისა და განხორციელების სამოქმედო გეგმას,სწავლის დაწყებიდან ორ კვირაში შქმნიან ინდივიდუალურ გეგმებს. როგორც ინტერვიუს დროს გამოჩნდა მასწავლებლები საჭიროებიდან გამომდინარე ქმნიან სსსმ მოსწავლეებზე მორგებულ ადაპტირებულ კომპლექსურ/კომპლექსური ტიპის დავალებებს.

.სკოლას გააზრებული აქვს, რომ სასწავლო პროცესი უნდა დაიგეგმოს და წარიმართოს სწავლების დაწყებითი საფეხურისთვის დამახასიათებელ მოქნილ სასწავლო გარემოში მოსწავლის ინტერესების, შესაძლებლობების და საჭიროებების მიხედვით, რაც კარგად ვლინდება კომპლექსური დავალებების შესრულებისას, კურიკულუმებში გათვალისწინებულია კომპლექსური დავალებები, ასევე წარმოდგენილია ნიმუშები, თუმცა ეს ნიმუშები მოსწავლეს ნაკლებად აძლევს შეასძლებლობას შეარჩიოს მისთვის სასურველი შემოქმედებითი პროდუქტის ფორმა. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებელი იაზრებს საკითხის მნიშვნელობას და გამოთქვამს მზაობას შექმნას ისეთი ნიმუშები, რომელიც მოსწავლეს მისცემს საშუალებას აირჩიოს მისთვის უფრო მეტად სასურველი შემოქმედებითი პროდუქტის ფორმა.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკური ორიენტირებისაკენ. მოსწავლეებისათვის უკუკავშირის დაბრუნება ხდება შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით, კათედრაზე შექმნილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით თემის ფარგლებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

----

შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შესაბამისია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებთან, მოსწავლის მიღწევებსა და საფეხურის შედეგების ინდიკატორებს შორის.
სკოლამ წარმოადგინა ორი სახის შეფასების რუბრიკების ჩარჩოები. ინტერვიურების პროცესში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებმა იციან, რომ განმსაზღვრელი შეფასება კეთდება სტანდარტის ინდიკატორებზე დაყრდნობით და განმავითარებელი შეფასება ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე. კათედრების მიერ იგეგმება შეფასების ნიმუშები წარმოადგინონ სექტემბრამდე.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები ფიზიკური აღზრდის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში გაწერილი უნდა იყოს თემებთან. დაგეგმილი კომპლექსური დავალებებთან დაკავშირებით, შეფასების ინსტრუმენტები, რომელიც წარმოადგინა სკოლამ არის ზოგადი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

უცხო ენებში წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში არ გვხვდება დაწყებითი საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ზოგადი ან კერძო ნიმუშები, თუმცაღა კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს ნათელი გახდა, რომ კათედრაში შემავალ საგნის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება როგორც ერთი მთლიანი პროცესი და აქვთ მზაობა, რომ დაწყებით საფეხურზე შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული რუბრიკებზე დაფუძნებით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ქართულ ენაში დაწყებითი საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიემართება გრძელვადიან მიზნებს, ამას ადასტურებს ის, რომ შეფასების კრიტერიუმები მორგებულია ცნებებსა და ცნებების მკვიდრ წარმოდგენებს, კონკრეტულ კომპლექსური ბუნების დავალებას. ასევე, სკოლა გეგმავს „ჰოლისტური შეფასების მექანიზმების განსაზღვრას, სოლო ტაქსონომიის შემუშავებასა და დანერგვას სასწავლო პროცესში. (თვითშეფასების კითხვარი- დანართი 03.).

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დაწყებით საფეხურზე სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში და მუსიკაში განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; სკოლაში მოქმედებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. შეფასება მიემართება მოსწავლეთა შედეგების ინდენტიფიცირებას, მიღწევების გაუმჯობესებას და ფარავს სწავლა სწავლების გრძელვადიან მიზნებს. სასკოლო სასწავლო გეგმაში ვკითხულობთ,რომ მათ მიერ გამოყენებული განმსაზღვრელი შფასება ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს. განმავითარებელი შეფასებით ფასდება ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესი, მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარი, ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესი, ცოდნის ერთობლიობათა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ხელაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----

ფუნქციურად გამოყენების უნარი, ასევე დგინდება წინარე ცოდნა/წარმოდგენები. რასაც ადასტურებს ესთეტიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი (მე 6 კლასის) და განმავითარებელი მე2,მე 3 მე 4 და მე 5კლასების შეფასების რუბრიკები და შეფასებული სოლო ტაქსონომიის ცხრილი და მოსწავლეთა ნაშრომები.) კურიკულუმში გათვალისწინებული კომლექსური დავალებებში ჩაშლილია გრძელვადიან სასწავლო მიზნებზე ორიენტირებული კრიტერიუმები რაც გვაფიქრებინებს რომ მასწავლებლებისთვის განმავითარებელი შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

მათემატიკაში სკოლამ წარმოადგინა ორი სახის შეფასების რუბრიკების ჩარჩოები (რამდენიმე ნიმუში) ერთი, რომლებიც მიემართება სამიზნე ცნებებზე-გრძელვადიან მიზნებზე, და მეორე, რომელიც აფასებს მოსწავლის ცოდნას სტანდარტის შედეგებთან მიმართებით. ინტერვიურების პროცესში გამოიკვეთა, რომ კათედრის მიერ იგეგმება შეფასების ნიმუშები წარმოადგინონ სექტემბრამდე.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

დაგეგმვის პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს. წარმოდგენილია გასულ სასწავლო წელს დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, რომლებიც შექმნილია მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით, წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით ჩანს, რომ სკოლა ახორციელებს გაკვეთილების თვითშეფასებას, რაც მტკიცდება სკოლის მიერ წარმოდგენილი მასწავლებლის მიერ გაკეთებული კომპლექსურის ანალიზის ნიმუშით . შესაბამისად, ჩანს, რომ სკოლა კათედრაზე/კათედრებზე ითვალისწინებს წინარე გამოცდილებასა და მისი ანალიზის შედეგებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად, დასტურდება, რომ პედაგოგები აანალიზებენ საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას. უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და მიღებულ რჩევებს ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. სკოლა ჩართულია ზოგადი განათლების რეფორმაში და ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრაზე ძირითადად ზეპირსიტყვიერად ხდება მოსწავლეთა ნამუშევრების შეფასება, ანალიზი და კოლეგების უკუკავშირი. დაგეგმილი შუალედური მიზნები კი სწორედ წინარე წარმატებულ გამოცდილებაზე და გამოწვევებზე დაყრდნობითაა შემუშავებული. საბოლოოდ, იკვეთება, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ საგნობრივი კურიკულუმებისა და ინდგეგმების გარდა, შეიმუშაონ მოსწავლეთა თვითშეფასებისა და მასწავლებელთა თვითრეფლექსიის ინსტრუმენტები და სასკოლო კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებით კათედრაზე მიიღონ გადაწყვეტილებები მტკიცებულებებზე დაყრდნობით. მასწავლებლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ კურიკულუმის დაგეგმვისას აანალიზებენ ხარვეზებს და კურიკულუმს აუმჯობესებენ. წარმოდგენილი მასწავლებლის პორთფოლიოებიდან ჩანს მათი გამოცდილება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით, წარმოდგენილია მოსწავლეთა შეფასების ამსახველი დოკუმენტები,წინა წლის თემატური გეგმა, რომელიც ითვალისწინებს სასწავლო პროცესის წინარე ცოდნაზე დაყრდნობით დაგეგმვას. როგორც ინტერვიუდან გამოჩნდა, მასწავლებლები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ბერიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

----

ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით. ინტერვიუდან და სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი ინფორმაციიდან შიძლება ითქვას,რომ მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების და წლის განმავლობაში მიღწეული შედეგების ანალიზის საფუძველზე კათედრები ერთობლივად მუშაობს მომავალი წლის კურიკულუმზე, რომელიც ეფუძნება წინარე ცოდნას და ორიენტირებულია შედეგების გაუმჯობესებაზე.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმი;
2. საგნობრივი პროგრამები;
3. სასკოლო სასწავლო გეგმა (სსსმ მოსწავლეების შესახებ ხედვა);
4. დანართი N1 სასკოლო სასწავლო გეგმა
5. დანართი N 16 კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.
6. საგნობრივი კურიკულემები;
7. პედაგოგის პორთფოლიო;
8. დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია-განხორციელებული კომპლექსური დავალება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებებით;
2.1.2.1- დანართი 03; 16 (მოთხოვნილიდან); დანართი-0.6 2023-2024
2.1.2.2- დანართი 03; დანართი-0.6 2023-2024; დანართები 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 20
2.1.2.3- დანართი 03; დანართი-0.6 2023-2024; დანართები-1; 25, 26, 27; 28,29, 30,31, 32)
2.1.2.4-დანართი 03; დანართი-0.6 2023-2024; დანართები: 55,
2.1.2.4-დანართი 03; დანართი-0.6 2023-2024; დანართი 49

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

v შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ვ. ხერხეულიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

1.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; სკოლის პედაგოგებისთვის თითოეული მოსწავლე განიხილება დამოუკიდებელ ინდივიდად, მოსწავლეებისათვის ხელშეწყობა ხდება იმ მიზნით, რომ ისინი ჩართული იქნან სასწავლო პროცესში, მაღალია მოსწავლეთა არჩევანის თავისუფლების ხარისხი. ბავშვებს აქვთ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება. საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივი კათედრას საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული აქვს კომპლექსური დავალებები იდეების დონეზე, გასაუბრებისას კათედრის წევრები აფიქსირებენ კომპლექსური დავალებებით სწავლა-სწავლებას და დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით. კომპლექსური დავალება მოსწავლეს აძლევს აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვის შესაძლებლობას. შესაბამისად, მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმები მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას შეუწყობს ხელს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დაწყებითი საფეხურის 1-6 კლასის კურიკულუმებში გაწერილია როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული შინაარსის თემები. დაწყებით საფეხურზე მოწყობილი სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, ფესტივალები, რომელშიც ჩართულია ყველა

მოსწავლე და ინფორმირებულია მშობლები იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანს, თითოეულ ბავშს აქვს შემოქმედებით პროცესში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობა.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

უცხო ენების საგნობრივი კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების გაცნობისას შეიძლება დავასკვნათ, რომ დაგეგმილი კურიკულუმის რეალიზება მიმართულია ისეთ საკლასო გარემოზე და საგაკვეთილო პროცესზე, როდესაც საკვანძოდ მნიშვნელოვანია ისეთი აქტივობების განხორციელება, სადაც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიექტი და აქტიურადაა ჩართული სასწავლო პროცესში. დაწყებით საფეხურის კურიკულუმში მოცემული შუალედური მიზნები, საშუალებას მისცემს მოსწავლეს, რომ განიხილოს ახალი ინფორმაცია, გადაამუშაოს და განიხილოს იგი ახალ კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცეს და ახსნას იდეები თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ ზეპირი სახით. კურიკულუმის გაცნობისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ის, რომ ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების პორცესში მათი როლი არის ორგანიზებული მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კათედრის წევრებს აქვთ მზაობა, რომ მათ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას ხელი შეუწყონ აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დაწყებითი საფეხურის კათედრაზე ჭადრაკის კურიკულუმში გაწერილი საკითხები, კომპლექსური დავალება მოსწავლეებს შეუქმნის შემოქმედებით პროცესში აქტიურად ჩართულობის შესაძლებლობას. სკოლას აქვს ამ წლის გამოცდილება და ინტერვიუში აღნიშნეს, რომ არსებული დაკვრვების საფუძველზე, ყველა სირთულე გაითვალისწინეს და ისე დაგეგმეს 2023-24 სასწავლო წლის კურიკულუმი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, რაც კარგად ჩანს მასწავლებლის პორტფოლიოში წარმოდგენილი მასალით - კონსტრუქტივისტული მიდგომებით, რესურსებით, პროექტებით და სტრატეგიებით. სკოლის სასკოლო გეგმაში აღნიშნულია რომ მოსწავლეებს ეძლევათ პრობლემაზე დაფუძნებული დავალებები. ინტერვიუზე აღნიშნეს, რომ მუსიკა და ხელოვნების ყველა მასწავლებელი წლის განმავლობაში რამდენჯერმე გეგმავს და ახორციელებს სასკოლო ღონისძიებებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას, ასევე მოსწავლეებში შინაგანი მოტივაციის ზრდას, უყალიბდებათ პოზიტიური დამოკიდებულებები და იზრდება მათი აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა.

მათემატიკის საგნობრივი კათედრა ორიენტირებულია, სწავლა-სწავლების პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით.

მეოთხე კლასში წარმოდგენილია ორი კომპლექსური დავალება, მეხუთეში - შვიდი, ხოლო მეექვსეში- ხუთი კომპლექსური დავალება, დანარჩენ კლასებში არ იყო წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, თუმცა გეგმავენ სექტემბრამდე გაასწორონ ეს პრობლემა ამ მეთოდით სწავლება კი თავისთავად უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ---

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

საგნობრივ კურიკულუმში, საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრას განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალება, როგორც შუალედრი სასწავლო მიზანი, კათედრა მიზნად ისახავს კომპლექსური დავალებებით სწავლა -სწავლებას და დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში გათვალისწინებულია წინარე ცოდნის გააქტიურება ასევე კონტექსტ მაგალითები, რომლებიც იშვიათად/ფრაგმენტულად მაგრამ მაინც არის წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში, რაც გვაძლევს დასკვნის საშუალებას, რომ სწავლა - სწავლება დაეფუძნება ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ბუნებისმეტყველების კათედრა ირჩევს სასწავლო პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით, კომპლექსური დავალებებით მუშაობა კი უზრუნველყოფს ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. ყველა კლასში არის გაწერილი კომპლექსური დავალებები, მასწავლებლებთან ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ გეგმავენ მათი რაოდენობის გაზრდას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირება ორგანიზებულია ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის მიერ და ეფუძნება წინარე ცოდნაზე დაშენებას. მოსწავლეები ასე უკეთ ეუფლებიან ახალი მასალის შენება-გააზრებას. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე მუშაობისას მოსწავლეს წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით გაუადვილდება სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიან მიზნებზე გასვლა.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დაწყებითი საფეხურის პირველი და მეორე უცხოური ენების კურიკულუმებში პროცესი მიმართულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე და შერჩეულია სათანადო თემები, კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები და რესურსები, თუმცა არის მცირედი უზუსტობებიც. მაგ., მე-5 კლასის რუსულის კურიკულუმის ჩარჩოში სამიზნე ცნებების სვეტში არის ჩასმულია დამხმარე რესურსების ლინკი. მიუხედავად აღნიშნულისა, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ სასწავლო პროცესის წარმართვისთვის შეარჩიონ სათანადო თემები, კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები და რესურსები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება მოსწავლეებისთვის გამომდინარე მათი წინარე ცოდნა-გამოცდილებიდან. ეს კი დაეხმარება მათ ცოდნის კონსტრუირებაში და ცნების/ქვეცნების გააზრებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ჭადრაკის კურიკულუმზე დაყრდნობით, ახალი ცოდნა ეფუძნება წინარე ცოდნას. გათვალისწინებულია კონსტრუქტივისტული მიდგომა. ჭადრაკი ხელს უწყობს ისეთი უნარების განვითარებას, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, კოლაბორაცია და კრეატიულობა. კავშირი მათემატიკასთან: ლოგიკა; კომბინატორიკის საწყისები - ვარიანტების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ბერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

---

დათვლა; მასწავლებელს მითითებული აქვს ,როგორც სამიზნე ცნებები, რაც არასწორია. სამიზნე ცნება პირველ კლასში არის საჭარდაკო დაფა და ჭადრაკის ფიგურა.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

სკოლის მიერ წარმოდგენილ, ქართული ენის სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში იკითხება, რომ მომდევნო სასწავლო წელს დაგეგმილი პროცესები ხელს შეუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. კურიკულუმის ჩარჩოები აგებულია თემების გათვალისწინებით, რაც ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის და დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებული დავალების პირობათა უმრავლესობა შემუშავების პროცესშია, მაგრამ წარმოდგენილ ნიმუშებში ჩანს მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი, მაგ, კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა .ეს არგუმენტი ცხადყოფს, რომ მომდევნო სასწავლო წელს პროცესი წარიმართება აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით. კონკრეტულ დავალებამდე განსახორციელებელი აქტივობები წარმოდგენილი იქნება განხორციელების პროცესის დასასრულს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ესთეტიკური მიმართულების საგნობრივი კურიკულუმები ეყრდნობა მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, რაც წარმოადგენს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას.(განსაკუთრებით ჩანს მუსიკის კურიკულუმის ჩარჩოში),ხოლო ხელოვნების კათედრის პედაგოგებმა ინტერვირებისას აღნიშნეს,რომ მოსწავლეები ინფორმაციის დამუშავებას და ცოდნად გარდაქმნას, წინარე ცოდნის საშუალებით ახორციელებენ, რაც განაპირობებს შინაგანი ძალების გააქტიურებას.კომპლექსური დავალებები ისეა შედგენილი, რომ მოსწავლებს შეუძლიათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირება და დამუშავება . კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას უწევთ მათთვის ნაცნობი პრობლემის გადაჭრა , არსებული ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება, იდეების გენერირება და შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ტექნოლოგიებში წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური დავალებების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რადგან მოსწავლეებმა შეძლონ ინფორმაციის მიღება და გამოყენება.სკოლას გააზრებული აქვს , რომ კომპლექსურმა დავალებამ მოსწავლის წინარეცოდნის გააქტიურება უნდა უზრუნველყოს, რისთვისაც მნიშვნელოვანია მისი პირობის ადაპტირება მოსწავლეების ინტერესებთან და შესაძლებლობებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

მათემატიკის კათედრა ირჩევს სასწავლო პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით, კომპლექსური დავალებებით მუშაობა კი უზრუნველყოფს ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. მეოთხე კლასში წარმოდგენილია ორი კომპლექსური

დავალება, მეხუთეში - შვიდი, ხოლო მეექვსეში- ხუთი კომპლექსური დავალება, დანარჩენ კლასებში არ არის წარმოდგენილი, თუმცა გეგმავენ სექტემბრამდე შეიმუშაონ კომპლექსური დავალებები ამ კლასებისთვის სექტემბრის თვემდე.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

სასწავლო პროცესში აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე; სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესი, კომპლექსური დავალების არსიდან გამომდინარე,უზრუნველყოფს სწავლის სწავლას და უზრუნველყოფს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას.

სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, მათ მიერ პრობლემის იდენთიფიცირებისა და გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიება. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს.

წარმოდგენილ საგნობრივ პროგრამებში ყველა საგანში არ იკვეთება, რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. თუმცაღა, ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა მასწავლებლების მზაობა, რომ მათ შეუძლიათ მეტაკოგნიტური სტრატეგიების ინტეგრირება ყველა საგანში. მაგალითად, დაგეგმილი აქვთ არა მხოლოდ კომპლექსური დავალების საკვანძო შეკითხვების გამოყენება ან წერის/ლაპარაკის თვითშეფასების რუბრიკების წარმოება, არამედ მაგალიათად, სწავლის წინმსწრებ და სწავლის შემდგომ მეტაკოგნიტური სტრატეგიებზე მუშაობაც. საერთო შეფასებით, კათედრის წევრ მასწავლებლებს შეუძლიათ შესთავაზონ მოსწავლეებს ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებიც იძლევა მათი ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების საშუალებას და სწავლაში ხელისშემწყობი/ხელისშემშლელი ფაქტორების გამოკვეთას.

ინტერვიუდან, წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან, პორთფოლიოებში, სკოლის სასწავლო გეგმასა და მეთოდოლოგიაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე რომლის მიზანია მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები, კომპლექსური დავალებები ისეა აგებული, რომ მოსწავლეს დამოუკიდებლად შეუძლია დავალების მნიშვნელობის განსაზღვრა. მოთხოვნათა გააზრება და მის შესასრულებლად საჭირო ცოდნის განსაზღვრა; დავალების/აქტივობის მთავარი მიზნის განსაზღვრა; სამუშაოს წარმატებით შესრულების კრიტერიუმების დადგენა; განსახორციელებელი სამუშაოს ეტაპების გამოკვეთა; იმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ჟ. ხუროშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----

განჭვრეტა, თუ რა გაუადვილდება, რა გაუმნელდება, რაში დასჭირდება დახმარება; სტრატეგიების მიზანშეწონილად შერჩევა. სასწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი, წახალისებულია მოსწავლის ინიციატივები. (სასწ. გეგმა)

მაგალითად, პორთფოლიოში წარმოდგენილ მუსიკის მე 6 კლასის მატრიცაში განსაკუთრებით ჩანს როგორ იყენებს პედაგოგი სხვადასხვა სტრატეგიებს დაგეგმილი დავალებები მოსწავლეს აძლევს ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების საშუალებას. მოსწავლე თავად ახდენს შესრულებული დავლების ანალიზს, მას შეუძლია პირობების და ფაქტორების ამოცნობა, რომლებიც ხელს უწყობს ან აფერხებს წინსვლას, მას შეუძლია სათანადო ზომების მიღება წინსვლის ხელშესაწყობად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

სასწავლო პროცესი იქნება ორიენტირებული ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული); საზოგადოებრივი მეცნიერებების დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში კომპლექსური დავალება განსაზღვრულია შუალედურ სასწავლო მიზნად, მომდევნო წლისთვის მასწავლებლები გეგმავენ კომპლექსური დავალებებით სწავლა -სწავლებას და დავალების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში მნიშვნელოვანია ცოდნის სამივე კატეგორიის გათვალისწინება, შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომპლექსური დავალების დანერგვის პროცესში ხელი შეეწყობა ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას. ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა მე-5 და მე-6 კლასებშიც შეარჩევს მოსწავლეების განვითარებაზე ორიენტირებულ კომპლექსურ დავალებებს და სწავლა-სწავლების პროცესს წარმართავს ამ მეთოდიკით. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას ვინაიდან კომპლექსური დავალების შედეგი არის პროდუქტი, რომლის დამზადებასაც სჭირდება დეკლარატიული ცოდნა, პროცედურების განხორციელება და ნასწავლის ტრანსფერი ახალ გარემოში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დაწყებითი საფეხურის ფიზიკური აღზრდის სკოლის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს ცოდნის სამივე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) კატეგორიის წარმოდგენას. კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენებას ფიზიკურ აქტივობებში და მათ გადატანას ახალი აქტივობების შესწავლის პროცესში. მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეები ცოდნის ორიენტირებას მარტივიდან რთულისაკენ.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ბერიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

---

სკოლის მიერ წამოდგენილი დაწყებითი საფეხურის ყველა საგნის კურიკულუმებში განხილული/ დაგეგმილი კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითებს ასახავს. კონკრეტულ დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეს უწევს როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტილების მოძებნა. ასეთებია მაგალითად, ინგლისური ენის მე-4 კლასის დავალება როლური თამაში: უცხოელი ტურისტებისთვის გზის მისწავლება“ წარმოიდგინე, რომ შენს ქალაქში ქუჩაში შეგხვდა ტურისტი, რომელმაც გთხოვა გაგეცნო და მიგესწავლებინა მისთვის შენი ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები.

მეწყვილესთან ერთად შეადგინეთ და გაითამაშეთ დიალოგი ტურისტსა და ადგილობრივს შორის.მე- 2 კლასის დავალება: ‘’დიალოგი/ ინტერვიუ თანაკლასელთან“სადაც მოსწავლეებმა უნდა დასვამ შემდეგი კითხვები: რა ჰქვია, სად ცხოვრობს, როგორი ოჯახი ჰყავს,რამდენი და ან ძმა ჰყავს,რა არის მისი ჰობი, ჰყავს თუ არა საყვარელი შინაური ცხოველი ან ფრინველი, რა არის მისი საყვარელი წიგნი, რომელია მისი საყვარელი ფერი, საყვარელი სკოლის ნივთი და ა.შ.ნამას გარდა, გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ დაწყებითი საფეხურის ყველა კლასში მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი ტიპის კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, რომელზე მუშაობაც მოითხოვს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას და საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას, სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ჭადრაკის სწავლების პროცესში უნდა იკვეთებოდეს კავშირი მათემატიკის საგანთან. საკოორდინატო სიბრტყე; კოორდინატი; გეომეტრია- ოთხკუთხედი, კვადრატი, გეომეტრიული ფიგურები; ციფრების ცოდნა; ჩანაწერის გაკეთება (კოორდინატის ჩაწერა) რაც მოსწავლეებს დაეხმარება ცოდნათა ორგანიზებაში და ურთიერთდაკავშირებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ესთეტიკკური მიმართულების სგნების მასწავლებლებთანინტერვიუდან და პორთფოლიოებში წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული);რაც კარგად არის ასახული საგნობრივ პროგრამებში, კომპლექსურ დავალებებსა და არაფორმალურ აქტივობებში. ორიენტირება ცოდნის სამივე კატეგორიაზე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში საკითხის გააზრებას, არსობრივ წვდომასა და სხვადასხვა კონტექსტში ცოდნის ადეკვატურ გამოყენებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეების ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეები, იგეგმება დავალბების პირობის სრულყოფა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ვ. ხუროშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----

ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომპლექსური დავალების დანერგვის და განხორციელების პროცესში ხელი შეეწყობა ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირების პროცესს.

პირობისეული ცოდნა, რომელიც კომპლექსური დავალებების განხორციელების აუცილებელი პირობაა, ხელს უწყობს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. მასწავლებლებთან შეხვედრისას გამოიკვეთა , რომ ახორციელებენ და გეგმავენ ინტეგრირებულ დავალებებს, რომლებიც ხელს უწყობს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას.

საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. კურუკულუმში გაწერილი თემები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ფიზიკური აღზრდის კომპონენტები ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა.

წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ასახავს კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებს, სადაც განსახილველი თემის შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის. ამდენად, აღნიშნული უზრუნველყოფს იმ გარემოებას, რომ მოსწავლე იწყებს ფიქრს პრობლემაზე, გამოწვევაზე და თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია; ნაცვლად ახალი მასალის დასწავლისა და უბრალო რეპროდიქციისა, მოსწავლე ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე.

წარმოდგენი კურიკულუმის ჩარჩოში ასახული ინფორმაცია, განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები, აღნიშნული კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ ყურადღება მახვილდება მოსწავლის მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე. საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც სკოლამ დაწყებით საფეხურზე წარმოადგინა, საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენს, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. ეს ფაქტორები გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების პროცესში, რადგან მითითებული კომპლექსური დავალებების დანერგვა ვერ განხორციელდება ცოდნათა დაკავშირებისა და კონსტრუირების გარეშე.

ინტერვიუდან და პორთფოლიოებში წარმოდგენილი დოკუმენტების (განხორციელებული კომპლექსური დავალებებიდან, პროექტებიდან,) ნათლად ჩანს რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. კომპლექსური დავლებები და სხვადასხვა სასკოლო პროექტები ისეა აგებული, რომ მოსწავლემ გააერთიანოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

---

ყველა ის უნარი და ცოდნა, რაც მას გამოადგება პრობლემის გადაჭრისას, გამოწვევებთან გამკლავებისას და პროდუქტის შექმნისას. ყოველივე ეს ხელს უწყობს ცოდნის ინსტრუმენტად გარდაქმნას.

წრმოდგენილ კურიკულუმებზე დაყრდნობით და გასაუბრებით შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.საგნობრივი კურიკულუმები ორიენტირებულია, რომ მოსწავლეებმა შეძლონ მათი შესაძლებლობების, უნარების, ცოდნის გააზრება და ამ ყველაფრის პრაქტიკაში გამოყენება. მოსწავლეები წინასწარ ეცნობიან კომპლექსური დავალების პირობას, განსაზღვრული აქვთ, რა პროდუქტი უნდა შექმნან, რა ცოდნა და გამოცდილება უნდა დაიგროვონ მიმდინარე გაკვეთილებზე.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.1. კურუკულიუმები;

2. კურუკულიუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები;
3. დანართი 49; 03; 20, 65;74;77...;
4. კურიკულუმის ჩარჩოები, დანართი 03’
5. კურიკულუმები, თანდართული მატრიცების სამუშაო ვერსიები.
6. კურიკულუმი; სასწავლო პროექტები; დანართი 03;
7. კურიკულუმი; სასწავლო პროექტები; დანართი 03.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ყურაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

----

----

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; დაწყებითი კლასის კურიკულუმში კათედრას/კათედრებს გათვალისწინებული აქვს გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები, იქ სადაც კომპლექსური დავალების იდეას განსაზღვრავს, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით კათედრას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებისდამისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. სასწავლო პროცესი ისე არის დაგეგმილი, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს, პირობას და შემდეგ წინარე ცოდნაზე დაშენებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით.

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში გამოკვეთილია , რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე (სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე). ზოგიერთ შემთხვევაში ქვეცნებების ჩამონათვალი სრულყოფილი არ არის, მაგრამ ეს არ უშლის ხელს იმის აღქმას, რომ სასწავლო პროცესი ნამდვილად მიემართება გრძელვადიან მიზნებს. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ გააზრებული რომ განმავითარებელი რუბრიკა ეფუძნება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს და აკონკრეტებს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსს ქვესაკითხებთან მიმართებით.

მაგალითად ჭადრაკში წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო ნაწილობრივ ეფუძნება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია არაა სამიზნე ცნებები, არის თემები, შესასწავლი საკითხები.

დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები ეფუძნება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, შესასწავლი საკითხი და შუალედური მიზნები, რომლებიც კონკრეტული ცნების მკვიდრი წარმოდგენის გააზრებას ისახავს მიზნად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
---

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ კომპლექსური დავალების პირობაში ჩაშენებული კრიტერიუმები კორელაციაში იყოს ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან, წინააღმდეგ შემთხვევაში არამიზანმიმართული გახდება სწავლების პროცესი, ვერ იქნება გათვალისწინებული სტანდარტით დადგენილი მოთხოვნები.

მასწავლებლების პორტფოლიოებში, კურიკულუმის ჩარჩოებში და ინტერვიურებიდან გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

მაგალითად მუსიკის დაწყებითი საფეხურის პირველი, მე - 2, მე - 5, მე -6 კლასების კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია, თუ რა მიზანს ემსახურება და რა შედეგზეა ორიენტირებული მითითებული საგნის საკითხების შესწავლა. სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს.

საგნობრივ სწავლებაში პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას აქცენტირებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში ძირითადი თემებია განსაზღვრული, კათედრას/კათედრებს ამ ეტაპზე დამატებითი საგნობრივი კონტექსტების ნაწილი აქვს შერჩეული კონკრეტული კომპლექსური დავალების განხორციელებისათვის თუმცა, ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ კათედრის/კათედრების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის მიხედვით დაგეგმილი სასწავლო პროცესი, კომპლექსური დავალებების გასიტყვების ნაწილი, მოემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო - სოციალურ განვითარებას. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო - სოციალურ განვითარებას.

მასწავლებლის მიერ შეთავაზებული მრავალფეროვანი აქტივობები და რესურსი უზრუნველყოფს შემოქმედებითი უნარების განვითარებას.

კურილულემებში გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები, რომლებიც ასახავს სხვდასხვა სახეობის ისტორიებს და ცხოვრების ჯანსაღ წესს, აგრეთვე მასწავლებლის/მასწავლებლების მიერ დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი პროექტები, ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ, ფსიქო-ემოციურ განვითარებას და კეთილდღეობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

---

წარმოდგენილ ჭადრაკის კურიკულუმის ჩარჩოში ამ ეტაპზე არ ჩანს, რომ საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეს ეხმარება პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. სავარაუდოდ ,დავალებებზე მუშაობისას, აქტივობების პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ისაუბროს საკუთარ ემოციებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად; დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა,

ზოგადად წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეს ეხმარება პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. დავალებებზე მუშაობისას, აქტივობების პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ისაუბროს საკუთარ ემოციებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად; დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა; სასწავლო პროცესის გარდა კათედრა/სკოლა ზრუნავს მოსწავლის სოციალურ-კულტურულ განვითარებაზე, ამაზე მიგვანიშნებს მათ მიერ განხორციელებული არაფორმალური აქტივობები, პროექტები ,,ყველა ადამიანშია მზე“ და ,,ჩვენ ვირჩევთ ჯანსაღი ცხოვრების წესს.“ (დანართი 82, 15, 48,51, 63).

პორთფოლიოებში წარმოდგენილი (დავალებები, სხვადასხვა აქტივობები მატრიცის სახით) ეხმარება მოსწავლის პიროვნული სოციო - ფსიქოლოგიურ განვითარებას. ასევე სკოლა ახორციელებს სოციალურ პროექტებს (მტკიცებულება - წარმოდგენილია სახალისო კონკურსი “საუკეთესო ნაძვის ხე“) რაც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ ზრდას, განვითარებას, ემოციების მართვას. მოსწავლეებს უყალიბდებათ ღირებულებათა სისტემა. ეჩვევიან გუნდურ მუშაობას, ამყარებენ პოზიტიურ ურთიერთობებს, მოსწავლეებს უყალიბდებათ პასუხისმგებლობა და ემპათია.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. შეფასების სისტემა(განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

სკოლის მიერ წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ეყრდნობა სტანდარტში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენიდან. რომელიც საჭიროებს დახვეწას და რის მზაობასაც გამოხატავს სკოლა, მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე ფიზიკურ აღზრდაში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიზანმიმართულად გამოიყენება, საგნის

სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის უცხო ენების კურიკულუმი წარმოადგენს სასწავლო პროცესზე ორიენტირებულ კურიკულუმს და ჩანს, რომ შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას. მიუხედავად იმისა, რომ დაწყებით საფეხურზე არ წარმოუდგენიათ ყველა უცხოური ენის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კერძო რუბრიკები, ინტერვიუს დროს, ნათლად წარმოჩინდა რომ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით კათედრაზე განიხილება სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა - სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. გამოიკვეთა ასევე, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასების აუცილებელ კომპონენტებად უნდა განიხილონ დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტირება განვითარების ყველა სფეროს (კოგნიტური, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური) მიხედვით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ქართული ენაში დაწყებითი კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები (შესასვლელი და გასასსვლელი ბარათები, შეფასების განმავითარებელი რუბრიკა) არის წინაპირობა მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების. რადგან მოსწავლეთა საჭიროებების დაგენა და სასწავლო პროცესის შესაბამისად დაგეგმვ მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას შეუწყობს ხელს.

შეფასების ფორმები , დონეები და რუბრიკები მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში,სადაც აღინიშნება,რომ მოსწავლეები შეფასების ინდიკატორებისა და რუბრიკების შესახებ ინფორმაციას იღებენ როგორც გაკვეთილებზე, ასევე თითოეული შემაჯამებელი დავალების წერისას. მოსწავლეებს უკუკავშირის გათვალისწინებით, საშუალება აქვთ შეაფასონ როგორ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი და როგორ იმუშავონ არსებულ გამოწვევებზე. ჰოლისტური შეფასების მექანიზმად სკოლა ხელმძღვანელობს განმავითარებელი შეფასების სახით სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიით(სოლო ტაქსონომიის ცხრილი) ასევე კათედრას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკა განმავითარებელი კომენტარებით, ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიაზე დაყრდნობით, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სხვადასხვა თემატური ბლოკთან მიმართებით (მე 5 და მე 6 კლასების) როგორც ამ სასწავლო წლის ისე ქოუჩინგის პროცესში შექმნილი.ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ შეფასებისას იყენებენ განმავითარებელ შეფასებას სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე, სტანდარტის შედეგებზე და სოლო ტაქსონომიაზე დაყრდნობით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

მათემატიკის განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში, რომელიც სკოლას ნიმუშის სახით აქვს წარმოდგენილი, ჩანს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ბერიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

----

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დაწყებითი კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები სხვა საგნებში, არის წინაპირობა მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების.

სკოლას გააზრებული აქვს, რომ შეფასება ეს არის მოსწავლის პროფილის დიფერენცირებული ანალიზი, რომელიც ავლენს მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს და აძლევს მოსწავლეს კონსტრუქციულ უკუკავშირს იმასთან მიმართებაში, თუ როგორ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი და როგორ შეიძლება იმუშაოს არსებულ გამოწვევებზე. სკოლა გეგმავს ჰოლისტური შეფასების მექანიზმების განსაზღვრას და საჭიროების შმთხვევაში ახალი ინსტრუმენტების შემუშავებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

კათდრის/კათედრების დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. მასწავლებლები ფლობენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს და წარმატებით იყენებენ პრაქტიკაში, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს (პრეზნტაცია).

ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთან გასაუბრების დროს კი გამოიკვეთა რომ მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში გათვალისწინებულია ფიზიკური აღზრდის შეფასების სისტემის განვითარება და დახვეწა, რომლებიც სრულად დააკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.

.წარმოდგენილ საგნობრივი პროგრამებიდან ჩანს, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა არის: ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო , ობიექტური და სამართლიანი. ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების სისტემური ხედვა და მზაობა რომ შეფასების კონცეფციის, მეთოდიკური ორიენტირებისა და მიდგომის შემუშავებით შეარჩიონ შეფასების ინსტრუმენტი (მაგ., შეიძლება მასწავლებელმა დაგეგმოს პოტფოლიოების, ჟურნალების, დღიურების გამოყენება, რადგან ეს მიდგომა და დიზაინი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს განახორციელონ რეფლექსია, შეაფასონ საკუთარი ნამუშევარი და მონიტორინგი გაუწიონ სწავლის პროგრესს), განსაზღვრონ შეფასების ინსტრუმენტი და შეიმუშაონ შეფასების კრიტერიუმები.

მაგალითად ქართულ ენაში ამჟამად წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმები ნაკლებად ეფუძნება შედეგების მიღწევის ინდიკატორებს, მაგრამ, როგორც შეხვედრიდან გამოიკვეთა მომავალი სასწავლო წლისათვის კათედრა გეგმავს განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნას ,მასწავლებლები შეიმუშავებენ შეფასების მეთოდოლოგიას, შეფასების კრიტერიუმებს, გაითვალისწინებენ მოსწავლის საჭიროებებს ,გამოკვეთენ, რომელ სასწავლო შედეგს მიემართება შეფასება, შესაბამისად, შეფასება იქნება ვალიდური. მოსწავლეებს ეცოდინებათ, თუ როგორ შეფასდება მათი ცოდნა- ამ შემთხვევაში შეფასება იქნება გამჭირვალე, ობიექტური და სამართლიანი. თითოეული უკუკავშირი იქნება რეალისტური ,დახვეწილი და არაორაზროვანი.,ამ შემთხვევაში ,კი, შეფასება იქნება სანდო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ბერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

---

საგნის/საგნების მასწავლებლების პორტფოლიოში, ასევე სკოლის ერთ წლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია სამომავლოდ რუბრიკების და შეფასების მექანიზმების განხორციელება სკოლაში. შესაბამისად, აღწერის მიხედვით შეფასება უნდა იყოს ვალიდური. აქედან გამომდინა ერთობლივად შემუშავებული შეფასების სისტემა ობიეტურია. შეფასების სისტემის ვალიდურობაზე, გამჭირვალობაზე, სანდოობაზე, ობიექტურობაზე, სამართლიანობაზე მეტყველებს მკაფიოდ გაწერილი შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები, რომელიც მოსწავლეებისათვის მარტივი ენითაა ჩამოყალიბებული, ადვილად გასაგები და მისაწვდომია. მათ ზუსტად იციან, როგორ ფასდება და რა მიზნისკენაა მიმართული შეფასება. (სასურველია შეფასების რუბრიკებში გამოიკვეთოს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები და სტანდარტის შედეგები.)

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ იყო წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, ტექნოლოგიებში, თუმცა ინტერვიუზე ითქვა, რომ საგაკვეთილო პროცესში მასწავლებელი მოსწავლეებს წინასწარ აცნობს შეფასების კრიტერიუმებს, რიგ შემთხვევებში ერთადაც ქმნიან მას.

სკოლაა, შეფასების რუბრიკების გამჭვირვალეობის მიზნით, გეგმავს მათ გასაჯაროებას. სასწავლო პროცესში გამოყენებისას კი იზრუნებს ობიექტურობასა და სამართლიანობაზე.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ კათედრის შეხვედრებზე განიხილება მოსწავლეების მიღწევების აღწერა და ხდება გაანალიზება თუ რამდენად ასრულებს არსებული შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწვლა-სწვალების პროცესის საყრდენს. მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემის დახვეწა - განვითარება მუდმივად ხორციელდებოდეს, რათა მოსწავლეებმა შეიძინონ ის მნიშვნელოვანი ცოდნა და უნარები, რაც მათ დასჭირდებათ არა მხოლოდ სკოლაში, არამედ მთელი ცხოვრების მანძილზე წარმატების მისაღწევად. ამიტომ, შეფასების და ცოდნის გადამოწმების სისტემებმა, რომელბსაც სკოლა გამოიყენებს პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს გრძელვადიანი მიზნებით გათვალისწინებულ ცოდნასა და უნარებს, ფუქნციურ კომპონენტური უნარებსა და გამჭოლ პრიორიტეტებს.

სკოლის თვითშეფასების განაცხადის ნარატივში წარმოდგენილი ვერიფიკაციის მექანიზმები და ფიზიკური აღზრდის პედაგოგის ინტერვიუ ადასტურებს, რომ შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ კათედრები, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია და დაკვირვების შედეგად ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან. სკოლა გეგმავს სასკოლო პრაქტიკაში დამკვიდრებული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები აქციოს წერილობით დოკუმენტად, რომელშიც გაიწერება სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის მეთოდოლოგია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ხელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

---

სკოლაში შემუშავებული აქვთ შიდა ვერიფიკაციის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა მექანიზმს, მათ შორის- სემესტრულ გამოცდას. გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ ქართული ენის კათედრა გეგმავს, მომავალი სასწავლო წლისათვის ვერიფიკაციის მექანიზმების დახვეწას, მოსწავლეთა ნამუშევრების გაანალიზებას, მოსწავლეთა და მასწავლებელთა პორტფოლიოების შექმნას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას ჩამოყალიბებული აქვს მოსწავლეების აკადემიური მიღწევების შეფასების სისტემა, თუ როგორ ახორციელებს შეფასების სიტემის ვერიფიკაციას და ზოგადად სასწავლო პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას. შესაბამისად სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას.

დაწყებით საფეხურზე წარმოებული ელექტრონული ჟურნალები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ამასთანავე ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში.

თითოეული დოკუმენტი, რომელშიც მოსწავლეზე რაიმე ინფორმაციაა დაფიქსირებული, მათ შორის პირადი საქმეები, განმავითარებელი შეფასება და ა. შ. ინახება კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, სკოლის კანცელარიაში. დოკუმენტაციის განთავსება ხდება ორგანიზებულად; სკოლაში ჟურნალების მონიტორინგზე განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი, რომელიც გარკვეული პერიოდულობით, განვლილი სასწავლო წლის ბოლოს, აარქივებს ყველა დოკუმენტაციას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმი; ბ) სასწავლო პროექტები; გ) მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
2. პროექტები; დანართი 82, 15, 48,51, 63; 03
3. კურიკულუმი; ბ) სასწავლო პროექტები; დანართი 03.
4. კურიკულუმი; ბ) სასწავლო პროექტები; დანართი 03. მე-12 შემაჯამებელი ფორმა
5. დიაგნოსტიკური შეფასების ანალიზი, კომპლექსური დავალების ანალიზი, მოსწავლეთა პროგრესის ამსახველი მასალა ფუნქციურ-კომპონენტური უნარების თავლსაზრისით, შემაჯამებელი დავალების ანალიზი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ბერიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სკოლის მიერ შემუშავებულ სასკოლო სასწავლო გეგმაში, აღნიშნულია სკოლის მისია და ხედვა, რამდენად გეგმავს და წარმართავს სკოლა მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, ასევე, მოცემულია სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი პროგრამები, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე და ა. შ. იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია პოზიტიური გარემო.

სასწავლო პროცესის მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნა მნიშვნელოვანი ნაწილია სკოლის განვითარებაში. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში და მასწავლებელთან ინტერვიუდან გამომდინარე სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის მხარდამჭერ და მიმღებლობის გარემოს. ითვალისწინებდა მათ ინტერესებს და სკოლის ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე გეგმავს აქტივობებს (მაგალითად სპორტულს). რაც ერთ-ერთი საშუალებაა მოსწავლეებში ნდობის და დადებითი გარემოს უზრუნველსაყოფად.

სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე. დიფერენცირებული მიდგომები, გაზიარებები, შემუშავების და კვლევის მეთოდოლოგიის დანერგვა განაპირობებს სკოლაში არსებულ მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

სკოლას შემუშავებული აქვს დაწყებით საფეხურზე საგნების კურიკულუმი და დაგეგმილი აქვს სასწავლო პროცესი შუალედური სასწავლო მიზნებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით სწავლება პედაგოგს საშუალებას აძლევს

უზურნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში, ხელი შეუწყოს მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას და შექმნას ეფექტური გარემო მოსწვალეთა პოტენციალის რეალიზებისთვის.

სკოლის თვითშეფასების ფორმაში ასახულია სასწავლო პროცესის წარმართვის მექანიზმები, რომელიც არის მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო და უსაფრთხო გარემო, სკოლა ამისთვის იყენებს მართვის ეფექტიან სტრატეგიებს, კერძოდ, მშობელთან კომუნიკაცია, სოციალურ მუშაკებთან ინფორმაციის გაზიარება გამოსავლის მოძებნის მიზნით, პრობლემებთან ჩაღრმავება იდენტიფიცირებისა და მოგვარების თვალსაზრისით. მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოში, ხშირ შემთხვევაში, ითვალისწინებენ მოსწავლეთა არჩევანსაც - თუ სად, როდის და როგორ უნდა სწავლა. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლის თვითრეგულაციის (თვითრეგულაციური ციკლის) განვითარებაზე. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვას სახის სპორტულ ოლიმპიადებში, სასკოლო სპორტულ ფესტივალებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებსაა მორგებული და მათზეა ორიენტირებული.

.სწავლების დაწყებით საფეხურზე კომპლექსური დავალებები კარგად უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად; სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები. უზრუნველყოფილია უსაფრთხო გარემო , ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას. სკოლა უზრუნველყოფს დაგეგმოს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია).

სკოლის სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს სკოლაში შექმნილია პოზიტიური და მეგობრული გარემო, მოსწავლეებს, მშობლებს და სკოლის თანამშრომლებს ყოველთვის შეუძლიათ დააფიქსირონ საკუთარი აზრი სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, ხშირად ხდება მათი პოზიციის გათვალისწინება. დამკვიდრებული გამოცდილება პედაგოგების თანამშრომლობის სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან, მშობლებს, სამეურვეო საბჭოს აქვთ საშუალება გაეცნონ სკოლის სასწავლო პროცესში შემოთავაზებულ ინოვაციებს, ახალ მეთოდებს, ,,ახალი სკოლის“ მოდელის ფარგლებში კურიკულუმის დანერგვის პროცესის მექანიზმების შესახებ. მშობლებს აქვთ ინფორმაცია დაწყებით საფეხურზე ჩატარებული სპორტულ ფესტივალის შინაარსის შესახებ სკოლა გეგმავს მშობლების კომპონენტის გაძლიერებას, პროექტული სწავლების გამოყენებით, სასკოლო თემის ჩართულობას სკოლის განვითარებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ხელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

---

.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას ;თვითმმართველობასთან. კათედრის წევრები ხშირად, ერთობლივად გეგმავგენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით. სამომავლოდ, გაგრძელდება თანამშრომლობითი გარემოს შენარჩუნება/გაღრმავება სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის მხრიდან სკოლისადმი მიკუთვნებულობის განცდის მდგრადობისა და საერთო წარმატებისთვის.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ შექმნილია სკოლაში პოზიტიური გარემო სკოლისა და კლასის დონეზე, შესაბამისად სასკოლო საზოგადოების წევრები ინტენსიურად არიან ჩართული სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში, გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებსა და არაფორმალური განათლების მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებს, რომელიც ასახული და გაწერილი აქვთ ერთ წლიან სამოქმედო გეგმაში.

სკოლაში სათანადოდ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. თუმცა აქვს გაუმჯობესების მეტი მზაობა. ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთან გასაუბრებიდან გამომდინარე სკოლაში ყოველთვის ატარებდნენ სპორტულ საკლასო და სასკოლო ღონისძიებები. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში შექმნილი და გადამუშავებული კურიკულუმები კიდევ მეტად გააქტიურებს ამ პროცესს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი ;
2. სასწავლო პრორცესის მარეგულირებელი მასალები;
3. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
4. მე-3, მე-4 კლასების მე და საზოგადოების და მე-5, მე-6 კლასების ჩვენი საქართველოს საგნობრივი კურიკულუმები;
5. 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის სამუშაო ვერსია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
---
---

v შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. სკოლაში კურიკულუმით განსაზღვრული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები არის შესამუშავებელი, სამომავლოდ იგეგმება მონიტორინგზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნა, რომელიც შეიმუშავებს მეთოდოლოგიას, ანალიზს გაუკეთებს მოგროვილ მასალას და დაკვირვების საფუძველზე დაადგენს საჭიროებებს. სკოლას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი და მონიტორინგი და შეფასება ამ პროცესის ნაწილია.
სასურველია სკოლამ კურიკულუმის მონიტორინგის მეთოდოლოგიის შემუშავების დროს გადადგას შემდეგი ნაბიჯები: გამოკვეთოს მიზნები და ამოცანები, თუ რა პრობლემის გადაჭრას ცდილობს კურიკულუმი, რა არის მისი მიზანი, რა ნაბიჯები გადაიდგმება, რა ინტერვენციები განხორციელდება ამ პრობლემის მოსაგვარებლად და როგორ დავრწმუნდებით, რომ კურიკულუმით წარმოებულმა პროცესებმა წარმატებით გადაჭრა პრობლემა.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ხერხეულიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----

მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, სკოლას გააზრებული აქვს, რომ მონიტორინგი და შეფასება საუკეთესო საშუალებაა პრობლემის იდეტიფიცირების, წარმატების გაზომვის და შეცდომებზე დაფუძნებული სწავლისთვის.

სასკოლო სასწავო გეგმაში, ასევე, პედაგოგებთან ინტერვიუს შემდეგ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მონიტორინგის და შეფასების სისტემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღქმულია ერთ - ერთ საჭიროებად. მნიშვნელოვანია, სკოლაში შემუშავებულმა მონიტორინგისა და შეფასების სისტემამ სკოლის მენეჯმენტის გუნდს მისცეს საშუალება, ისწავლოს წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით და გააუმჯობესოს სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. მონიტორინგისა და შეფასების სისტემამ უნდა შექმნას წინაპირობა მოსწავლეების და მასწავლებლების მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

სკოლის საგნობრივ კათედრასთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა რომ სკოლაში ხდება გაკვეთილზე დასწრება, უკუკავშირის, რეკომენდაციების მიცემა. ამასთანავე, ხდება მასწავლებელთა მიერ რეფლექსიის შედგენა. აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. იკვეთება რომ კათედრები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ, დანერგილ გამოცდილებას. საფეხურებისა და კლასების მიხედვით. პედაგოგები ჩართული არიან აღნიშნულ პროცესში. რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და გამოხატავს სასკოლო საზოგადოების წევრების ერთგვარ მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

მნიშვნელოვანია, სკოლამ გამოკვეთოს სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში თუ როგორ ესახება მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოკვეთილი ძირითადი პრობლემების გადაჭრის გზები და საშუალებები, სკოლამ ანალიზზე დაფუძნებით უნდა შეიმუშავოს პრიორიტეტული და სტრატეგიულ ხედვა კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისთვის და ასახოს სამოქმედო გეგმასა და სასკოლო სასწავლო გეგმაში.

მიმდინარე ეტაპზე სკოლაში დანერგვის ეტაპზეა კურიკულუმის მონიტორინგი/შეფასება, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი, სასწავლო პროცესში შედეგების შეფასება ხდება კათედრების დონეზე, რომელნიც ანალიზს წარმოადგენენ პედაგოგიური საბჭოს შემაჯამებელ სხდომაზე. ანალიზი ეხმარება სკოლას /კათედრებს / საფეხურებს პრობლემების იდენტიფიცირება/მოგვარებასა და სამოქმედო მიზნების განსაზღვრაში.

სამომავლოდ სკოლა გეგმავს განსაზღვროს, როგორც ხელისშემშლელი ფაქტორები, ასევე არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის. სკოლას განსაზღვრული აქვს მონიტორინგის ანალიზებზე დაფუძნებით შეიმუშავოს პრიორიტეტული და სტრატეგიული ხედვები; კურიკულუმში წინარე წარმატებული გამოცდილების გათვალისწინება მოხდება ურთიერთდასწრების ანალიზებისა და შეფასების მასალების საფუძველზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ბერიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

----

სკოლა სასწავლო წლის ბოლოს კათედრებზე მონიტორინგისა და შეფასების ანალიზებში ასახავს swot - ანალიზით განხორციელებულ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ძლიერ და სუსტ მხარეებს, კითხვარით გამოავლენს ხელისშემშლელ ფაქტორებს და შესაძლბლობებს კურიკულუმის მომავალში წარმატებით განხორციელებისთვის. მონიტორინგისა და შეფასებისას განისაზღვრება წამოჭრილი პრობლემების გადჭრის გზები და საშუალებები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმები;
2. სასკოლო სასწავლო გეგმა;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. სასკოლო სასწავლო გეგმაში კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში სკოლას აღნიშნული აქვს, რომ მოახდენს პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას. მნიშვნელოვანია, რომ შეფასება მოიცავდეს მონაცემების შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. პროცესების, მოსწავლის, პრობლემის, გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვება ეყრდნობა სხვადასხვა წყაროებს.
სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა კომპლექსურია და მოიცავს სხვადასხვა მიმართულებას. მოსწავლე არ ფასდება ცალსახად, მხოლოდ მის მიერ გამოვლენილი ცოდნის საფუძველზე, მისი შეფასებისას ხდება სხვა ფაქტორების გათვალისწინებაც. შეფასების ჰოლისტური ხასიათის გათვალისწინებით, დანერგილია ერთიანი და სისტემური მიდგომა, მიმდინარე ეტაპზე სკოლა იყენებს შეფასების რუბრიკებს საგნობრივი მიმართულებით, პედაგოგებთან

ინტერვიუდან გამომდინარე საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენება სიტყვიერი კომენტარი, რომელიც მიმართულია მოსწავლის დადებითი მხარის წარმოსაჩენად და რჩევების ზუსტად და გასაგებად მიცემაში, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეების განვითარებას და სასწავლო პროცესის შედეგების გაუმჯობესებას.
სასკოლო საზოგადოების მიერ გააზრებულია, რომ თითოეული მოსწავლე დამოუკიდებელი ინდივიდია და თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი. შეფასების სისტემა მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. შეფასების ჰოლისტური ხასიათიდან გამომდინარე სკოლა იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს -კითხვარებს, ინტერვიუებს ...
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

პედაგოგიური პარაქტიკის კვლევისას, რომლის მიზანია შეისწავლოს რამდენად ეფექტურია მისი შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, გათვალისწინებულია მრავალი კონტექსტი. ეს კონტექსტები შეიძლება იყოს: კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის მართებულობას სწორედ ეს მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს. დაწყებითი საფეხური გვაძლევს შესაძლებლობას, მოსწავლეს დავაკვირდეთ და შევაფასოთ სხვადასხვა კონტექსტში, და მოვიტანოთ რეალისტური დასკვნები მისი სწავლის საჭიროებისა და უნარების შესახებ; სკოლა მოსწავლეს ხედავს სხვადასხვა კონტექსტში და ცდილობს მის წარმოჩენას/ შეფასებას. შეფასების დროს გათვალისწინებულია ყველა ინდივიდუალური ფაქტორი (შესაძლებლობები, უნარები, გამოცდილებები, წინაპირობები, პიროვნულობა, თვითგანსაზღვრა და სხვა); შესაბამისად, მასწავლებლები ამ ფაქტორების გათვალისწინებით აღიქვამენ მოსწავლეებს, და ამის მიხედვით მუშაობენ ინდივიდუალურად მათთან, ხელს უწყობენ მოსწავლეებს შედეგის/წარმატების მიღწევაში. საგნობრივი კათედრა გეგმავს კომპლექსური დავალებებით სწავლებას რაც იძლევა მრავალფეროვანი კონტექსტის გათვალისწინების საშუალებას.საგაკვეთილო პროცესი ხორციელდება სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით: ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზემტაცია. შეფასებაც განხხორციელდება შესაბამისი რუბრიკებით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

შეფასების ვალიდურობა დამოკიდებულია ბევრ მნიშვნელოვან ფაქტორზე, მათ შორის მონაცემთა მოპოვების მეთოდებზე. თუ გვსურს, რომ მივიღოთ მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაცია, ეს შესაძლებელია საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით, რაც შესწავლის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას გულისხმობს.
სკოლაში შეფასების ვალიდურობის უზრუნველსაყოფად მონაცემთა მიზნობრივი შეგროვებისა და ანალიზის პროცესს ახორციელებენ. ამ პროცესში მნიშვნელოვნად გამოიყენება მონაცემთა მოპოვების. სიტუაციის, მოვლენის, მოსწავლის უნარისა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ხერხეულიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----

და შესაძლებლობების ასპექტები. დაწყებით საფეხურზე გადამწყვეტია მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაციის მიღება, რაც შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით, ეს კი საკითხის შესწავლის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. სამომავლოდ, ამ მიმართულებით, სკოლა გეგმავს, შეფასების მეთოდოლოგიის დახვეწას, რათა დაბალანსდეს თითოეული მეთოდის სუსტი მხარეები და აქცენტი გაკეთდეს გაძლიერებაზე. შეფასებისას, მონაცემთა შეგროვება ძირითადად ხდება კათედრებზე, პარალელურ კლასისა და საგანის მასწავლებლებისაგან, თუმცა სკოლა სამომავლოდ გეგმავს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდების დანერგვას, ანკეტირებით, გამოკითხვით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა მორგებულია თითოეული მოსწავლის ინტერესებზე ინდივიდუალურად და შეფასების შედეგად ხდება თითოეული მოსწავლის ცოდნის დადებითი მხარეებისა და გასაუმჯობესებელი ნაწილის შესახებ ინფორმაციის მიღება.

პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ შეფასებას ახორციელებს სკოლა სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით და ითვალისწინებს კლასის, მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. სასურველია სკოლამ შეფასებისას გამოიყენოს მულტიფაქტორული მიდგომა, რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. იგივე შეიძლება ითქვას, ნებისმიერი პროცესის თუ მოვლენის შეფასებისას. მნიშვნელოვანია გათვალსიწინებული იყოს დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე.

შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს ხედვის პერსპექტივაში მოვლენის, სიტუაციის, ინდივიდის შესწავლას, იაზრებს მოსწავლის სწავლის პროცესზე მოქმედ სხვადასხვა ფაქტორს. მულტი ფაქტორული მიდგომა ეხმარება მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებაში და სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებაში, სწავლის უნარების დეფიციტის იდენტიფიცირებასა და გაუმჯობესების გზების მოძიებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურუკულიუმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

---

---

2. სკოლის სასკოლო გეგმის სამუშაო ვერსია;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

v შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების განვითარებისა და მხარდამჭერ სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შემუშავება ხდება სკოლაში დაწყებითი განათლების კათედრაზე რეფლექსიებით, საჭიროებების ანალიზებით . ამ მხრივ, სკოლა გეგმავს კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიისთვის გამოიყენოს forms-ის ფორმის კითხვარი სასკოლო საზოგადოებაში.

სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კათედრის შეხვედრაზე, პედაგოგები განიხილავენ როგორ მიდის კურიკულუმზე მუშაობის პროცესი, როგორ ხდება მონაცემების შეგროვება და დამუშავება. კურიკულუმი და სამოქმედო წლიური გეგმა, რომელიც სკოლას აქვს წარმოდგენილი ასახავს სკოლის პრიორიტეტებს და მოქმედების არეალს, რომელშიც გათვალისწინებულია სკოლის გამოცდილება, მისი ძლიერი მხარეები და გამოწვევები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ხელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

----

სასკოლო სტრუქტურის ყველა დონეზე ყოველი სასწავლო წლის ბოლოს თითოეული მასწავლებელი აკეთებს თვითშეფასებას მის მიერ შედგენილი საგნობრივი კურიკულუმის შესახებ, ხდება მიღწეული და მისაღწევი შედეგების გაანალიზება. საკუთარ ანალიზებზე დაყრდნობით კათედრები გამოკვეთენ ძლიერ და სუსტ მხარეებს, და გაწერენ წლიურ სამოქმედო გეგმას, სადაც პასუხისმგებლობები და შესასრულებელი საქმიანობები დელეგირებულია თითოეულ წევრზე; კურიკულუმის განვითარების მიზნით სკოლასთან თანამშრომლობენ საგნობრივი ექსპერტები. წლის განმავლობაში, ეტაპობრივად ესწრებიან გაკვეთილებს, აწარმოებენ დაკვირვებას და დაკვირვების შედეგებს მასწავლებლებს აწვდიან უკუკავშირის სახით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კათედრა გეგმავენ ყოველწლირად განიხილონ სასკოლო კურიკულუმი და შეიმუშავონ სასკოლო კურიკულუმის გაუმჯობესებული ვერსია. მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახოს ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. ეს გამოცდილება გათვალისწინებული შეიძლება იყოს, როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის დონეზეც. სკოლამ ყოველწლიურად უნდა შეიმუშაოვოს კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია და ასახოს სავალდებულო თემების სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესება.

სასწავლო პროცესი ქმნის მოსწავლის გამოცდილების უწყვეტობას. ვინაიდან სკოლაში კურიკულუმის დანერგვა მუდმივ ინტერაქციას გულისხმობს დაწერილ/დაგეგმილ და რეალიზებულ პროცესებს შორის, აუცილებელია მისი, როგორც უწყვეტი ციკლის გააზრება. ეს დაედება კურიკულუმის გადამუშავებულ ვერსიას საფუძვლად. მიმდინარე ეტაპზე მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები სამომავლოდ აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. სკოლა გეგმავს, სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში ასახოს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, უკუკავშირები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემები და ა.შ. განსზღვრულია, რომ არსებული გამოცდილება გათვალისწინებულ იქნეს როგორც კლასის, ასევე საფეხურის დონეზეც.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

---

---

1. კურუკულუმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

v შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ---

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი (ზოგადი განათლების საბაზო საფეხური)

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	v შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	v შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	v შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	v შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	v შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

---

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება (ზოგადი განათლების საბაზო საფეხური)

2. სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საბაზო საფეხური)

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას, შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რაც კარგად აისახა ასევე პედაგოგებთან გასაუბრებისას. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს, აღნიშნეს რომ პედაგოგები, სკოლის და მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავენ და კათედრაზე კოლეგიალურად შეიმუშავებენ სასკოლო კურიკულუმებს. მათ გამოთქვეს მზაობა, რომ სამომომავლოდ კურიკულუმის შემუშავების პროცესებში აქტიურად იქნება ჩართული სასკოლო საზოგადოება. (მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი, დირექცია). რომელშიც ასახული იქნება სასკოლო საზოგადოების ინტერესები.. უცხოური ენების საგნობრივ კათედრას არ აქვს წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია განზოგადებულად, თუმცა სკოლის მიერ შევსებულ თვითშეასებაში და სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენელია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.;

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ხელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

---

წარმოდგენილ დოკუმენტაციით დგინდება, რომ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და ამპროცესის ერთიანი ხედვა. მაგალითად საგნობრივი კათედრების შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი საჭიროებები, რომელთა გათვალისწინებით ხდება საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება კათედრების მიერ. შერჩეულ მრავალფეროვან სასწავლო თემებით გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

გამოიკვეთა, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო პედაგოგიური საზოგადოების მიერ, გასაუბრებისას გამოჩნდა პედაგოგების თანამშრომლობა, რასაც ასევე ადასტურებს წარმოდგენილი დოკუმენტები. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში და ინტერვიუს მსვლელობის დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია ყველა საგნობრივი კათედრა და ერთობლივად გეგმავდნენ სკოლაზე და მოსწავლეებზე ორიენტირებულ სასკოლო გეგმებს და აქტივობებს. თუმცაღა უცხოური ენების შემთხვევაში იყო შემთხვევები როდესაც ინგლისურ და რუსულ ენას სტრუქტურულად სრულიად განსხვავებული კურიკულუმის ჩარჩოები ქონდათ წარმოდგენილი;

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სკოლაში ვიზიტის დროს ინტრვიუებისას გაირკვა ,რომ კურიკულუმს იზიარებს და მხარს უჭერს სასკოლო პედაგოგიური საზოგადოება, მაგრამ ისინ აღნიშნავენ, რომ არის რიგი პრობლემებისა, რომლებიც გამოსწორებული იქნება ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლის სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე. კურიკულუმი გაზიარების საკითხს მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს შორის ნაწილობრივ ადასტურებს სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია და მშობელთა ბარათები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;

2. კურიკულუმის შემუშავების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობების/მასალები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ყურაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

---

---

3. საბაზო საფეხურის (VII – IX კლასები) კურიკულუმები;

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. თვითშეფასების ფორმაში ვკითხულობთ: „ამ ეტაპზე შემუშავებული გვაქვს კურიკულუმი, თუმცა არასრული სახით. ვგეგმავთ, შევიმუშავოთ ისეთი სასკოლო კურიკულუმი, რომელიც დაეფუძნება მე-3 თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს. იქნება მდგრადი და ორიენტიერებული მოსწავლის კოგნიტურ განვითარებაზე.“(დანართი 03), კათედრასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე კათედრა გეგმავს კურიკულუმის ჩარჩოების სრულყოფას.

.უცხოურ ენებს არ აქვს წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია განზოგადებულად, თუმცა სკოლის მიერ შევსებულ თვითშეასებაში და სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენელია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას, რაც დადასტურდა კიდეც უცხოური ენების მასწავლებლების მიერ ინტერვიუს დროს.წარმოდგენილი კურიკულუმი შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
---

სკოლაში ხორციელდება კომპლექსური დავალებები, შესაბამისად, ნებისმიერ მოსწავლეს უქმნის საკუთარი შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოვლენისა და თვითრეალიზების საშუალებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

კურიკულუმები ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას და სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურ ჩართვას.საგნობრივი კურიკულუმების საფუძველზე ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგებზე, ჩანს შუალედური მიზანი და უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს,ეს განსაკუთრებით გამოიკვეთება მუსიკის კურიკულუმებში, სადაც საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ რომ მასწავლებელი სწავლა სწავლების პროცესში მოიაზრებს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. თემები და კომპლექსური დავალებების პირობა ისეა დაგეგმილი,რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ , შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას და ეფუძნება სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს.) ხელოვნებაში იქიდან გამომდინარე რომ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილია არასრული კურიკულუმი მე 7, მე 8 და მე 9 კლასებში (მხოლოდ ერთი თემაა გაწერილი ერთი თემატური ბლოკის ფარგლებში) რაც გვაფიქრებინებს რომ ხელოვნების საგანში საბაზო საფეხურზე ნათლად არ ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზა. სკოლაში განმარტავენ, რომ სექტემბრამდე კათედრა დახვეწავს და სრულად გაწერს სასწავლო გეგმას რაც დაადასტურეს ინტერვიუზე ინტერვიურების პროცეში დაზუსტდა კურიკულუმებში არსებული ხარვეზები და დაიგეგმა სრულფასოვანი სასწავლო გეგმების შევსება მიცემული რეკომენდაციების საფუძველზე.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები საბაზო საფეხურზე წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რაც დასტურდება წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებით . წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტები, ქმნის წარმოდეგნას, თუ რა მასალებზე დაყრდნობით, რა მეთოდების გამოყენებით აპირებენ საგნის სტანდარტის მიხედვით განსაზღვრული გრძელვადიან მიზნებზე გასვლას საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების ფარგლებში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საბაზო საფეხურის 7-9 კლასის წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზებზე.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ბუნებისმეტყველების კათედრის მიერ საბაზო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რაც დასტურდება კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით, რომელიც კათედრამ შეარჩია და წარმოადგინა. კომპლექსური დავალებები, თემების მიხედვით არის შერჩეულია სამივე საგანში: ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია; იყო მცირედი უზუსტობები, რომლებზეც მასწავლებლებთან პირისპირ შეხვედრისას მივიღეთ ამომწურავი პასუხები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

---

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები).

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში, კერძოდ, მათემატიკის მე-9 კლასში, სადაც ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები, გაწერილია სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები. შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები. ყველა თემაში განსაზღვრულია სამივე სამიზნე ცნების დამუშავება, რაც ერთობლივად ხელს შეუწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას. წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახული შუალედური სასწავლო მიზნები და გრძელვადიანი მიზნები იძლევა შესაძლებლობას, რომ პროცესი იყოს ორიენტირებული პოზიტიურ სასწავლო გარემოზე. კერძოდ, საბაზო საფეხურის საგნობრივ პროგრამებში წარმოდგენილ ძირითად საკითხებზე მუშაობა მოსწავლეებისგან მოითხოვს ისეთი ტიპის შეკითხვებზე დაფიქრებას და ისეთი კოგნიტური ოპერაციების შესრულებას, რომლებიც მიემართება ყველა ფუნქციურ-კომპონენტური უნარის გააქტიურებას. აღნიშნულზე დაყრდნობით და მასწავლებლებთან ინტერვიუს ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები გრძელვადიან მიზნებად და აქვთ მზაობა, რომ გლობალური ფუნქციური უნარები განიხილონ უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად (და არა სასწავლო მიზნებად).

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ქართულ ენასა და ლიტერატურაში საბაზო საფეხურზე სტანდარტით განსაზღვრული თემატური ბლოკებისა და სარეკომენდაციო თემების ფარგლებში მუშავდება რამდენიმე კომპლექსური დავალება. დავალების გაწერილი თემატური გეგმები თან ახლავს კურიკულუმის ჩარჩოებს. ჩარჩოებში წარმოდგენილია შევსებული 3 სავალდებულო სვეტი: თემა, ტექსტები/კონტექსტმაგალითები და რესურსები. კათედრამ წარმოადგინა ძველი კურიკულუმებიცა და ახლებიც-მომავალი სასწავლო წლისთვის. ახალ კურიკულუმებში არაა გაწერილი სამიზნე ცნებები, მაგრამ დართული აქვს თემატური მატრიცები, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მეტ-ნაკლებად ახორციელებენ კომპლექსურ დავალებებს. თვითშეფასების კითხვარში სკოლა წერს: „სკოლის მიდგომა, თითოეულ საფეხურზე, მიმართულია, იმისკენ, რომ მოსწავლე ჩამოყალიბდეს პიროვნებად, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობა, კოგნიტური და სოციო-ემოციური სფეროს კეთილდღეობა, აკადემიური მიღწევა , იდენტობა. ამ თვალსაზრისით სკოლაში არსებობს გამოცდილება - არაფორმალური განათლების ჭირილში, სამივე საფეხურზე, განხორციელდა სასკოლო პროექტები ,,ყველა ადამიანშია მზე“ და ,,ჩვენ ვირჩევთ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ბერიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

---

ჯანსაღი ცხოვრების წესს.“..(დანართი 03.) (ასევე-გამოთხოვილ დოკუმენტაციაში: მატრიცის გასაუმჯობესებელი ინსტრუმენტები; „მოსწავლეთა პროგრესის ამსახველი მასალა ფუნქციურ-კომპონენტური უნარის მიხედვით“).

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ესთეტიკურ საგნობრივ ჯგუფში შექმნილი კურიკულუმები ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზანს, სასწავლო კურიკულუმებში გაწერილი სამიზნე ცნებები მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად გამოიყენოს ახალი ცოდნა და უნარები, კურიკულუმში ჩანს სავალდებულო თემატური ბლოკები, მასთან დაკავშირებული თემები რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. სასკოლო პროექტები და კომპლექსური დავალებები ხელს უწყობს გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას. თუმცა არის რიგი საკითხები რომელიც აფერხებს სრული სურათის წარმოდგენას, მაგალითად: მუსიკის მე 7 კლასში 1) პირველი თემა არის „ ბუნებრივი და მექანიკური მუსიკაში“. მათ არასწორად აქვთ თემის ფორმულირება მოცემული. 2) შედარების მაგალითებში გაწერილი აქვთ საეტაპო აქტივობებში დამუშავებული მასალა. შედარების მაგალითი მოიაზრებს კონტექსტ მაგალითის ალტერნატიულ, მსგავსს მაგალითს.

მე 8 კლასში მოცემული კომპლექსური დავალების პირობა გაუმართავია ყველა თემაში. მაგ: სიმღერის ანალიზი - ბეტ მიდლერი ,,სულ ესაა’’. პირობაში არ ჩანს, როგორ ხდება სიმღერის ანალიზი და რა პროდუქტს ქმნის მოსწავლე. (ასეა, ყველა პირობაში).

მე 9 კლასში კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით ახორციელებენ 6 კომპლექსურ დავალებას. აქედან 4-ს პირველ თემაში. დასაზუსტებელია რაოდენობა და მოსაყვანია საათობრივ ბადესთან შესაბამისობაში.

სახვითი და გამყენებითი ხელოვნების საბაზო საფეხურზე მე 7 მე ,მე 8 და მე 9 კლასების კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში წლის განმავლობაში წარმოდგენილია თითო თემა და თითო კომპლექსური დავალება, შესბამისად უცნობია ამ კლასებში როგორ განისაზღვრება გრძელვადიან მიზნებამდე მისასვლელი გზები.წარმოდგენილ თემებში გამოკვეთილია სავალდებულო თემატური ბლოკი, ძირითადი საკითხი, ცნებები, კომპლექსური დავალება და რესურსები რომლებიც ადეკვატურ კავშირშია ერთმანეთთან რაც გვაფიქრებინებს იმას რომ მასწავლებელს გააზრებული აქვს თუ როგორ ხდება თემატური ერთეულების შუალედური მიზნების დაგეგმვა ისე რომ მიემართებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ასევე სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა სადაც აღნიშნულია,რომ ყველა კათედრაზე პედაგოგების მიერ კურიკულუმის შემუშავების დროს მოხდება გლობალურ ფუნქციური უნარებისა და მაკროცნებების გათვალისწინებით წლიური გეგმის შედგენა.

2023-24 სასწ.წლისთვის შემუშავებულ კურიკულუემბში ჩანს გრძელვადიან მიზნებზე ოროი მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); კურიკულუმში ასახულ კომპლექსურ დავალებებში, შეთავაზებულ აქტივობებში ჩანს, რომ კურიკულუმი ემსახურება ფუნქციური უნარების განვითარებას, სკოლას აქვს საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე ენტირება, მაგალითად საბაზო საფეხურზე, საზ. მეცნიერების ყველა საგნის, ყველა თემაში ხდება ყველა სამიზნე ცნების დაფარვა. პედაგოგებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა მათი სამომავლო ხედვა და მზაობა მიმდინარე პროცესის მიმართ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ბერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

----

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

სკოლის მიერ წარმოდგენილ სამივე საგნის: ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია, კურიკულუმის ჩარჩოში, სადაც ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები, გაწერილია სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები. შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები. განსაზღვრულია სამიზნე ცნების დამუშავება, რაც ერთობლივად ხელს შეუწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის მიხედვით სკოლა გეგმავს მათემატიკაში ადმინისტრაციული წერების ჩატარებას მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით და შედეგებიდან გამომდინარე კურიკულუმის მოდიფიცირებას. იმავე სასკოლო სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავება და მოსწავლის პირველადი მართვა, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. ასევე, წარმოდგენილია მე-8 კლასის შემაჯამებლის ანალიზი. სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკური აღზრდისა და სპორტში სასწავლო პროცესის დიფერენციალურ და ინკლუზიური მიდგომებს, სკოლაში იგეგმება სსსმ მოსწავლეებისათვის ფიზიკური აღზრდისა და სპორტში ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავება და მოსწავლეების საჭიროებისადმი მორგება, რომელიც ჩაშენებული იქნება კომპლექსურ დავალებებში, სსიპ - ქალაქ თბილისის N 16 საჯარო სკოლის საჭიროებების შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სკოლა მომავალში მეტად უზრუნველყოფს მოსწავლეების მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცესში.

წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე არის დაგეგმილი. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, რადგან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებზე და ინდგეგმებზე მუშაობის გამოცდილება. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საერთო ჯამში, მასწავლებლებს აქვთ სწავლების დიფერენცირებული მიდგომის პრაქტიკა და სასწავლო პროცესის ინკლუზიური ხედვა. მათ აქვთ მზაობა რომ სასწავლო პროცესი დაგეგმონ და წარმართონ მოქნილ გარემოში, კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე.

სკოლა განიხილავს მოსწავლეს, როგორც სწავლა-სწავლების აქტიურ სუბიექტს და მიიჩნევს, რომ განათლების უმთავრესი მიზანი მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარების ხელშეწყობაა, ამისათვის მათ შემუშავებული აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (დანართები-1; 27; 28,29, 30,31) მასწავლებლებთან გასაუბრებამ ცხადყო,რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა განსხვავებული თავისებურებები,სწავლის სტილი,იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ხერხეულიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----

აქტივობები შერჩეულია დაბალი,მაღალი და საშუალო მზაობის მოსწავლეებისათვის, სკოლაში უზრუნველყოფილია სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა,შექმნილია რესურს -ოთახი დამატებითი აქტივობებისათვის.

კურიკულუმი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს მუსიკისა და ხელოვნების საგანში,მიუხედავად იმისა რომ ხელოვნებაში ფრაგმენტულად ჩანს საშუალო საფეხურის სხვადასხვა კლასში, კურიკულუმში გაწერილი კომპლექსური დავალებები,ჩანს დავალებების კომპლექსური ბუნება რომელიც მისცემს მოსწავლეს შესძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით. ვინაიდან კურიკულუმში მეტწილად მოცემულია კომპლექსური დავალებები, რომლებიც თავისთავად მოიაზრებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს სხვადასხვა არჩევანს ერთი და იმავე საკითხის დამუშავებისას და ერთი და იმავე სამიზნე ცნებაზე მუშაობისას საბოლოო პროდუქტი იყოს მრავალფეროვანი და მათ შესაძლებლობებზე მორგებული.სკოლის სასწავლო გეგმაში აღნიშნულია ,რომ: „სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლის ინდივიდულუალურ ფიზიკურ და ფსიკქიკურ მახასიათებლებს,შესაძლებლობებსა და ინტერესებს.აქტიურად იყენებენ დიფერენცირებული სწავლების სტრადეგიებს.სმასწავლებლები დროულად გამოკვეთენ საჭიროებებსა და არჩევენ შესაბამის სტრატეგიას სასწავლო შედეგის გასაუმჯობესებლად.“ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში ვკითხულობთ,რომ პარალელური კლასებისთვის, პედაგოგები თანხმდებიან თემებისა და ძირითადი საკითხების სინქრონულ განაწილებაზე;- უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომლთა შესრულებასაც მოსწავლეს მთლიან პიროვნული ინტეგრირებული გამოცდილება და მაღალი სააზროვნო უნარები სჭირდება;სასწავლო პროცესში მოხდება კომპლექსური დავალებების ადაპტირება მოსწავლეთა საჭიროებებისა და წინარე ცოდნის გათვალისწინებით. ერთი კლასის ფარგლებში ერთსა და იმავე საკითხზე სხვადასხვა მოსწავლემ შესაძლოა სხვადასხვა კომპლექსური დავალება განახორციელოს.

აქვე უნდა აღინიშნოს რომ სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩანს სსსმ მოსწავლისთვის განსაზღვრული რესურსი. აღნიშნულია,რომ „სკოლის დირექცია და ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები სკოლა სსსმ მოსწავლეებთან ეფექტური მუშაობის მიზნით შეიმუშავებს ინკლუზიური განათლების დანერგვისა და განხორციელების სამოქმედო გეგმას;სწავლის დაწყებიდან ორ კვირაში შქმნიაი ინდივიდუალურ გეგმებს. როგორც ინტერვიუს დროს გამოჩნდა მასწავლებლები საჭიროებიდან გამომდინარე ქმნიან სსსმ მოსწავლეებზე მორგებულ ადაპტირებულ კომპლექსურ/კომპლექსური ტიპის დავალებებს.

სასწავლო პროცესში აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე; სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. კერძოდ, სკოლამ წარმოადგინა ორი სახის შეფასების რუბრიკების ჩარჩოები (რამდენიმე ნიმუში) ერთი, რომლებიც მიემართება სამიზნე ცნებებზე-გრძელვადიან მიზნებზე, და მეორე, რომელიც აფასებს მოსწავლის ცოდნას სტანდარტის შედეგებთან მიმართებით. თუმცა, შეფასების რამდენიმე ნიმუში ძველია, ინტერვიურების პროცესში გამოიკვეთა, რომ უდროობის გამო ვერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ბერიშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----

მოასწრეს ახალი ნიმუშების შექმნა და არსებული ნიმუშები ატვირთეს. ინტერვიურების პროცესში გამოიკვეთა, რომ კათედრების მიერ იგეგმება, შეფასების ახალი ნიმუშები წარმოადგინონ სექტემბრამდე.

განმსაზღვრელი შეფასებები რუბრიკები ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში გაწერილი უნდა იყოს თემებთან და დაგეგმილი კომპლექსური დავალებებთან დაკავშირებით, შეფასების ინსტრუმენტები, რომელიც წარმოადგინა სკოლამ არის ზოგადი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

საბაზო საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას იყენებენ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებს, აქვთ კათედრაზე შეთანხმებული შეფასების რუბრიკები ორივე ტიპის შეფასებისათვის, იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას. განმავითარებელი შეფასება ძირითადად სიტყვიერია და ყოველი გაკვეთილის თანმხლებია. კათედრას არ წარმოუდგენია სამიზნე ცნების ინდიკატორებზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკები, მაგრამ ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ გეგმავენ როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკებზე მუშაობას. რუბრიკები დაეფუძნება, ერთი მხრივ, სტანდარტის ინდიკატორებს, მეორე მხრივ-მკვიდრ წარმოდგენებს.

ასევე, სკოლა გეგმავს „ჰოლისტური შეფასების მექანიზმების განსაზღვრას, სოლო ტაქსონომიის შემუშავებასა და დანერგვას სასწავლო პროცესში. (თვითშეფასების კითხვარი- დანართი 03.)

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

სკოლაში მოქმედებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. შეფასება მიემართება მოსწავლეთა შედეგების ინდენტიფიცირებას, მიღწევების გაუმჯობესებას და ფარავს სწავლა სწავლების გრძელვადიან მიზნებს. სასკოლო სასწავლო გეგმაში ვკითხულობთ,რომ მათ მიერ გამოყენებული განმსაზღვრელი შფასება ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს. განმავითარებელი შეფასებით ფასდება ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესი, მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარი, ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესი, ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარი, ასევე დგინდება წინარე ცოდნა/წარმოდგენები. რასაც ადასტურებს ესთეტიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი (მუსიკის მე 7,მე 8 მე 9 კლასის) და განმავითარებელი (ხელოვნება მე ,მე 8, მე 9) კლასების შეფასების რუბრიკები და შეფასებული მოსწავლეთა ნაშრომები. კურიკულუმში გათვალისწინებული კომლექსური დავალებებში ჩაშლილია გრძელვადიან სასწავლო მიზნებზე ორიენტირებული კრიტერიუმები რაც გვაფიქრებინებს რომ მასწავლებლებისთვის განმავითარებელი შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

სასწავლო პროცესი იქნება ორიენტირებული ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული); საზოგადოებრივი მეცნიერებების დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში კომპლექსური დავალება

განსაზღვრულია შუალედურ სასწავლო მიზნად, მომდევნო წლისთვის მასწავლებლები გეგმავენ კომპლექსური დავალებებით სწავლა -სწავლებას და დავალების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში მნიშვნელოვანია ცოდნის სამივე კატეგორიის გათვალისწინება, შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომპლექსური დავალების დანერგვის პროცესში ხელი შეეწყობა ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას. ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა მე-5 და მე-6 კლასებშიც შეარჩევს მოსწავლეების განვითარებაზე ორიენტირებულ კომპლექსურ დავალებებს და სწავლა-სწავლების პროცესს წარმართავს ამ მეთოდიკით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

სკოლამ წარმოადგინა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ორი სახის შეფასების რუბრიკების ჩარჩოები. ინტერვიურების პროცესში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებმა იციან, რომ განმსაზღვრელი შეფასება კეთდება სტანდარტის ინდიკატორებზე დაყრდნობით და განმავითარებელი შეფასება ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე. კათედრის მიერ იგეგმება შეფასების ნიმუშები წარმოადგინონ სექტემბრამდე.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით ჩანს, რომ სკოლა ახორციელებს გაკვეთილების თვითშეფასებას, რაც მტკიცდება სკოლის მიერ წარმოდგენილი მასწავლებლის თვითშეფასების ნიმუშით მათემატიკაში. შესაბამისად, ჩანს, რომ სკოლა მათემატიკის დაწყებით კათედრაზე ითვალისწინებს წინარე გამოცდილებასა და მისი ანალიზის შედეგებს.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად, დასტურდება, რომ პედაგოგები აანალიზებენ საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას. უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და მიღებულ რჩევებს ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

სკოლა ჩართულია ზოგადი განათლების რეფორმაში და ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრაზე ძირითადად ზეპირსიტყვიერად ხდება მოსწავლეთა ნამუშევრების შეფასება, ანალიზი და კოლეგების უკუკავშირი. დაგეგმილი შუალედური მიზნები კი სწორედ წინარე წარმატებულ გამოცდილებაზე და გამოწვევებზე დაყრდნობითაა შემუშავებული. საბოლოოდ, იკვეთება, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ საგნობრივი კურიკულუმებისა და ინდგეგმების გარდა, შეიმუშაონ მოსწავლეთა თვითშეფასებისა და მასწავლებელთა თვითრეფლექსიის ინსტრუმენტები და სასკოლო კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებით კათედრაზე მიიღონ გადაწყვეტილებები მტკიცებულებებზე დაყრდნობით.

ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივმა კათედრამ წარმოადგინა ამჟამად მოქმედი კურიკულუმები, რომლებიც შემუშავდა 2022-2023 სასწავლო წლისათვის (კათედრის ანგარიში დანართი 49), რომლებზე

დაფუძნებითაც შექმნეს 2023-2024 სასწ. წლისთვის კურიკულუმების პირველადი ვერსიები.“წარმოდგენილია კათედრაზე შეთანხმებული შეფასების რუბრიკები, შეფასებებზე დაფუძნებით მასწავლებლებს შეაქვთ ცვლილებები კურიკულუმებსა და თემატურ მატრიცებში. კათედრის სხდომებზე უაზიარებენ ერთმანეთს მოსაზრებებს მოსწავლეთა მიღწევების შესახებ და ამ ანალიზის საფუძველზე გეგმავენ მომდევნო სამუშაოებს. შეხვედრისას გაირკვა, „სამომავლოდ გათვალისწინებულია, კათედრების წევრებს შორის განხილული საკითხები, რიგგარეშე სხდომები, დოკუმენტურად ავსახოთ, დავწეროთ რეფლექსიები და პერმანენტული ხასითი შევძინოთ“-დანართი 03.

.წარმოდგენილი მასწავლებლის პორთფოლიოებიდან ჩანს მათი გამოცდილება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით, წარმოდგენილია მოსწავლეთა შეფასების ამსახველი დოკუმენტები,წინა წლის თემატური გეგმა, რომელიც ითვალისწინებს სასწავლო პროცესის წინარე ცოდნაზე დაყრდნობით დაგეგმვას. როგორც ინტერვიუდან გამოჩნდა, მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით. ინტერვიუდან და სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი ინფორმაციიდან შიძლება ითქვას,რომ მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების და წლის განმავლობაში მიღწეული შედეგების ანალიზის საფუძველზე კათედრა ერთობლივად მუშაობს მომავალი წლის კურიკულუმზე, რომელიც ეფუძნება წინარე ცოდნას და ორიენტირებულია შედეგების გაუმჯობესებაზე.

სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეების ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. საზოგადოებრივი მეცნიერებების დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეები, იგეგმება დავალბების პირობის სრულყოფა ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომპლექსური დავალების დანერგვის და განხორციელების პროცესში ხელი შეეწყობა ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირების პროცესს.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით ჩანს, რომ სკოლა ახორციელებს გაკვეთილების თვითშეფასებას, რაც მტკიცდება სკოლის მიერ წარმოდგენილი მასწავლებლის მიერ გაკეთებული კომპლექსურის ანალიზის ნიმუშით . შესაბამისად, ჩანს, რომ სკოლა ბუნებისმეტყველების კათედრაზე ითვალისწინებს წინარე გამოცდილებასა და მისი ანალიზის შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. 2.1.2.1- დანართი 03; 16 (მოთხოვნილიდან); დანართი-0.6 2023-2024

2. 2.1.2.2- დანართი 03; დანართი-0.6 2023-2024; დანართები 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ყურაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

----

----

3. 2.1.2.3- დანართი 03; დანართი-0.6 2023-2024; დანართები-1; 25, 26, 27; 28,29, 30,31, 32)
4. 2.1.2.4-დანართი 03; დანართი-0.6 2023-2024; დანართები: 55,
5. 2.1.2.4-დანართი 03; დანართი-0.6 2023-2024; დანართი 49
7. კურუკულიუმები, საგნობრივი პროგრამები;
8. სასკოლო სასწავლომგეგმა;
9. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების შესახებ ხედვა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

v შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3, სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4, სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ხურციძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი კათედრა ორიენტირებულია, სწავლა-სწავლების პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით. ყველა კლასში არის გაწერილი კომპლექსური დავალებები, მცირეოდენი უზუსტობებით, (რომლებსაც გამოასწორებენ),ეს ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ ჩართულობას შემოქმედებით პროცესში. გეგმავენ სექტემბრამდე გაასწორონ უზუსტობები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

მათემატიკის საგნობრივი კათედრა ორიენტირებულია, საბაზო საფეხურის სწავლა-სწავლების პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით. ამ მეთოდით სწავლება კი თავისთავად უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

საბაზო საფეხურის 7-9 კლასის კურიკულუმებში გაწერილი როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული შინაარსის თემები, მოწყობილი სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, ფესტივალები სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე და ინფორმირებულია მშობლები იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანს, თითოეულ ბავშს აქვს შემოქმედებით პოცესში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობა.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

წარმოდგენილი კურიკულუმების გაცნობისას შეიძლება დავასკვნათ, რომ დაგეგმილი კურიკულუმის რალიზება მიმართულია ისეთ საკლასო გარემოზე და საგაკვეთილო პროცესზე, როდესაც საკვანძოდ მნიშვნელოვანია ისეთი აქტივობების განხორციელება, სადაც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიექტი და აქტიურადაა ჩართული სასწავლო პროცესში. საბაზო საფეხურის კურიკულუმში მოცემული შუალედური მიზნები, საშუალებას მისცემს მოსწავლეს, რომ განიხილოს ახალი ინფორმაცია, გადაამუშაოს და განიხილოს იგი ახალ კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცეს და ახსნას იდეები თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ ზეპირი სახით. მაგ., ინგლისური ენის მე-9 კლასში -პრეზენტაცია ჩემი იდეალური სამეზობლოს აღსაწერად; რუსული ენის მე-8 კლასში- პრეზენტაცია თემაზე“ ჩემი გატაცებები” ამას გარდა, სხვადასხვა საგნების კურიკულუმებში უმეტესად მაგალითები შედარებისთვის შერჩეული რესურსები ვალიდურია, რაც დაეხმარება მოსწავლეებს შესადარებელი მაგალითების განხილვაში და ცნების/ქვეცნების გააზრებაში. მაგ., მე-8კლასში, ინგლისურ ენაში ძირითადი საკითხია „სტატია ცნობილ/საყვარელ ადამიანზე“ და მაგალითი შედარებისთვის შერჩეულია რეალური საგაზეთო სტატიის ნიმუშები მახასიათებლები. კურიკულუმის გაცნობისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ის, რომ ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების პორცესში მათი როლი არის ორგანიზებული მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კათედრის წევრებს აქვთ მზაობა, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ბერიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----

მათ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას ხელი შეუწყონ აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

რამდენადაც ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე შემუშავებულია კომპლექსური დავალებები, რაც თავის თავში გულისხმობს მოსწავლეთა მონაწილეობას სხვადასხვა აქტივობაში, ასევე, შექმნილია „მკითხველთა კლუბი“ სამივე საფეხურის მოსწავლეთათვის, განხორციელებული აქვთ მრავალფეროვანი აქტივობები (იხ. დანართი 49, დანართი 63, 65...), ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა, რომ კათედრა კვლავაც აპირებს სხვადასხვა ინტერესის მოსწავლეებზე მორგებული ღონისძიებების დაგეგმვასა და გამართვას, შესაძლებელია ითქვას, რომ ინდიკატორის ამ ნაწილში სრული შესაბამისობაა.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას,რაც კარგად სჩანს მასწავლებლის პორტფოლიოში წარმოდგენილი მასალით - კონსტრუქტივისტული მიდგომებით, რესურსებით, პროექტებით და სტრატეგიებით. სკოლის სასკოლო გეგმაში აღნიშნულია რომ მოსწავლეებს ეძლევათ პრობლემაზე დაფუძნებული დავალებები.ინტერვიუზე აღნიშნეს,რომ მუსიკა და ხელოვნების ყველა მასწავლებელი წლის განმავლობაში რამდენჯერმე გეგმავს და ახორციელებს სასკოლო ღონისძიევბებს,რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას , ასევე მოსწავლეებში შინაგანი მოტივაციის ზრდას, უყალიბდებათ პოზიტიური დამოკიდებულებები და იზრდება მათი აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა.(წარმოდგენილია პროექტი „საუკეთესო ნაძვის ხე)

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; საზოგადოებრივი მეცნიერებების დაწყებითი კლასის კურიკულუმში კათედრას გათვალისწინებული აქვს გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები, იქ სადაც კომპლექსური დავალების იდეას განსაზღვრავს, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით კათედრას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

ბუნებისმეტყველების და მათემატიკის საგნობრივი კათედრები ირჩევს სასწავლო პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით, კომპლექსური დავალებებით მუშაობა კი უზრუნველყოფს ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. ყველა კლასში არის გაწერილი კომპლექსური დავალებები, მასწავლებლებთან ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ გეგმავენ მათი რაოდენობის გაზრდას. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირება ორგანიზებულია ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის მიერ და ეფუძნება წინარე ცოდნაზე დაშენებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

---

მოსწავლეები ასე უკეთ ეუფლებიან ახალი მასალის შენება-გააზრებას. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე მუშაობისას მოსწავლეს წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით გაუადვილდება სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიან მიზნებზე გასვლა.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

საბაზო საფეხურის პირველი და მეორე უცხოური ენების კურიკულუმებში პროცესი მიმართულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე და შერჩეულია სათანადო თემები, კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები და რესურსები. თუმცა, რუსული ენის მე მე-7 -8 და 9 კლასის ჩარჩოებში არ არის რესურსები მითითებული (რადგანაც ძველი 4 სვეტიანი ჩარჩოა წარმოდგენილი). მიუხედავად აღნიშნულისა, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ სასწავლო პროცესის წარმართვისთვის შეარჩიონ სათანადო თემები, კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები და რესურსები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება მოსწავლეებისთვის გამომდინარე მათი წინარე ცოდნა-გამოცდილებიდან. ეს კი დაეხმარება მათ ცოდნის კონსრტუირებაში და ცნების/ქვეცნების გააზრებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ქართულის კურიკულუმების მიხედვით, გრძელვადიან მიზნებზე მუშაობა მიმდინარეობს ნაცნობ თემატურ კონტექსტებში, როგორებიცაა: ადამიანი და მისი ცხოვრება, ჩვენი ურთიერთობები, კავშირი ბუნებასთან და მისთ. (იხ. კურიკულუმის ჩარჩოები), კომპლექსური დავალებების განხორციელება კი თავის თავში გულისხმობს წინარე ცოდნის გააქტიურებას და მასზე ახლის დაშენებას, რაც გამოიკვეთა კათედრასთან შეხვედრის დროსაც.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

საგნობრივი კურიკულუმები ეყრდნობა მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, რაც წარმოადგენს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას.(განსაკუთრებით ჩანს მუსიკის კურიკულუმის ჩარჩოში),ხოლო ხელოვნების კათედრის პედაგოგებმა ინტერვირებისას აღნიშნეს,რომ მოსწავლეები ინფორმაციის დამუშავებას და ცოდნად გარდაქმნას, წინარე ცოდნის საშუალებით ახორციელებენ, რაც განაპირობებს შინაგანი ძალების გააქტიურებას.კომპლექსური დავალებები ისეა შედგენილი, რომ მოსწავლებს შეუძლიათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირება და დამუშავება . კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას უწევთ მათთვის ნაცნობი პრობლემის გადაჭრა , არსებული ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება, იდეების გენერირება და შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესი, კომპლექსური დავალების არსიდან გამომდინარე,უზრუნველყოფს სწავლის სწავლას. საგნობრივი კათედრების მიერ შერჩეული დავალებები ამაზე მიუთითებს.

სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, მათ მიერ პრობლემის იდენთიფიცირებისა და გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიება. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება

ისეთ რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს.

წარმოდგენილ საგნობრივ პროგრამებში მკაფიოდ არ იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, თუმცაღა ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა მასწავლებლების მზაობა, რომ მათ შეუძლიათ მეტაკოგნიტური სტრატეგიების ინტეგრირება სასწავლო პროცესში. მაგალითად, დაგეგმილი აქვთ არა მხოლოდ კომპლექსური დავალების საკვანძო შეკითხვების გამოყენება ან წერის/ლაპარაკის თვითშეფასების რუბრიკების წარმოება, არამედ სწავლის წინმსწრებ და სწავლის შემდგომ მეტაკოგნიტური სტრატეგიებზე მუშაობაც. საერთო შეფასებით, კათედრის წევრ მასწავლებლებს შეუძლიათ შესთავაზონ მოსწავლეებს ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებიც იძლევა მათი ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების საშუალებას და სწავლაში ხელისშემწყობი/ხელისშემშლელი ფაქტორების გამოკვეთას.

წარმოდგენილი თემატური მატრიცები, ნაშრომის პრეზენტაციისას დასამელი შეკითხვები - რა ხერხები/სტრატეგიები გამოიყენეთ; რა ნაბიჯები გადადგით... დავალებაში მოცემული საკვანძო შეკითხვები-როგორ დავწერო... როგორ მოვიპოვო ინფორმაცია... როგორ გადმოვცე... და ა.შ.სწავლის-სწავლის სტრატეგიებიას გამოყენებაზე მიუთითებს (იხ. კურიკულუმები, თანდართული მატრიცების სამუშაო ვერსიები).

ინტერვიუდან, წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან, პორთფოლიოებში, სკოლის სასწავლო გეგმასა და მეთოდოლოგიაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე რომლის მიზანია მოსწავლეს განუვითაროს გამჯოლი უნარები და ღირებულებები, კომპლექსური დავალებები ისეა აგებული, რომ მოსწავლეს დამოუკიდებლად შეუძლია დავალების მნიშვნელობის განსაზღვრა. მოთხოვნათა გააზრება და მის შესასრულებლად საჭირო ცოდნის განსაზღვრა; დავალების/აქტივობის მთავარი მიზნის განსაზღვრა; სამუშაოს წარმატებით შესრულების კრიტერიუმების დადგენა; განსახორციელებელი სამუშაოს ეტაპების გამოკვეთა; იმის განჭვრეტა, თუ რა გაუადვილდება, რა გაუძნელდება, რაში დასჭირდება დახმარება; სტრატეგიების მიზანშეწონილად შერჩევა. სასწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი, წახალისებულია მოსწავლის ინიციატივები. (სასწ. გეგმა)

პორთფოლიოში წარმოდგენილ მუსიკის (მე 7 კლასის მატრიცაში „ბუნება და ტექნიკა“,მე 8 კლასშ „თაობები და მუსიკა“,მე 9 კლასში „კატაკლიზმები მუსიკაში“) განსაკუთრებით ჩანს როგორ იყენებს პედაგოგი სხვადასხვა სტრატეგიებს დაგეგმილი დავალებები მოსწავლეს აძლევს ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების საშუალებას. მოსწავლე თავად ახდენს შესრულებული დავლების ანალიზს, მას შეუძლია პირობების და ფაქტორების ამოცნობა, რომლებიც ხელს უწყობს ან აფერხებს წინსვლას, მას შეუძლია სათანადო ზომების მიღება წინსვლის ხელშესაწყობად.

შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. შეფასების სისტემა(განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული.შესაბამისად,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ხერხეულიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

---

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას ვინაიდან კომპლექსური დავალების შედეგი არის პროდუქტი, რომლის დამზადებასაც სჭირდება დეკლარატიული ცოდნა, პროცედურების განხორციელება და ნასწავლის ტრანსფერი ახალ გარემოში.

საბაზო საფეხურის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სკოლის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს ცოდნის სამივე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) კატეგორიის წარმოდგენას. კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენებას ფიზიკურ აქტივობებში და მათ გადატანას ახალი აქტივობების შესწავლის პროცესში. მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეები ცოდნის ორიენტირებას მარტივიდან რთულისაკენ.

სკოლის მიერ წამოდგენილი საბაზო საფეხურის ყველა საგნის კურიკულუმებში განხილული/ დაგეგმილი კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითებს ასახავს. კონკრეტულ დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეს უწევს როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტილების მოძებნა. ასევე გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ საბაზო საფეხურის ყველა კლასში და ყველა საგანში, მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი ტიპის კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, რომელზე მუშაობაც მოითხოვს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას და საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას, სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებას.

ინტერვიუდან და პორთფოლიოებში წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული);რაც კარგად არის
ასახული საგნობრივ პროგრამებში, კომპლექსურ დავალებებსა და არაფორმალურ აქტივობებში. ორიენტირება ცოდნის სამივე კატეგორიაზე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში საკითხის გააზრებას, არსობრივ წვდომასა და სხვადასხვა კონტექსტში ცოდნის ადეკვატურ გამოყენებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

პირობისეული ცოდნა, რომელიც კომპლექსური დავალებების განხორციელების აუცილებელი პირობაა, ხელს უწყობს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. მასწავლებლებთან შეხვედრისას გამოიკვეთა , რომ ახორციელებენ და გეგმავენ ინტეგრირებულ დავალებებს, რომლებიც ხელს უწყობს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ჟ. ბერიშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----

საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. კურუკულუმში გაწერილი თემები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, საგნის კომპონენტები ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა

წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ასახავს კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებს, სადაც განსახილველი თემის შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის. ამდენად, აღნიშნული უზრუნველყოფს იმ გარემოებას, რომ მოსწავლე იწყებს ფიქრს პრობლემაზე, გამოწვევაზე და თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია; ნაცვლად ახალი მასალის დასწავლისა და უბრალო რეპროდუქციისა, მოსწავლე ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე. ასევე, ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა მასწავლებელთა მზაობა, რომ დაგეგმონ და განახორციელონ მსგავსი ტიპის კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა.

ინტერვიუდან და პორთფოლიოებში წარმოდგენილი დოკუმენტების (განხორციელებული კომპლექსური დავალებებიდან,პროექტებიდან,) ნათლად ჩანს რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. კომპლექსური დავლებები და სხვადასხვა სასკოლო პროექტები ისეა აგებული, რომ მოსწავლემ გააერთიანოს ყველა ის უნარი და ცოდნა, რაც მას გამოადგება პრობლემის გადაჭრისას, გამოწვევებთან გამკლავებისას და პროდუქტის შექმნისას. ყოველივე ეს ხელს უწყობს ცოდნის ინსტრუმენტად გარდაქმნას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურუკულიუმებით და კურუკულიუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით;
2. 1დანართი 49; 03; 20, 65;74;77...
3. კურიკულუმის ჩარჩოები, დანართი 03.
4. კურიკულუმები, თანდართული მატრიცების სამუშაო ვერსიები.
4. კურიკულუმი; სასწავლო პროექტები; დანართი 03.
5. .კურიკულუმი; სასწავლო პროექტები; დანართი 03.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ყურაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----
----

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სასწავლო პროცესი, კურიკულუმის შესაბამისად, უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას ბუნებისმეტყველების საგნობრივ და მათემატიკის საკითხებზე დაყრდნობით; კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხები მიმართულია სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებისკენ.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სასწავლო პროცესი ისე არის დაგეგმილი, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს, პირობას და შემდეგ წინარე ცოდნაზე დაშენებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით.

საბაზო საფეხურის კურიკულუმებში გამოკვეთილია , რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე (სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე). ზოგიერთ შემთხვევაში ქვეცნებების ჩამონათვალი სრულყოფილიარ არის, მაგრამ ეს არ უშლის ხელს იმის აღქმას, რომ სასწავლო პროცესი ნამდვილად მიემართება გრძელვადიან მიზნებს. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ გააზრებული რომ განმავითარებელი რუბრიკა ეფუძნება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს და აკონკრეტებს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსს ქვესაკითხებთან მიმართებით. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას აქცენტირებულია

კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ქართულ ენასა და ლიტერატურაში კურიკულუმის ჩარჩოები საჭიროებს სრულყოფასა და დახვეწას, გასაწერია სამიზნე ცნებები, თუმცა, წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში სამიზნე ცნებები მუშავდება საგნობრივ საკითხებზე, კონკრეტულ თემაზე დაყრდნობით. შესაბამისად, უზრუნველყოფილია სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისება კომპლექსურებში წარმოდგენილი აქტივობების კლასში განხორციელების შედეგად. (იხ. სამუშაო რეჟიმში წარმოდგენილი კომპლექსურების მატრიცები).

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

მასწავლებლების პორტფოლიოებში,კურიკულუმის ჩარჩოებში და ინტერვიურებიდან გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

განსაკუთრებით მუსიკის საბაზო საფეხურის კლასების კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია თუ რა მიზანს ემსახურება და რა შედეგზეა ორიენტირებული მითითებული საგნის საკითხების შესწავლა. სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მასწავლებლის მიერ შეთავაზებული მრავალფეროვანი აქტივობები და რესურსი უზრუნველყოფს შემოქმედებითი უნარების განვითარებას.

კურილულემებში გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები, რომლებიც ასახავს სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს და ცხოვრების ჯანსაღი წესის, აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი პროექტები, ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ, ფსიქო-ემოციურ განვითარებას და კეთილდღეობას.

წარმოდგენილი საგნობრივ პროგრამებში საგნობრივი საკითხები შერჩეულია იმგვარად, რომ ისინი არც ძალიან იოლი და არც ძალიან რთული იყოს მოსწავლისთვის. ეს ასახულია საბაზო საფეხურის განმავითარებელი შეფასების კერძო რუბრიკაში. გასაუბრების კი გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე შემავალ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს (და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის ,,ვალდებულებას‘‘).

სასწავლო პროცესის გარდა კათედრა/სკოლა ზრუნავს მოსწავლის სოციალურ-კულტურულ განვითარებაზე, ამაზე მიგვანიშნებს მათ მიერ განხორციელებული არაფორმალური აქტივობები, პროექტები ,,ყველა ადამიანშია მზე“ და ,,ჩვენ ვირჩევთ ჯანსაღი ცხოვრების წესს.“ (დანართი 82, 15, 48,51, 63.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ბერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

---

პორთფოლიოებში წარმოდგენილი (დავალებები,სხვადასხვა აქტივობები მატრიცის სახით) ეხმარება მოსწავლის პიროვნული სოციო-ფსიქოლოგიურ განვითარებას. ასევე სკოლა ახორციელებს სოციალურ პროექტებს (მტკიცებულება-კათედრას წარმოდგენილი აქვს სახალისო კონკურსი "საუკეთესო ნაძვის ხე") რაც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ ზრდას, განვითარებას, ემოციების მართვას. მოსწავლეებს უყალიბდებათ ღირებულებათა სისტემა. ეჩვევიან გუნდურ მუშაობას, ამყარებენ პოზიტიურ ურთიერთობებს, მოსწავლეებს უყალიბდებათ პასუხისმგებლობა და ემპათია.

საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში ძირითადი თემებია განსაზღვრული, კათედრას ამ ეტაპზე დამატებითი საგნობრივი კონტექსტების ნაწილი აქვს შერჩეული კონკრეტული კომპლექსური დავალების განხორციელებისათვის თუმცა, ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის მიხედვით დაგეგმილი სასწავლო პროცესი, კომპლექსური დავალებების გასიტყვების ნაწილი, მოემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო - სოციალურ განვითარებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში, რომელიც სკოლას ნიმუშის სახით აქვს წარმოდგენილი, ჩანს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერა; მასწავლებლებთან პირისპირ საუბრისას გამოიკვეთა , რომ პედაგოგები ორიენტირებული არიან მოსწავლეთა განვითარებაზე და მათი შეფასებები არის განვითარებაზე მორგებული.

განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში, რომელიც სკოლას ნიმუშის სახით აქვს წარმოდგენილი, ჩანს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერა; ასევე, ამის მტკიცებულებად გამოდგება ყველა კომპლექსური დავალება, რომლებშიც ჩაშენებულია შეფასების კრიტერიუმები ქუდის ქვეშ: „ნაშრომში ხაზგასმით წარმოადგინე". ყველა ეს კრიტერიუმი კი მიმართულია სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებისკენ.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ეყრდნობა სტანდარტში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენიდან. რომელიც საჭიროებს დახვეწას და რის მზაობასაც გამოხატავს სკოლა, მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიზანმიმართულად გამოიყენება, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ბერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

----

სკოლის მიერ წამოდგენილი საბაზო საფეხურის კურიკულუმი წარმოადგენს სასწავლო პროცესზე ორიენტირებულ კურიკულუმს და ჩანს, რომ შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ წარმოუდგენია ყველა უცხოური ენის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კერძო რუბრიკები, საბაზო საფეხურზე წაროდგენილია ინგლისური ენის ორივე ტიპის რუბრიკები. იქ მკაფიოდ იკითხება ორივე ტიპის შეფასების მიზნები, ამოცანები, კრიტერიუმები მათი შეფასების ფორმები. გასუბრების შედეგების მიხედვით კი შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით განიხილება სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა ასევე, რომ შეფასების სისტემა არ არის ორიენტირებული მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე და ითვალისწინებს მოსწავლის ჩართულობასაც სასწავლო პროცესში. საბოლოოდ, შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასების აუცილებელ კომპონენტებად უნდა განიხილონ დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტირება განვითარების ყველა სფეროს (კოგნიტური, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური) მიხედვით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივმა კათედრამ წარმოადგინა შეფასების რუბრიკები, (კითხვის, წერის, ჩართულობის, ზეპირმეტყველების, პრეზენტაციის) ასევე აქვთ სოლო ტაქსონომიით მოსწავლის შეფასების გამოცდილება, გაცნობიერებული აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მიზნობრიობა სწავლა-სწავლების პროცესში, მომავალი სასწავლო წლისათვის შერჩეული აქვთ განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი ,ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ 2023-2024 სასწავლო წლიდან , თემებთან მიმართებით, სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაყრდნობით, შქმნიან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

შეფასების ფორმები , დონეები და რუბრიკები მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, სადაც აღინიშნება, რომ მოსწავლეები შეფასების ინდიკატორებისა და რუბრიკების შესახებ ინფორმაციას იღებენ როგორც გაკვეთილებზე, ასევე თითოეული შემაჯამებელი დავალების წერისას. მოსწავლეებს უკუკავშირის გათვალისწინებით, საშუალება აქვთ შეაფასონ როგორ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი და როგორ იმუშავონ არსებულ გამოწვევებზე. ჰოლისტური შეფასების მექანიზმად სკოლა ხელმძღვანელობს განმავითარებელი შეფასების სახით სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიით (სოლო ტაქსონომიის ცხრილი) ასევე კათედრას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკა განმავითარებელი კომენტარებით, ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიაზე დაყრდნობით, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სხვადასხვა თემატური ბლოკთან მიმართებით. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ შეფასებისას იყენებენ განმავითარებელ შეფასებას სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე, სტანდარტის შედეგებზე და სოლო ტაქსონომიაზე დაყრდნობით. (წარმოდგენილია საბაზო საფეხულის რამდენიმე სოლო ტაქსონომიის შეფასების ცხრილი). მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ბერიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

----

შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

ბუნებისმეტყველების კათედრა, შეფასების რუბრიკების გამჭვირვალეობის მიზნით, გეგმავს მათ გასაჯაროებას. სასწავლო პროცესში გამოყენებისას კი იზრუნებს ობიექტურობასა და სამართლიანობაზე. მათემატიკის საგნობრივი კათედრაკათედრა, შეფასების რუბრიკების გამჭვირვალეობის მიზნით, გეგმავს მათ გასაჯაროებას. სასწავლო პროცესში გამოყენებისას კი იზრუნებს ობიექტურობასა და სამართლიანობაზე. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ჩაშენებულია კომპლექსურ დავალებებში, ისედაც გამჭვირვალეა, რადგან დავალების ბარათები ეგზავნებათ მოსწავლეებს და, ამავე დროს, ეცნობათ მშობლებსაც. მასწავლებლები ფლობენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს და წარმატებით იყენებენ პრაქტიკაში, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს (პრეზენტაცია), ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელთან გასაუბრების დროს კი გამოიკვეთა რომ მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში გათვალისწინებულია ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შეფასების სისტემის განვითარება და დახვეწა, რომლებიც სრულად დააკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.

წარმოდგენილ საგნობრივი პროგრამების საფუძველზე ნათელია, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა არის: ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო , ობიექტური და სამართლიანი. ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების სისტემური ხედვა და მზაობა რომ შეფასების კონცეფციის, მეთოდიკური ორიენტირებისა და მიდგომის შემუშავებით შეარჩიონ შეფასების ინსტრუმენტი (მაგ., შეიძლება მასწავლებელმა დაგეგმოს პორტფოლიოების, ჟურნალების, დღიურების გამოყენება, რადგან ეს მიდგომა და დიზაინი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს განახორციელონ რეფლექსია, შეაფასონ საკუთარი ნამუშევარი და მონიტორინგი გაუწიონ სწავლის პროგრესს), განსაზღვრონ შეფასების ინსტრუმენტი და შეიმუშაონ შეფასების კრიტერიუმები.

ამჟამად წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმები, როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასებისათვის ნაკლებად ეფუძნება შედეგების მიღწევის ინდიკატორებს, მაგრამ, როგორც მასწავლებლებთან შეხვედრიდან გაირკვა, მომავალი სასწავლო წლისათვის იგეგმება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნას, მასწავლებლები შეიმუშავებენ შეფასების მეთოდოლოგიას, შეფასების კრიტერიუმებს, გაითვალისწინებენ მოსწავლის საჭიროებებს, გამოკვეთენ, რომელ სასწავლო შედეგს მიემართება შეფასება, შესაბამისად, შეფასება იქნება ვალიდური.მოსწავლეებს ეცოდინებათ, თუ როგორ შეფასდება მათი ცოდნა- ამ შემთხვევაში შეფასება იქნება გამჭირვალე, ობიექტური და სამართლიანი. თითოეული ნიშანი და ქულა იქნება რეალისტური ,დახვეწილი და არაორაზროვანი., ამ შემთხვევაში ,კი, შეფასება იქნება სანდო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ბერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

---

მასწავლებლების პორტფოლიოში, ასევე სკოლის ერთ წლიან სამოქმედო გეგმაში გაწრილია სამომავლოდ რუბრიკების და შეფასების მექანიზმების განხორციელება სკოლაში. შესაბამისად, აღწერის მიხედვით შეფასება უნდა იყოს ვალიდური. აქედან გამომდინა ერთობლივად შემუშავებული შეფასების სისტემა ობიეტურია. შეფასების სისტემის ვალიდურობაზე/გამჭირვალობაზე/სანდოობაზე /ობიექტურობაზე/სამართლიანობაზე მეტყველებს მკაფიოდ გაწერილი შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები, რომელიც მოსწავლეებისათვის მარტივი ენითაა ჩამოყალიბებული, ადვილად გასაგები და მისაწვდომია. მათ ზუსტად იციან, როგორ ფასდება და რა მიზნისკენაა მიმართული შეფასება. (სასურველია შეფასების რუბრიკებში გამოიკვეთოს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები და სტანდარტის შედეგები.)

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

სკოლის თვითშეფასების განაცხადის ნარატივში წარმოდგენილი ვერიფიკაციის მექანიზმები და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგის ინტერვიუ ადასტურებს, რომ შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ კათედრები, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია და დაკვირვების შედეგად ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან. სკოლა გეგმავს სასკოლო პრაქტიკაში დამკვიდრებული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები აქციოს წერილობით დოკუმენტად, რომელშიც გაიწერება სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის მეთოდოლოგია

სკოლაში შემუშავებული აქვთ შიდა ვერიფიკაციის სისტემა, რომელიც ითვალსიწინებს სხვადასხვა მექანიზმს, მათ შორის- სემესტრულ გამოცდას. ამ ეტაპისთვის კათედრას წარმოდგენილი აქვს დიაგნოსტიკური შეფასების ანალიზი, კომპლექსური დავალების ანალიზი, მოსწავლეთა პროგრესის ამსახველი მასალა ფუნქციურ-კომპონენტური უნარების თავლსაზრისით, შემაჯამებელი დავალების ანალიზი. გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ კათედრა გეგმავს, მომავალი სასწავლო წლისათვის ვერიფიკაციის მექანიზმების დახვეწას, მოსწავლეთა ნამუშევრების გაანალიზებას, მოსწავლეთა და მასწავლებელთა პორტფოლიოების შექმნას..

როგორც პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, კათედრის შეხვედრებზე განიხილება მოსწავლეების მიღწევების აღწერა და ხდება გაანალიზება თუ რამდენად ასრულებს არსებული შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწვლა-სწვალების პროცესის საყრდენს. მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემის დახვეწა - განვითარება მუდმივად ხორციელდებოდეს, რათა მოსწავლეებმა შეიძინონ ის მნიშვნელოვანი ცოდნა და უნარები, რაც მათ დასჭირდებათ არა მხოლოდ სკოლაში, არამედ მთელი ცხოვრების მანძილზე წარმატების მისაღწევად. ამიტომ, შეფასების და ცოდნის გადამოწმების სისტემებმა, რომელბსაც სკოლა გამოიყენებს პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს გრძელვადიანი მიზნებით გათვალისწინებულ ცოდნასა და უნარებს, ფუქნციურ კომპონენტური უნარებსა და გამჭოლ პრიორიტეტებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ყურაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

----

----

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას ჩამოყალიბებული აქვს მოსწავლეების აკადემიური მიღწევების შეფასების სისტემა, თუ როგორ ახორციელებს შეფასების სიტემის ვერიფიკაციას და ზოგადად სასწავლო პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას. შესაბამისად სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას.საბაზო საფეხურზე წარმოებული ელექტრონული ჟურნალები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ამასთანავე ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმი; ბ) სასწავლო პროექტები; გ) მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
2. პროექტები; დანართი 82, 15, 48,51, 63; 03
3. კურიკულუმი; ბ) სასწავლო პროექტები; დანართი 03.
4. კურიკულუმი; ბ) სასწავლო პროექტები; დანართი 03. მე-12 შემაჯამებელი ფორმა
5. დიაგნოსტიკური შეფასების ანალიზი, კომპლექსური დავალების ანალიზი, მოსწავლეთა პროგრესის ამსახველი მასალა ფუნქციურ-კომპონენტური უნარების თავლსაზრისით, შემაჯამებელი დავალების ანალიზი.-დამატებით მოთხოვნილ დოკუმენტაციაში.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ყურაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----
----

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სასწავლო პროცესის მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნა მნიშვნელოვანი ნაწილია სკოლის განვითარებაში. სკოლის მიერ შემუშავებულ სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი სკოლის მისია, ხედვა, სასწავლო გარემო, საგნობრივი პროგრამები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის შეფასების წესები დამატებითი მომსახურეობა, რამდენად გეგმავს და წარმართავს სკოლა მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, ასევე, მოცემულია სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი პროგრამები, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე რაც იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია პოზიტიური გარემო, რომელიც ემსახურება მიმღებლობით და მხარდამჭერი გარემოს შექმნას; ინტერვიუს შედეგად ასევე გამოვლინდა, რომ მასწავლებლებს შორის ხდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება, რჩევების მიცემა და გამოცდილების გაზიარება. ყოველივე ზემოთ აღნიშნული იძლევა იმის საუძველს, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელთან ინტერვიუდან გამომდინარე სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის მხარდამჭერ და მიმღებლობის გარემოს. ითვალისწინებდა მათ ინტერესებს და სკოლის ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე გეგმავს სპორტულ აქტივობებს. რაც ერთ-ერთი საშუალებაა მოსწავლეებში ნდობის და დადებითი გარემოს უზრუნველსაყოფად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

თვითშეფასების ფორმაში ასახულია სასწავლო პროცესის წარმართვის მექანიზმები, რომელიც არის მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო და უსაფრთხო გარემო, სკოლა ამისთვის იყენებს მართვის ეფექტიან სტრატეგიებს, კერძოდ, მშობელთან კომუნიკაცია, სოციალურ მუშაკებთან ინფორმაციის გაზიარება გამოსავლის მოძებნის მიზნით, პრობლემებთან ჩაღრმავება იდენტიფიცირებისა და მოგვარების თვალსაზრისით. მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოში, ხშირ შემთხვევაში, ითვალისწინებენ მოსწავლეთა არჩევანსაც- თუ სად, როდის და როგორ უნდა სწავლა. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლის თვითრეგულაციის (თვითრეგულაციური ციკლის) განვითარებაზე.

აღსანიშნავია რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვას სახის სპორტულ ოლიმპიადებში, სასკოლო სპორტულ ფესტივალებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებსაა მორგებული და მათზეა ორიენტირებული.

სკოლას შემუშავებული აქვს საბაზო საფეხურზე ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის საგნების კურიკულუმი და დაგეგმილი აქვს სასწავლო პროცესი შუალედური სასწავლო მიზნებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით სწავლება პედაგოგს საშუალებას აძლევს უზურნველყოს ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში, მოსწავლეებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ბერიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

----

თანამშრომლობითი უნარების განვითარება და შექმნას ეფექტური გარემო მოსწვალეთა პოტენციალის რეალიზებისთვის. შემუშავებულია საბაზო საფეხურზე ინგლისური და რუსული ენების კურიკულუმი და დაგეგმილი აქვს სასწავლო პროცესი შუალედური სასწავლო მიზნებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებების განხორციელებით სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად; რაც იძლევა საშუალებას სასწავლო პროცესში ჩაერთოს ყველა მოსწავლე, ხელი შეუწყოს მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას და შექმნას პოზიტიური, ინკლუზიური გარემო მოსწვალეთა პოტენციალის რეალიზებისთვის.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას. სკოლა უზრუნველყოფს ეფექტურად დაგეგმოს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია).

სკოლის მიერ წარმოდგენი;ი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას. ინტერვიუს შედეგადაც გამოვლინდა, რომ განსაკუთრებით ინგლისური ენის პედაგოგებს აქვს მჭიდრო თანამშრომლობა და კომუნიკაცია, რაც აისახა მათ მიერ წარმოდგენილ კურიკულუმში და განხორციელებულ პროექტებში. სკოლის სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს სკოლაში შექმნილია პოზიტიური და მეგობრული გარემო, მოსწავლეებს, მშობლებს და სკოლის თანამშრომლებს ყოველთვის შეუძლიათ დააფიქსირონ საკუთარი აზრი სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, ხშირად ხდება მათი პოზიციის გათვალისწინება. დამკვიდრებული გამოცდილება პედაგოგების თანამშრომლობის სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან, მშობლებს, სამეურვეო საბჭოს აქვთ საშუალება გაეცნონ სკოლის სასწავლო პროცესში შემოთავაზებულ ინოვაციებს, ახალ მეთოდებს, ,,ახალი სკოლის“ მოდელის ფარგლებში კურიკულუმის დანერგვის პროცესის მექანიზმების შესახებ. მშობლებს აქვთ ინფორმაცია საბაზო საფეხურზე ჩატარებული სპორტულ ფესტივალის შინაარსის შესახებ სკოლა გეგმავს მშობლების კომპონენტის გაძლიერებას, პროექტული სწავლების გამოყენებით, სასკოლო თემის ჩართულობას სკოლის განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ შექმნილია სკოლაში პოზიტიური გარემო სკოლისა და კლასის დონეზე, შესაბამისად სასკოლო საზოგადოების წევრები ინტენსიურად არიან ჩართული სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში, გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებსა და არაფორმალური განათლების მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებს, რომელიც ასახული და გაწერილი აქვთ ერთ წლიან სამოქმედო გეგმაში. სკოლაში სათანადოდ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. თუმცა არის გაუმჯობესების მეტი მზაობა. მაგალითად ფიზიკური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
---

აღზრდისა და სპორტის მასწავლებელთან გასაუბრებიდან გამომდინარე სკოლაში ყოველთვის ატარებდნენ სპორტულ საკლასო და სასკოლო ღონისძიებები. მათი განცხადებით ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში შექმნილი და გადამუშავებული კურიკულუმები კიდევ მეტად გააქტიურებს ამ პროცესს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმი;
2. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
3. სკოლის შინაგანაწესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

v შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ---------- --------

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

სკოლაში კურიკულუმით განსაზღვრული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები არის შესამუშავებელი, სამომავლოდ იგეგმება მონიტორინგზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნა, რომელიც შეიმუშავებს მეთოდოლოგიას, ანალიზს გაუკეთებს მოგროვილ მასალას და დაკვირვების საფუძველზე დაადგენს საჭიროებებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია სასკოლო სასწავლო გეგმაში; თუმცაღა არ არის დაზუსტებული გამოკვეთლი მონიტორინგის და შეფასების მიზნები და ამოცანები. სასურველია სკოლამ კურიკულუმის მონიტორინგის მეთოდოლოგიის შემუშავების დროს გადადგას შემდეგი ნაბიჯები: გამოკვეთოს მიზნები და ამოცანები, თუ რა პრობლემის გადაჭრას ცდილობს კურიკულუმი, რა არის მისი მიზანი, რა ნაბიჯები გადაიდგმება, რა ინტერვენციები განხორციელდება ამ პრობლემის მოსაგვარებლად და როგორ დავრწმუნდებით, რომ კურიკულუმით წარმოებულმა პროცესებმა წარმატებით გადაჭრა პრობლემა;

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

სასკოლო სასწავო გეგმაზე დაყრდნობით და ასევე, პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მონიტორინგის და შეფასების სისტემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღქმულია ერთ-ერთ საჭიროებად. ერთერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი მონიტორინგისა და შეფასების სისტემის ეფექტური ფუნქციონირების არის ის რომ, სკოლამ გააუმჯობესოს სასწავლო პროცესი, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და ხელი შეუწყოდ უკეთესი აკადემიური შედეგების მიღწევას. სკოლის საგნობრივ კათედრებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა რომ სკოლაში ხდება გაკვეთილებზე დასწრება, უკუკავშირის, რეკომენდაციების მიცემა. ამასთანავე, ხდება მასწავლებელთა მიერ რეფლექსიის შედგენა. აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. იკვეთება რომ კათედრები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ, დანერგილ გამოცდილებას. საფეხურებისა და კლასების მიხედვით. პედაგოგები ჩართული არიან აღნიშნულ პროცესში. რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და გამოხატავს სასკოლო საზოგადოების წევრების ერთგვარ მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

მიმდინარე ეტაპზე სკოლაში დანერგვის ეტაპზეა კურიკულუმის მონიტორინგი/შეფასება, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი, სასწავლო პროცესში შედეგების შეფასება ხდება კათედრების დონეზე, რომელნიც ანალიზს წარმოადგენენ პედაგოგიური საბჭოს შემაჯამებელ სხდომაზე. ანალიზი ეხმარება სკოლას /კათედრებს / საფეხურებს პრობლემების იდენტიფიცირება/მოგვარებასა და სამოქმედო მიზნების განსაზღვრაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ბერიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

---

სამომავლოდ სკოლა გეგმავს განვსაზღვროს, როგორც ხელისშემშლელი ფაქტორები, ასევე არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის. სკოლას განსაზღვრული აქვს მონიტორინგის ანალიზებზე დაფუძნებით შეიმუშავოს პრიორიტეტული და სტრატეგიული ხედვები; კურიკულუმში წინარე წარმატებული გამოცდილების გათვალისწინება მოხდება ურთიერთდასწრების ანალიზებისა და შეფასების მასალების საფუძველზე.
მონიტორინგის და შეფასების შედეგად თუ რა პრობლემები გამოიკვეთა და რა გადაჭრის გზები/საშუალებები განხორციელდა ნაკლებად არის წარმოდგენილი ერთწლიან სამოქმედო გეგმაში და სკოლის თვიშეფასების ფორმაში. მნიშვნელოვანია, სკოლამ გამოკვეთოს სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში თუ როგორ ესახება მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოკვეთილი ძირითადი პრობლემების გადაჭრის გზები და საშუალებები, სკოლამ ანალიზზე დაფუძნებით უნდა შეიმუშავოს პრიორიტეტული და სტრატეგიულ ხედვა კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისთვის და ასახოს სამოქმედო გეგმასა და სასკოლო სასწავლო გეგმაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის თვითშეფასების ფორმა;
2. კურიკულუმი;
3. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ყურაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----
----

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

სასკოლო სასწავლო გეგმაში კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში სკოლას აღნიშნული აქვს, რომ მოახდენს პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას. თუმცაღა არ არის დაკონკრეტებული რა მეთოდებით და ინსტრუმენტებით მოხდება მონიტორინგი და შეფასება.. მნიშვნელოვანია, რომ შეფასება მოიცავდეს მონაცემების შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. პროცესების, მოსწავლის, პრობლემის, გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვება უნდა ეყრდნობოდეს სხვადასხვა წყაროებს.

სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა კომპლექსურია და მოიცავს სხვადასხვა მიმართულებას. მოსწავლე არ ფასდება ცალსახად, მხოლოდ მის მიერ გამოვლენილი ცოდნის საფუძველზე, მისი შეფასებისას ხდება სხვა ფაქტორების გათვალისწინებაც. შეფასების ჰოლისტური ხასიათის გათვალისწინებით, დანერგილია ერთიანი და სისტემური მიდგომა, მიმდინარე ეტაპზე სკოლა იყენებს შეფასების რუბრიკებს საგნობრივი მიმართულებით, საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენება სიტყვიერი კომენტარი, რომელიც მიმართულია მოსწავლის დადებითი მხარის წარმოსაჩენად და რჩევების ზუსტად და გასაგებად მიცემაში, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეების განვითარებას და სასწავლო პროცესის შედეგების გაუმჯობესებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

საბაზო საფეხური გვაძლევს შესაძლებლობას, მოსწავლეს დავაკვირდეთ და შევაფასოთ სხვადასხვა კონტექსტში, და მოვიტანოთ რეალისტური დასკვნები მისი სწავლის საჭიროებისა და უნარების შესახებ; სკოლა მოსწავლეს ხედავს სხვადასხვა კონტექსტში და ცდილობს მის წარმოჩენას/ შეფასებას. შეფასების დროს გათვალისწინებულია ყველა ინდივიდუალური ფაქტორი (შესაძლებლობები, უნარები, გამოცდილებები, წინაპირობები, პიროვნულობა, თვითგანსაზღვრა და სხვა) ; შესაბამისად, მასწავლებლები ამ ფაქტორების გათვალისწინებით აღიქვამენ მოსწავლეებს, და ამის მიხედვით მუშაობენ ინდივიდუალურად მათთან, ხელს უწყობენ მოსწავლეებს შედეგის/წარმატების მიღწევაში.

მნიშვნელოვანია, რომ პედაგოგიური პარაქტიკის კვლევისას, რომლის მიზანია შეისწავლოს რამდენად ეფექტურია მისი შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, გათვალისწინებული იყოს მრავალი კონტექსტი. ეს კონტექსტები შეიძლება იყოს: კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის მართებულობას სწორედ ეს მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს.

სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ფორმაში ჩანს, რომ შეფასება ხორციელდება ,, ანალიზის ან/და კვლევის საფუძველზე, პროცესზე დაკვირვებით,სასწავლო წლის ბოლოს, კათედრის წევრები ინდივიდუალურად ახდენენ კურიკულუმის თვითშეფასებას **შეთანხმებული ინსტრუმენტებით“,** თუმცაღა არ არის წარმოდგენილი საკუთრივ რა **შეთანხმებული**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ბერიშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----

ინსტრუმენტები. მნიშვნელოვანია, რომ შეფასების განხორციელებისას, (რომლის ერთერთი ფორმაა პედაგოგიური პარაქტიკის კვლევაც), გათვალისწინებული იყოს მრავალი კონტექსტი. ეს კონტექსტები შეიძლება იყოს: კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის მართებულობას სწორედ ეს მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

სკოლაში შეფასების ვალიდურობის უზრუნველსაყოფად მონაცემთა მიზნობრივი შეგროვებისა და ანალიზის პროცესს ახორციელებენ. ამ პროცესში მნიშვნელოვნად გამოიყენება მონაცემთა მოპოვების. სიტუაციის, მოვლენის, მოსწავლის უნარისა და შესაძლებლობების ასპექტები. საბაზო საფეხურზე გადამწყვეტია მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაციის მიღება, რაც შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით, ეს კი საკითხის შესწავლის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. სამომავლოდ, ამ მიმართულებით, სკოლა გეგმავს, შეფასების მეთოდოლოგიის დახვეწას, რათა დაბალანსდეს თითოეული მეთოდის სუსტი მხარეები და აქცენტი გაკეთდეს გაძლიერებაზე.

დადგინდა, რომ სკოლა იყენებს ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდებს. სკოლა სამომავლოდ გეგმავს დახვეწოს და გაამრავალფეროს შეფასების მეთოდები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს ხედვის პერსპექტივაში მოვლენის, სიტუაციის, ინდივიდის შესწავლას, იაზრებს მოსწავლის სწავლის პროცესზე მოქმედ სხვადასხვა ფაქტორს. მულტი ფაქტორული მიდგომა ეხმარება მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებაში და სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებაში, სწავლის უნარების დეფიციტის იდენტიფიცირებასა და გაუმჯობესების გზების მოძიებაში;

პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ შეფასებას ახორციელებს სკოლა სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით და ითვალისწინებს კლასის, მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. სასურველია სკოლამ შეფასებისას გამოიყენოს მრავალმხრივი მიდგომა, რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. იგივე შეიძლება ითქვას, ნებისმიერი პროცესის თუ მოვლენის შეფასებისას. მნიშვნელოვანია გათვალსიწინებული იყოს დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ხერხეულიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----

.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან (თვითშეფასების ფორმა) ჩანს, რომ სკოლა იყენებს შეასების მულტიფაქტორულ (თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, კვლევა, დიაგნოსტიკური შეფასება და ა.შ) ფორმებს და გეგმავს, რომ სამომავლოდ კიდევ უფრო სიღრმისეულად გაითვალისწინოს შეფასების სხვადასხვა ფაქტორები.
სასურველია სკოლამ სამომავლოდ შეფასებისას გამოიყენოს მრავალმხრივი მიდგომა, რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულიუმი;
2. შეფასების ფორმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

v შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ყურაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
---
---

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

სასკოლო სტრუქტურის ყველა დონეზე ყოველი სასწავლო წლის ბოლოს თითოეული მასწავლებელი აკეთებს თვითშეფასებას მის მიერ შედგენილი საგნობრივი კურიკულუმის შესახებ, ხდება მიღწეული და მისაღწევი შედეგების გაანალიზება. საკუთარ ანალიზებზე დაყრდნობით კათედრები გამოკვეთენ ძლიერ და სუსტ მხარეებს, და გაწერენ წლიურ სამოქმედო გეგმას, სადაც პასუხისმგებლობები და შესასრულებელი საქმიანობები დელეგირებულია თითოეულ წევრზე; კურიკულუმის განვითარების მიზნით სკოლასთან თანამშრომლობენ საგნობრივი ექსპერტები. წლის განმავლობაში, ეტაპობრივად ესწრებიან გაკვეთილებს, აწარმოებენ დაკვირვებას და დაკვირვების შედეგებს მასწავლებლებს აწვდიან უკუკავშირის სახით.

.სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კათედრის შეხვედრაზე, პედაგოგები განიხილავენ როგორ მიდის კურიკულუმზე მუშაობის პროცესი, როგორ ხდება მონაცემების შეგროვება და დამუშავება. კურიკულუმი და სამოქმედო წლიური გეგმა, რომელიც სკოლას აქვს წარმოდგენილი ასახავს სკოლის პრიორიტეტებს და მოქმედების არეალს, რომელშიც გათვალისწინებულია სკოლის გამოცდილება, მისი ძლიერი მხარეები და გამოწვევები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

სასწავლო პროცესი ქმნის მოსწავლის გამოცდილების უწყვეტობას. ვინაიდან სკოლაში კურიკულუმის დანერგვა მუდმივ ინტერაქციას გულისხმობს დაწერილ/დაგეგმილ და რეალიზებულ პროცესებს შორის, აუცილებელია მისი, როგორც უწყვეტი ციკლის გააზრება. ეს დაედება კურიკულუმის გადამუშავებულ ვერსიას საფუძვლად.

მიმდინარე ეტაპზე მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები სამომავლოდ აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. სკოლა გეგმავს, სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში ასახოს მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების მონაცემები და ა.შ. განსზღვრულია, რომ არსებული გამოცდილება გათვალისწინებულ იქნეს როგორც კლასის, ასევე საფეხურის დონეზეც. სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა გეგმავს ყოველწლირად განიხილოს სასკოლო კურიკულუმი და შეიმუშავოს სასკოლო კურიკულუმის გაუმჯობესებული ვერსია. მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ბერიშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----

შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახოს ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. ეს გამოცდილება გათვალისწინებული შეიძლება იყოს, როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის დონეზეც. სკოლამ ყოველწლიურად უნდა შეიმუშაოვოს კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია და ასახოს სავალდებულო თემების სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესება.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის თვითშეფასების ფორმა;
2. სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა.;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

v შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ყურაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი (ზოგადი განათლების საშუალო საფეხური)

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	**v შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	**v შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	**v შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	**v შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	**v შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ვ. ხუროშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

----

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება (ზოგადი განათლების საშუალო საფეხური)

2. სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საშუალო საფეხური)

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას, შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რაც კარგად აისახა ასევე პედაგოგებთან გასაუბრებისას. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს, აღნიშნეს რომ პედაგოგები, სკოლის და მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავენ და კათედრაზე კოლეგიალურად შეიმუშავებენ სასკოლო კურიკულუმებს. მათ გამოთქვეს მზაობა, რომ სამომმავლოდ კურიკულუმის შემუშავების პროცესებში აქტიურად იქნება ჩართული სასკოლო საზოგადოება. (მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი, დირექცია). რომელშიც ასახული იქნება სასკოლო საზოგადოების ინტერესები. უცხოური ენების საგნობრივ კათედრას არ აქვს წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია განზოგადებულად, თუმცა სკოლის მიერ შევსებულ თვითშეასებაში და სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენელია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.;

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანს სასკოლო საზოგადოების დაინტერესება და ამ პროცესის ერთიანი ხედვა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ყურაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----

მაგალითად საგნობრივი კათედრების შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი საჭიროებები, რომელთა გათვალისწინებით ხდება საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება კათედრების მიერ. შერჩეულ მრავალფეროვან სასწავლო თემებით გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიიდან ჩანს, რომ წელიწადში ერთხელ ან საჭიროებიდან გამომდინარე სკოლა ატარებს კვლევას (ინტერვიუ ან ფოკუს-ჯგუფი). კვლევაში მონაწილეობს მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი, დირექცია; კვლევის საშუალებით იდენტიფიცირდება სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი და აქტუალური პრობლემის. დასკვნების საფუძველზე სკოლა გეგმავს ინტერვენციებს;

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

გამოიკვეთა, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო პედაგოგიური საზოგადოების მიერ, გასაუბრებისას გამოჩნდა პედაგოგების თანამშრომლობა, რასაც ასევე ადასტურებს წარმოდგენილი დოკუმენტები. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში და ინტერვიუს მსვლელობის დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია ყველა საგნობრივი კათედრა და ერთობლივად გეგმავდნენ სკოლაზე და მოსწავლეებზე ორიენტირებულ სასკოლო გეგმებს და აქტივობებს. თუმცაღა უცხოური ენების შემთხვევაში იყო შემთხვევები როდესაც ინგლისურ და რუსულ ენას სტრუქტურულად სრულიად განსხვავებული კურიკულუმის ჩარჩოები ქონდათ წარმოდგენილი;

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სკოლაში ვიზიტის დროს ინტერვიუებისას გაირკვა ,რომ კურიკულუმს იზიარებს და მხარს უჭერს სასკოლო პედაგოგიური საზოგადოება, მაგრამ ისინ აღნიშნავენ, რომ არის რიგი პრობლემებისა, რომლებიც გამოსწორებული იქნება ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლის სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე. კურიკულუმი გაზიარების საკითხს მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს შორის ნაწილობრივ ადასტურებს სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია და მშობელთა ბარათები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

---

---

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
2. კურიკულუმის შემუშავების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობების/მასალები;
3. დაწყებითი საფეხურის (I – VI კლასები) კურიკულუმები;

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

წარმოდგენილი კურიკულუმი შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას: სკოლაში ხორციელდება კომპლექსური დავალებები, შესაბამისად, ნებისმიერ მოსწავლეს უქმნის საკუთარი შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოვლენისა და თვითრეალიზების საშუალებას.

თვითშეფასების ფორმაში ვკითხულობთ: „ამ ეტაპზე შემუშავებული გვაქვს კურიკულუმი, თუმცა არასრული სახით. ვგეგმავთ, შევიმუშავოთ ისეთი სასკოლო კურიკულუმი, რომელიც დაეფუძნება მე-3 თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ყურაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----

იქნება მდგრადი და ორიენტიერებული მოსწავლის კოგნიტურ განვითარებაზე.“(დანართი 03), კათედრასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე კათედრა გეგმავს კურიკულუმის ჩარჩოების სრულყოფას.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საშუალო საფეხურის კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რაც დასტურდება წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტებით, რაც ქმნის წარმოდეგნას, თუ რა მასალებზე დაყრდნობით, რა მეთოდების გამოყენებით აპირებენ საგნის სტანდარტის მიხედვით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე გასვლას საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების ფარგლებში. ამ ეტაპზე საშუალო საფეხურის მე -11 და მე-12 კლასის კურიკულუმის ჩარჩო შემუშავებული არაა, თუმცა კათედრასთან ინტერვიურების დროს გამოიკვეთა რომ სახელმძღვანელოს გრიფირებისთანავე მოხდება კურიკულუმის შევსება, სასწავლო წლის დაწყებამდე. ასევე გამოიკვეთა მე-10 კლასის კურიკულუმების დახვეწის მზაობა.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

.საშუალო საფეხურზე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და მუსიკის სწავლება უნდა მიმდინარეობდეს სავალდებულო პროექტული სწავლებით, მიმდინარე სასწავლო წელს მხოლოდ ხელოვნებაში ჩანს დაგეგმილი სავალდებულო პროექტები. მომავალში სასურველია პროექტი განხორციელდეს ორივე საგანში ესგ გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად და სკოლის გადაწყვეტილების მიხედვით, თუმცა კათედრასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა , რომ მომავალში განხორციელდება მუსიკის საგანშიც, სადაც გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა პირადი გამოცდილება და ცხოვრებისეული კონტექსტები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის და მასწავლებელთა ინტერვიუს საფუძველზე ინდიკარტორს შეესაბამება.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

წარმოდგენილი უცხოური ენების საშუალო საფეხურის საგნობრივი პროგრამებიდან ჩანს, რომ ისინი დაფუძნებულია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით და სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებს ასევე მოსწავლის პიროვნული განვითარებაც. უმეტეს შემთხვევებში წარმოდგენილი და აღწერილია ცნებების, ქვეცნებებისა და ქვესაკითხების ჩამონათვალი, თუმცა არის უზუსტობებიც. მაგ., ინგლისურის საშუალო საფეხურის კურიკულუმებში არ გვხვდება ცნებების ჩამონათვალი იმ თემებისთვის, რომლის ქვეშაც კომპლექსურები არ ხორციელდება, ხოლო სადაც შუალედური მიზნებია განსაზღვრული ასახულია მხოლოდ რამოდენიმე სანიზნე ცნება ან ქვეცნებების და ქვესაკითხების მცირე ნაწილი. ასევე არ არის გამოკვეთილი ძირითადი საკითხი შუალედური მიზნებისთვის და თემის ქვეთავებია ჩამოთვლილი. ხოლო, რუსულის შემთხვავაში წარმოდგენილია 10 კლასის მხოლოდ თემების ჩამონავალი, ნაცვლად 12 კლასისა (10-11 კლასები გადის გრიფირებას და სექტემბრიდან ახალი წიგნებით ისწავლება) და არ არის განსაზღვრული არც ქვეთემები , ძირითადი საკითხებიმ სამიცნე და ქვეცნებები, კონტექსტ მაგალითები და რესურსებიც. თუმცა გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ ავტორიზაციის განაცხადის შევსების ეტაპზე ვერ მოხერხდა 12 კლასისთვის ძირითადი საკიტხების და შუალედური მიზნების განსაზღვრა, რაზეც კათედრა გეგმავს მუშაობას 2023 წლის სექტემბრამდე.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ბერიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

---

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საშუალო საფეხურის 10 კლასის წარმოდგენილი კურიკულუმი შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზებზე.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

მათემატიკის კათედრის მიერ შემუშავებული საშუალო საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რაც დასტურდება კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით, რომელიც კათედრამ შეარჩია და წარმოადგინა მე-10 კლასისთვის. დასახელებულ კლასში სკოლას კურიკულუმში ჩაშნებული აქვს ხუთი კომპლექსური დავალება, თუმცა სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ იყო მე-11 კლასის კურიკულუმი. ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლის მათემატიკის კათედრა გრიფირების დამტკიცების შემდეგ იმუშავებს მე-11 კლასის კურიკულუმზე, რაც სექტემბრამდე მოსწრებადია.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ბუნებისმეტყველების კათედრის მიერ საშუალო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რაც დასტურდება კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით, რომელიც ნათლად ჩანს ბიოლოგიის კურიკულუმში, ქიმიის კურიკულუმში არ არის კომპლექსური დავალება და ფიზიკაში მარტო ერთი თემის, ერთი თავის საკითხთა კლასტერია. მასწავლებლებთან პირისპირ შეხვედრისას ამ უზუსტობებზე მივიღე ამომწურავი პასუხები, დროის სიმცირის გამო აჩვენეს ასეთი სახით, თუმცა სექტემბრისთვის გეგმავენ გაწერონ კომპლექსურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

წარმოდგენილია მე-10 - მე-12 კლასების კურიკულუმის ჩარჩოები, რომლებშიც სტანდარტით განსაზღვრული თემატური ბლოკები და სარეკომენდაციო თემების ფარგლებში გაწერილია ტექსტები. ჩარჩოებში წარმოდგენილია შევსებული 3 სავალდებულო სვეტი: თემა, ტექსტები/კონტექსტმაგალითები და რესურსები. კურიკულუმებში არაა გაწერილი სამიზნე ცნებები, არც კომპლექსური დავალებები, კათედრასთან შეხვედრისას მასწავლებლებმა თავად აღნიშნეს ეს ხარვეზი, თქვეს, რომ ნაჩქარევად მომზადდა ჩარჩოები და რომ სასწავლო წლის დაწყებამდე ისინი აუცილებლად გეგმავენ არა მხოლოდ კურიკულუმის ჩარჩოების სრულყოფას, არამედ კომპლექსური დავალების პირობების ჩამოყალიბებასაც. თვითშეფასების კითხვარში სკოლა წერს: „სკოლის მიდგომა, თითოეულ საფეხურზე, მიმართულია, იმისკენ, რომ მოსწავლე ჩამოყალიბდეს პიროვნებად, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობა, კოგნიტური და სოციო-ემოციური სფეროს კეთილდღეობა, აკადემიური მიღწევა , იდენტობა. ამ თვალსაზრისით სკოლაში არსებობს გამოცდილება - არაფორმალური განათლების ჭირილში, სამივე საფეხურზე, განხორციელდა სასკოლო პროექტები ,,ყველა ადამიანშია მზე“ და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ხელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

---

„ჩვენ ვირჩევთ ჯანსაღი ცხოვრების წესს.“..(დანართი 03.) (ასევე - დამატებით გამოთხოვილ დოკუმენტაციაში: მატრიცის გასაუმჯობესებელი ინსტრუმენტები; „მოსწავლეთა პროგრესის ამსახველი მასალა ფუნქციურ - კომპონენტური უნარის მიხედვით“).

კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); კურიკულუმში ასახულ კომპლექსურ დავალებებში, შეთავაზებულ აქტივობებში ჩანს, რომ კურიკულუმი ემსახურება ფუნქციური უნარების განვითარებას, გრძელვადიანი სასწავლო მიზნების განხორციელებას. სკოლას აქვს საზოგადოებრივ მეცნიერებების კათედრაზე გრძელვადიან მიზნებზე ორიენტორების გამოცდილება, 2023 - 2024 სასწავლო წლისთვის შემუშავებულ კურიკულუმებში ხდება გრძელვადიან მიზნებზე ოროიენტირება, მაგალითად საშუალო საფეხურზე ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნების დაფარვა.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახული შუალედური სასწავლო მიზნები და გრძელვადიანი მიზნები იძლევა შესაძლებლობას, რომ პროცესი იყოს ორიენტირებული პოზიტიურ სასწავლო გარემოზე. კერძოდ, ინგლისური ენის მე- 10 კლასის მე-4 თავში წარმოდგენილ ძირითად საკითხებზე მუშაობა მოსწავლეებისგან მოითხოვს ისეთი ტიპის შეკითხვებზე დაფიქრებას და ისეთი კოგნიტური ოპერაციების შესრულებას, რომლებიც მიემართება ყველა ფუნქციურ-კომპონენტური უნარის გააქტიურებას. აღნიშნულზე დაყრდნობით და მასწავლებლებთან ინტერვიუს ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები გრძელვადიან მიზნებად და აქვთ მზაობა, რომ გლობალური ფუნქციური უნარები განიხილონ უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად (და არა სასწავლო მიზნებად).

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

საგნის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის წარმოგდენილი კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებისაკენ (ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, ცხოვრების ჯანსაღი წესი) (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), სამიზნე ცნებები და შედეგები).

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მე-10 კლასის მათემატიკის კურიკულუმის ჩარჩოში, სადაც ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები, გაწერილია სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები. შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები. ყველა თემაში განსაზღვრულია სამივე სამიზნე ცნების დამუშავება, რაც ერთობლივად ხელს შეუწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას. ხოლო დანარჩენი ორი კლასისთვის სკოლა იმუშავებს სექტემბრამდე, რაც გამოიკვეთა ინტერვიურების პროცესში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ხუროშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

----

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში, სადაც ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები, გაწერილია სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები. შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები. განსაზღვრულია სამიზნე ცნების დამუშავება, რაც ერთობლივად ხელს შეუწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სკოლა განიხილავს მოსწავლეს, როგორც სწავლა - სწავლების აქტიურ სუბიექტს და მიიჩნევს, რომ განათლების უმთავრესი მიზანი მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარების ხელშეწყობაა, ამისათვის მათ შემუშავებული აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (დანართები-1; 27; 28,29, 30,31) მასწავლებლებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა განსხვავებული თავისებურებები, სწავლის სტილი, იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, აქტივობები შერჩეულია დაბალი, მაღალი და საშუალო მზაობის მოსწავლეებისათვის, სკოლაში უზრუნველყოფილია სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა, შექმნილია რესურს - ოთახი დამატებითი აქტივობებისათვის.

სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები. მოსწავლეებისათვის წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით შემუშავებულია მათ შესაძლებლობებზე და ინტერესებზე მორგებული და ადაპტირებული კომპლექსური დავალებები. სასკოლო სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავება, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა - სწავლების პროცესში.ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება მოახდინონ კომპლექსური დავალების ადაპტირება, მორგებული სსსმ მოსწავლისათვის.

მუსიკისა და ხელოვნების საგანში, მიუხედავად იმისა რომ საშუალო საფეხურზე არ ჩანს, მტკიცებულებები: მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლის თვითრეფლექსიის რაიმე სახის დოკუმენტი, დაწყებით და საბაზო საფეხურზე კათედრის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტები და სხვადასხვა საფეხურზე რამდენიმე საგანში წარმოდგენილი სსსმ მოსწავლეებთან სამუშაო დებულება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ჩანს რომ მასწავლებლებს აქვთ გააზრებული დიფერენცირების და იკლუზიური სწავლების მნიშვნელობა, იციან მიდგომები და სტრატეგიები. მტკიცებულებებით თუ ვიმსჯელებთ აღნიშნულ სკოლაში საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, სკოლაში ჩამოყალიბებულია პოზიტიური სასწავლო გარემო, რომელშიც ყველა მოსწავლეა ჩართული და სასწავლო პროცესი ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლლობებს, სკოლის სასწავლო გეგმაში აღნიშნულია, რომ: „სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლის ინდივიდულუალურ ფიზიკურ და ფსიკქიკურ მახასიათებლებს,შესაძლებლობებსა და ინტერესებს. აქტიურად იყენებენ დიფერენცირებული სწავლების სტრადეგიებს. მასწავლებლები დროულად გამოკვეთენ საჭიროებებსა და არჩევენ შესაბამის სტრატეგიას სასწავლო შედეგის გასაუმჯობესებლად.“ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში ვკითხულობთ, რომ პარალელური კლასებისთვის, პედაგოგები თანხმდებიან თემებისა და ძირითადი საკითხების სინქრონულ განაწილებაზე;- უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომლთა შესრულებასაც მოსწავლეს მთლიან პიროვნული ინტეგრირებული გამოცდილება და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ხურციძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----

მაღალი სააზროვნო უნარები სჭირდება; სასწავლო პროცესში მოხდება კომპლექსური დავალებების ადაპტირება მოსწავლეთა საჭიროებებისა აქვე უნდა აღინიშნოს რომ სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩანს სსსმ მოსწავლისთვის განსაზღვრული რესურსი.

წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე არის დაგეგმილი. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, რადგან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებზე და ინდგეგმებზე მუშაობის გამოცდილება. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საერთო ჯამში, მასწავლებლებს აქვთ სწავლების დიფერენცირებული მიდგომის პრაქტიკა და სასწავლო პროცესის ინკლუზიური ხედვა. მათ აქვთ მზაობა რომ სასწავლო პროცესი დაგეგმონ და წარმართონ მოქნილ გარემოში, კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე.

სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკური აღზრდისა და სპორტში სასწავლო პროცესის დიფერენციალურ და ინკლუზიური მიდგომებს, სკოლაში იგეგმება სსსმ მოსწავლეებისათვის ფიზიკური აღზრდისა და სპორტში ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავება და მოსწავლეების საჭიროებისადმი მორგება, რომელიც ჩაშენებული იქნება კომპლექსურ დავალებებში, სსიპ -ქალაქ თბილისის N 16 საჯარო სკოლის საჭიროებების შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სკოლა მომავალში მეტად უზრუნველყოფს მოსწავლეების მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცესში.

სკოლის მიერ წარმოდგენილი მათემატიკის და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის მიხედვით სკოლა გეგმავს ადმინისტრაცი ული წერების ჩატარებას მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით და შედეგებიდან გამომდინარე კურიკულუმის მოდიფიცირებას. იმავე სასკოლო სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავება და მოსწავლის პირველადი მართვა, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

საშუალო საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას იყენებენ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებს, აქვთ კათედრაზე შეთანხმებული შეფასების რუბრიკები ორივე ტიპის შეფასებისათვის, იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას. განმავითარებელი შეფასება ძირითადად სიტყვიერია და ყოველი გაკვეთილის თანმხლებია. კათედრას არ წარმოუდგენია სამიზნე ცნების ინდიკატორებზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკები, მაგრამ ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ გეგმავენ როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკებზე მუშაობას. რუბრიკები დაეფუძნება, ერთი მხრივ, სტანდარტის ინდიკატორებს, მეორე მხრივ-მკვიდრ წარმოდგენებს.

სკოლა გეგმავს „ჰოლისტური შეფასების მექანიზმების განსაზღვრას, სოლო ტაქსონომიის შემუშავებასა და დანერგვას სასწავლო პროცესში. (თვითშეფასების კითხვარი- დანართი 03.).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ყურაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

---

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივ კათედრაზე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. მოსწავლეებისათვის უკუკავშირის დაბრუნება ხდება შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით, კათედრაზე შექმნილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით თემის ფარგლებში შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შესაბამისია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებთან, მოსწავლის მიღწევებსა და საფეხურის შედეგების ინდიკატორებს შორის.

.საშუალო საფეხურზე მუსიკასა და ხელოვნებაში სავალდებულო პროექტული სწავლებაა, აქედან გამომდინარე მოსწავლეთა მიღწევები იზომება განმავითარებელი შეფასებით. სკოლის დოკუმენტაციაში მტკიცებულების სახით სავალდებულო პროექტების სწავლების კურიკულუმის ჩარჩო დამატებითი დოკუმეტებში წარმოადგინა ინტერვიუს დროს, ასევე ორივე საგნის მონაწილეობა სკოლის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა პროექტებში იკვეთება, კათედრასთან ინტერვიუს დროს სკოლამ გამოთქვა მზაობა და პედაგოგებმა აღნისნეს ზაფხულის ფარგლებში სასკოლო გეგმის დამტკიცებამდე ამ მიმართულებით შექმნიან კიდევ შესაბამის დოკუმენტს, მსჯელობის საფუზველზე შესაძლებელია დავასკვანთ , რომ კათედრას პროექტების დაგეგმვის პროცესში აქვს გათვალისწინებული წინარე გამოცდილების ანალიზი და ინდიკატორს მიმართებით შეესაბამება.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

უცხო ენების წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში არ გვხვდება საშუალო საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ზოგადი ან კერძო ნიმუშები, თუმცაღა კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს ნათელი გახდა, რომ კათედრაში შემავალ საგნის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება როგორც ერთი მთლიანი პროცესი და აქვთ მზაობა, რომ საშუალო საფეხურზე შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული რუბრიკებზე დაფუძნებით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

განმსაზღვრელი შეფასებები რუბრიკები ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საშუალო საფეხურის კურიკულუმში გაწერილი უნდა იყოს თემებთან და დაგეგმილი კომპლექსური დავალებებთან დაკავშირებით, შეფასების ინსტრუმენტები, რომელიც წარმოადგინა სკოლამ არის ზოგადი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

მათემატიკაში სკოლამ წარმოადგინა ორი სახის შეფასების რუბრიკების ჩარჩოები (რამდენიმე ნიმუში) ერთი, რომლებიც მიემართება სამიზნე ცნებებზე-გრძელვადიან მიზნებზე, და მეორე, რომელიც აფასებს მოსწავლის ცოდნას სტანდარტის შედეგებთან მიმართებით. თუმცა, შეფასების რამდენიმე ნიმუში ძველია, ინტერვიურების პროცესში გამოიკვეთა, რომ უდროობის გამო ვერ მოასწრეს ახალი ნიმუშების შექმნა და არსებული ნიმუშები ატვირთეს. ინტერვიურების პროცესში გამოიკვეთა, რომ კათედრის მიერ იგეგმება, შეფასების ახალი ნიმუშები წარმოადგინონ სექტემბრამდე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ყურაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

---

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივმაკათედრამ წარმოადგინა 2023-2024 სასწ. წლისთვის კურიკულუმების პირველადი ვერსიები.“წარმოდგენილია კათედრაზე შეთანხმებული შეფასების რუბრიკები, შეფასებებზე დაფუძნებით მასწავლებლებს შეაქვთ ცვლილებები კურიკულუმებსა და თემატურ მატრიცებში. კათედრის სხდომებზე უაზიარებენ ერთმანეთს მოსაზრებებს მოსწავლეთა მიღწევების შესახებ და ამ ანალიზის საფუძველზე გეგმავენ მომდევნო სამუშაოებს. შეხვედრისას გაირკვა, „სამომავლოდ გათვალისწინებულია, კათედრების წევრებს შორის განხილული საკითხები, რიგგარეშე სხდომები, დოკუმენტურად ავსახოთ, დავწეროთ რეფლექსიები და პერმანენტული ხასითი შევძინოთ“-დანართი 03.

დაგეგმვის პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს. წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც შექმნილია მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით.

წარმოდგენილი მასწავლებლის პორთფოლიოებიდან ჩანს მათი გამოცდილება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით, წარმოდგენილია მოსწავლეთა შეფასების ამსახველი დოკუმენტები,წინა წლის თემატური გეგმა, რომელიც ითვალისწინებს სასწავლო პროცესის წინარე ცოდნაზე დაყრდნობით დაგეგმვას. როგორც ინტერვიუდან გამოჩნდა, მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით. ინტერვიუდან და სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი ინფორმაციიდან შიძლება ითქვას,რომ მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების და წლის განმავლობაში მიღწეული შედეგების ანალიზის საფუძველზე კათედრა ერთობლივად მუშაობს მომავალი წლის კურიკულუმზე, რომელიც ეფუძნება წინარე ცოდნას და ორიენტირებულია შედეგების გაუმჯობესებაზე.

სკოლა ჩართულია ზოგადი განათლების რეფორმაში და ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრაზე ძირითადად ზეპირსიტყვიერად ხდება მოსწავლეთა ნამუშევრების შეფასება, ანალიზი და კოლეგების უკუკავშირი. დაგეგმილი შუალედური მიზნები კი სწორედ წინარე წარმატებულ გამოცდილებაზე და გამოწვევებზე დაყრდნობითაა შემუშავებული. საბოლოოდ, იკვეთება, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ საგნობრივი კურიკულუმებისა და ინდგეგმების გარდა, შეიმუშაონ მოსწავლეთა თვითშეფასებისა და მასწავლებელთა თვითრეფლექსიის ინსტრუმენტები და სასკოლო კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებით კათედრაზე მიიღონ გადაწყვეტილებები მტკიცებულებებზე დაყრდნობით.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად, დასტურდება, რომ პედაგოგები აანალიზებენ საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას. უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და მიღებულ რჩევებს ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ხერხეულიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

---

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით ჩანს, რომ სკოლა ახორციელებს გაკვეთილების თვითშეფასებას, რაც მტკიცდება სკოლის მიერ წარმოდგენილი მასწავლებლის თვითშეფასების ნიმუშით მათემატიკაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. 2.1.2.1- დანართი 03; 16 (მოთხოვნილიდან); დანართი-0.6 2023-2024
2. 2.1.2.2- დანართი 03; დანართი-0.6 2023-2024; დანართები 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 20
3. 2.1.2.3- დანართი 03; დანართი-0.6 2023-2024; დანართები-1; 25, 26, 27; 28,29, 30,31, 32)
4. 2.1.2.4-დანართი 03; დანართი-0.6 2023-2024; დანართები: 55, დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია
5. 2.1.2.4-დანართი 03; დანართი-0.6 2023-2024; დანართი 49
6. .სასკოლო სასწავლო გემა,
7. იტერვიუები მასწავლებლებთან;
8. სტატუსუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
9. კურიკულუმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- [v] **შეესაბამება**
- [ ] მეტწილად შეესაბამება
- [ ] ნაწილობრივ შეესაბამება
- [ ] არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ხელაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე ამ საფეხურზეც გათვალისწინებულია კომპლექსური დავალებები, რაც თავის თავში გულისხმობს მოსწავლეთა მონაწილეობას სხვადასხვა აქტივობაში, ასევე, შექმნილია „მკითხველთა კლუბი“ სამივე საფეხურის მოსწავლეთათვის, განხორციელებული აქვთ მრავალფეროვანი აქტივობები (იხ. დანართი 49, დანართი 63, 65...), ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა, რომ კათედრა კვლავაც აპირებს სხვადასხვა ინტერესის მოსწავლეებზე მორგებული ღონისძიებების დაგეგმვასა და გამართვას.

სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

სკოლის პედაგოგებისთვის თითოეული მოსწავლე განიხილება დამოუკიდებელ ინდივიდად, მოსწავლეებისათვის ხელშეწყობა ხდება იმ მიზნით, რომ ისინი ჩართული იქნან სასწავლო პროცესში, მაღალია მოსწავლეთა არჩევანის თავისუფლების ხარისხი. ბავშვებს აქვთ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება. კათედრას საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული აქვს კომპლექსური დავალებები იდეების დონეზე, გასაუბრებისას კათედრის წევრები აფიქსირებენ კომპლექსური დავალებებით სწავლა -სწავლებას და დავალბების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით. კომპლექსური დავალება მოსწავლეს აძლევს აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვის შესაძლბლობას. შესაბამისად, მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმები მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას შეუწყობს ხელს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ყურაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

----

სკოლამ წარმოადგინა ხელოვნების საგანში სავალდებულო პროექტებით სწავლების სამუშაო გეგმა და კურიკულუმის. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, რაც შესაბამისად საშუალო საფეხურზე მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას ინდიკატორს შეესაბამება კარგად სჩანს მასწავლებლის პორტფოლიოში წარმოდგენილი მასალით - კონსტრუქტივისტული მიდგომებით, რესურსებით, პროექტებით და სტრატეგიებით. სკოლის სასკოლო გეგმაში აღნიშნულია რომ მოსწავლეებს ეძლევათ პრობლემაზე დაფუძნებული დავალებები.ინტერვიუზე აღნიშნეს,რომ მუსიკისა და ხელოვნების ყველა მასწავლებელს აქვთ გამოცდილება წლის განმავლობაში რამდენიმე პროექტის განხორციელებისა, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას , ასევე მოსწავლეებში შინაგანი მოტივაციის ზრდას, უყალიბდებათ პოზიტიური დამოკიდებულებები და იზრდება მათი აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

უცხო ენების საგნობრივი კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების გაცნობისას შეიძლება დავასკვნათ, რომ დაგეგმილი კურიკულუმის რალიზება მიმართულია ისეთ საკლასო გარემოზე და საგაკვეთილო პროცესზე, როდესაც საკვანძოდ მნიშვნელოვანია ისეთი აქტივობების განხორციელება, სადაც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიექტი და აქტიურადაა ჩართული სასწავლო პროცესში. საშუალო საფეხურის კურიკულუმში მოცემული სხვადასხვა შუალედური მიზნები, საშუალებას მისცემს მოსწავლეს, რომ განიხილოს ახალი ინფორმაცია, გადაამუშაოს და განიხილოს იგი ახალ კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცეს და ახსნას იდეები თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ ზეპირი სახით. მაგ., ინგლისური ენა - მოკლე რეკლამა არჩეულ ნივთზე ამას გარდა, სხვადასხვა საგნების კურიკულუმებში მაგალითები შედარებისთვის შერჩეული რესურსები ვალიდურია, რაც დაეხმარება მოსწავლეებს შესადარებელი მაგალითების განხილვაში და ცნების/ქვეცნების გააზრებაში. მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ის, რომ ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების პორცესში მათი როლი არის ორგანიზებული მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებული იქნება მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კათედრის წევრებს აქვთ მზაობა, რომ მათ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას ხელი შეუწყონ აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

საშუალო საფეხურის 10 კლასის კურიკულუმში გაწერილი როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული შინაარსის თემები საბაზო საფეხურზე მოწყობილი სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, ფესტივალები სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე და ინფორმირებულია მშობლები იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანს, თითოეულ ბავშს აქვს შემოქმედებით პოცესში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობა.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

მათემატიკის კათედრა ორიენტირებულია, სწავლა-სწავლების პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით. ამ მეთოდით სწავლება კი თავისთავად უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ხელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

----

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

ქართულის კურიკულუმების მიხედვით, გრძელვადიან მიზნებზე მუშაობა მიმდინარეობს ნაცნობ თემატურ კონტექსტებში, როგორებიცაა: ადამიანი და მისი ცხოვრება, ჩვენი ურთიერთობები, კავშირი ბუნებასთან და მისთ. (იხ. კურიკულუმის ჩარჩოები), კომპლექსური დავალებების განხორციელება კი თავის თავში გულისხმობს წინარე ცოდნის გააქტიურებას და მასზე ახლის დაშენებას, რაც გამოიკვეთა კათედრასთან შეხვედრის დროსაც. საგნობრივ კურიკულუმში კათდრას განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალება, როგორც შუალედრი სასწავლო მიზანი, კათედრა მიზნად ისახავს კომპლექსური დავალებებით სწავლა -სწავლებას და დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში გათვალისწინებულია წინარე ცოდნის გააქტიურება ასევე კონტექსტ მაგალითები, რომლებიც იშვიათად/ფრაგმენტულად მაგრამ მაინც არის წარმოდგენილი საშუალო საფეხურის კურიკულუმში, გვაძლევს საშუალებას რომ ვთქვათ სწავლა სწავლება დაეფუძნება ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

სკოლამ წარმოადგინა ხელოვნების საგანში სავალდებულო პროექტებით სწავლების სამუშაო გეგმა და კურიკულუმის ჩარჩო, კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლების მსჯელობიდან გაირკვა რომ მოსწავლეები სავალდებულო პროექტის ფარგლებში ჩართულნი იყვნენ სხვადასხვა აქტივობებში, დავალებაზე მუშაობისას უწევდათ მათთვის ნაცნობი პრობლემის გადაჭრა , არსებული ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება, იდეების გენერირება და შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა.ისაუბრეს როგორ უზრუნველყოფს კათედრა საშუალო საფეხურზე წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის კონსტრუირებას, რას ითვალისწინებენ ამისათვის და რა ნაბიჯებს დგამენ. ისინი იცნობენ მესამე თაობის ესგ და საგნობრივ სტანდარტს, იციან როგორ გავიდნენ შედეგზე, გამოთქვამენ მზაობას განვითარების, ინდიკატორს შეესაბამება.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

საშუალო საფეხურის პირველი უცხოური ენების კურიკულუმებში(მეორე ენის კურიკულუმებში ნაკლებად ჩანს)პროცესი მიმართულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე და შერჩეულია სათანადო თემები, კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები და რესურსები. თუმცა, ინგლისური ენის მე-10 და მე-12 კლასის კურიკულუმში ცნებები არ არის სრულად წარმოდგენილი და ძირითადად ჩაშლილია მხოლოდ ქვეცნებები. მიუხედავად აღნიშნულისა, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ სასწავლო პროცესის წარმართვისთვის შეარჩიონ სათანადო სათანადო თემები, კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები და რესურსები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება მოსწავლეებისთვის გამომდინარე მათი წინარე ცოდნა-გამოცდილებიდან. ეს კი დაეხმარება მათ ცოდნის კონსრტუირებაში და ცნების/ქვეცნების გააზრებაში.

ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ბერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

----

ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირება ორგანიზებულია ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის მიერ და ეფუძნება წინარე ცოდნაზე დაშენებას. მოსწავლეები ასე უკეთ ეუფლებიან ახალი მასალის შენება-გააზრებას. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე მუშაობისას მოსწავლეს წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით გაუადვილდება სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიან მიზნებზე გასვლა.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

მათემატიკის კათედრა ირჩევს სასწავლო პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით, კომპლექსური დავალებებით მუშაობა კი უზრუნველყოფს ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. შესაბამისად,

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა მოიაზრებს სწავლის სწავლაზე აქცენტირებას. წარმოდგენილი თემატური მატრიცები, ნაშრომის პრეზენტაციისას დასასმელი შეკითხვები - რა ხერხები/სტრატეგიები გამოიყენეთ; რა ნაბიჯები გადადგით... დავალებაში მოცემული საკვანძო შეკითხვები-როგორ დავწერო... როგორ მოვიპოვო ინფორმაცია... როგორ გადმოვცე... და ა.შ. სწავლის-სწავლის სტრატეგიებიას გამოყენებაზე მიუთითებს.

სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციებში (სასწავლო გეგმა, სტრატეგიული გეგმა, სასწავლო გეგმებიმ სამუშაო გეგმები, სკოლის შინაგანწესი, სასკოლო საგნობრივ კურიკულუმებში) უმრავლეს შემთხვევაში სკოლა წარმოაგენს ხედვას მიმდინარე სასწავლო წელს როგორ ახდენდა და სამომავლოდ თუ როგორ შეძლება გაკეთდეს აქცენტი სწავლის სწავლაზე. თუცმა წარმოდგენილ მტკიცებულებებში (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება-მუსიკა საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები) არ ჩანს ამ ხედვის დამადასტურებელი აქტივოვებები (თუნდაც მიმდინარე სასწავლო წლის მაგალითზე) მაგ. თუ როგორაა წახალისებული სასწავლო პროცესში მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა. სკოლას განხორციელებული პროექტის ნიმუშები აქვს მტკიცებულებად სხვადასხვა საგნებში მასწავლებელთა ინტერვიუსას გამოიკვეთა ის ფაქტები როგორ ხდება მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარება და ამაში პროექტები და არაფორმალური განათლება როგორ უწყობს ხელს. ,ტკიცებულებების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

უცხო ენების წარმოდგენილ საგნობრივ პროგრამებში მკაფიოდ არ იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, თუმცაღა ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა მასწავლებლების მზაობა, რომ მათ შეუძლიათ მეტაკოგნიტური სტრატეგიების ინტეგრირება სასწავლო პროცესში. მაგალითად, დაგეგმილი აქვთ არა მხოლოდ კომპლექსური დავალების საკვანძო შეკითხვების გამოყენება ან წერის/ლაპარაკის თვითშეფასების რუბრიკების წარმოება, არამედ სწავლის წინმსწრებ და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ხელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

----

სწავლის შემდგომ მეტაკოგნიტური სტრატეგიებზე მუშაობაც. საერთო შეფასებით, კათედრის წევრ მასწავლებლებს შეუძლიათ შესთავაზონ მოსწავლეებს ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებიც იძლევა მათი ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების საშუალებას და სწავლაში ხელისშემწყობი/ხელისშემშლელი ფაქტორების გამოკვეთას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, მათ მიერ პრობლემის იდენთიფიცირებისა და გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიება. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივ კათედრაზე კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესი, კომპლექსური დავალების არსიდან გამომდინარე,უზრუნველყოფს სწავლის სწავლას. კათედრის მიერ შერჩეული ბიოლოგიაში არჩეული დავალებები ამაზე მიუთითებს. მასწავლებლებთან პირისპირ შეხვედრისას ქიმიაში და ფიზიკაში აქვთ განხორციელებული კომპლექსურები, რომლებიც უზრუნველყოფს სწავლის სწავლებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

ქართულ ენას და ლიტერატურაში კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა თავის თავში გულისხმობს ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებულობას. ასევე, ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება საგნობრივ პროგრამებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებში,მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში,როგორ უნდა გამოიყენონ მიღებული ცოდნა შემდგომ ცხოვრებისეულ სიტუაციებში. (კურიკულუმები, დანართი 82, 65, 101...)

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

საზოგადოებრივ მეცნიერებებში სასწავლო პროცესი იქნება ორიენტირებული ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული); საზოგადოებრივი მეცნიერებების საშუალო საფეხურის კურიკულუმში კომპლექსური დავალება განსაზღვრულია შუალედურ სასწავლო მიზნად ,მომდევნო წლისთვის მასწავლებლები გეგმავენ კომპლექსური დავალებით სწავლა -სწავლებას და დავალების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებით მუშაობის პროცესში მნიშვნელოვანია ცოდნის სამივე კატეგორიის გათვალისწინება, შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ ,რომ კომპლექსური დავალების დანერგვის პროცესში ხელი შეეწყობა ცოდნის სამივე კატეგორიის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
---

გააქტიურებას . ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა სამომავლოდ შეარჩევს მოსწავლეების განვითარებაზე ორიენტირებულ კომპლექსურ დავალებებს და სწავლა-სწავლების პროცესს წარმართავს ამ მეთოდიკით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ესთეტიკური საგნობრივი ჯგუფის პედაგოგებთან ინტერვიუდან და პორთფოლიოებში წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული);რაც კარგად არის ასახული საგნობრივ პროგრამებში, კომპლექსურ დავალებებსა და არაფორმალურ აქტივობებში. ორიენტირება ცოდნის სამივე კატეგორიაზე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში საკითხის გააზრებას, არსობრივ წვდომასა და სხვადასხვა კონტექსტში ცოდნის ადეკვატურ გამოყენებას . განიხილავენ პროექტებსა და პრობლემებზე დაფუძნებულ აქტივობებს შეიმუშავებენ სადაც მოსწავლეს მოუწევს რესურსების მოძიება, პრობლემების ანალიზი, გამოსავლის მოძებნა და ა. შ, რასაც საშუალო საფეხურზე სავალდებულო პროექტებით სწავლება ითვალისწინებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

სკოლის მიერ წამოდგენილი საშუალო საფეხურის უცხო ენების კურიკულუმებში განხილული/ დაგეგმილი კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითებს ასახავს. კონკრეტულ დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეს უწევს როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა. მაგალითად, ასეთებია მე-10 კლასის დავალება ინგლისურ ენაში „მოკლე რეკლამა არჩეულ ნივთზე (ინდივიდუალურად ან წყვილში) გამოკვეთე ნივთის ძირითადი მახასიათებლები , ყურადღება გაამახვილე ფასზე, ხარისხზე , ხელმისაწვდომობა , ნივთის გამოყენების აუცილებლობაზე. ასევე გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ საშუალო საფეხურის ყველა კლასში და ყველა საგანში, მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი ტიპის კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, რომელზე მუშაობაც მოითხოვს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას და საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას, სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

საშუალო საფეხურის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სკოლის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს ცოდნის სამივე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) კატეგორიის წარმოდგენას.

კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენებას ფიზიკურ აქტივობებში და მათ გადატანას ახალი აქტივობების შესწავლის პროცესში. მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეები ცოდნის ორიენტირებას მარტივიდან რთულისაკენ.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში და მათემატიკაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ბერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

---

უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას ვინაიდან კომპლექსური დავალების შედეგი არის პროდუქტი, რომლის დამზადებასაც სჭირდება დეკლარატიული ცოდნა, პროცედურების განხორციელება და ნასწავლის ტრანსფერი ახალ გარემოში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამებ**

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ქართულ ენასა და ლიტერატურაში საგნობრივი კურიკულუმის თემატური დაგეგმვა,საკვანძო ასპექტები,კომპლექსური დავალებები გვიჩვენებს საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის რეალიზების გზას და ,თავისთავად, მასწავლებელს ეხმარება ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერდაკავშირებაში. (კურიკულუმები,დანართი 65...)

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. საზოგადოებრივი მეცნიერებების საშუალო საფეხურის კურიკულუმში განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეები იგეგმება დავალებების პირობის სრულყოფა ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ,რომ კომპლექსური დავალების დანერგვის პროცესში ხელი შეეწყობა ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირების პროცესს ინტერვიუდან და პორთფოლიოებში წარმოდგენილი დოკუმენტების (განხორციელებული პროექტები) ნათლად ჩანს რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. პროექტები ისეა აგებული, რომ მოსწავლემ გააერთიანოს ყველა ის უნარი და ცოდნა, რაც მას გამოადგება პრობლემის გადაჭრისას, გამოწვევებთან გამკლავებისას და პროდუქტის შექმნისას. ყოველივე ეს ხელს უწყობს ცოდნის ინსტრუმენტად გარდაქმნას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

უცხო ენების საგნობრივი კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ასახავს კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებს, სადაც განსახილველი თემის შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის. ამდენად, აღნიშნული უზრუნველყოფს იმ გარემოებას, რომ მოსწავლე იწყებს ფიქრს პრობლემაზე, გამოწვევაზე და თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია; ნაცვლად ახალი მასალის დასწავლისა მოსწავლე ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. კურუკულუმში გაწერილი თემები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ფიზიკური აღზრდის კომპონენტები ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

---

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

პირობისეული ცოდნა, რომელიც კომპლექსური დავალებების განხორციელების აუცილებელი პირობაა, ხელს უწყობს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას.საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის და მათემატიკის მასწავლებლებთან შეხვედრისას გამოიკვეთა , რომ ახორციელებენ და გეგმავენ ინტეგრირებულ დავალებებს, რომლებიც ხელს უწყობს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამებ**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულიუმები და კურიკულიუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები;
2. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
3. მასწალებლების პორთფოლიოები;
4. სასწავლო პროექტები;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ყურაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
---
---

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმის ჩარჩოები საჭიროებს სრულყოფასა და დახვეწას, გასაწერია სამიზნე ცნებები, თუმცა, კათედრასთან შეხვედრისას გამოიკვეთა, რომ კომპლექსურ თუ მიმდინარე დავალებებში სამიზნე ცნებები დამუშავდება საგნობრივ საკითხებზე, კონკრეტულ თემაზე დაყრდნობით. შესაბამისად, უზრუნველყოფილი იქნება სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისება კომპლექსურებში წარმოდგენილი აქტივობების კლასში განხორციელების შედეგად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; საზოგადოებრივი მეცნიერებების საშუალო საფეხურის კურიკულუმში კათედრას გათვალისწინებული აქვს გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები, იქ სადაც კომპლექსური დავალების იდეას განსაზღვრავს, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით კათედრას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად.შესაბამისად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ესთეტიკური საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლების პორტფოლიოებში ,კურიკულუმის ჩარჩოებში და ინტერვიურებიდან გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. განსაკუთრებით საშუალო საფეხურის მე 10კლასისი ხელოვნების კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია თუ რა მიზანს ემსახურება და რა შედეგზეა ორიენტირებული მითითებული საგნის საკითხების შესწავლა. სავალდებულოპროექტის თემეები და სამიზნე ცნებები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

უცხო ენებში საშუალო საფეხურის კურიკულუმებში გამოკვეთილია , რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე (სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე). ზოგიერთ შემთხვევაში ქვეცნებების ჩამონათვალი სრულყოფილიარ არის, მაგრამ ეს არ უშლის ხელს იმის აღქმას, რომ სასწავლო პროცესი ნამდვილად მიემართება გრძელვადიან მიზნებს. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ გააზრებული რომ განმავითარებელი რუბრიკა ეფუძნება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს და აკონკრეტებს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსს ქვესაკითხებთან მიმართებით. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას აქცენტირებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ბერიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

----

სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სასწავლო პროცესი ისე არის დაგეგმილი, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს, პირობას და შემდეგ წინარე ცოდნაზე დაშენებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

სასწავლო პროცესი, კურიკულუმის შესაბამისად, უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას მათემატიკის და საბუნებისმეტყველო მეცნერებების საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხები მიმართულია სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებისკენ.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

სასწავლო პროცესის გარდა, კათედრა/სკოლა ზრუნავს მოსწავლის სოციალურ-კულტურულ განვითარებაზე, ამაზე მიგვანიშნებს მათ მიერ განხორციელებული არაფორმალური აქტივობები, პროექტები ,,ყველა ადამიანშია მზე“ და ,,ჩვენ ვირჩევთ ჯანსაღი ცხოვრების წესს.“ (დანართი 82, 15, 48,51, 63).

საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში მხოლოდ ძირითადი თემებია განსაზღვრული, კათედრას საშუალო საფეხურზე დამატებითი საგნობრივი კონტექსტები შერჩეული აქვს კონკრეტული კომპლექსური დავალების განხორციელებისათვის, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის მიხედვით დაგეგმილი სასწავლო პროცესი, კომპლექსური დავალებების პრეზენტაციის ნაწილი, მოემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

პორთფოლიოებში წარმოდგენილი (დავალებები,სხვადასხვა აქტივობები) ეხმარება მოსწავლის პიროვნული სოციო-ფსიქოლოგიურ განვითარებას. ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნულია,რომ სკოლა ახორციელებს სოციალურ პროექტებს სხვადასხვა კათედრების მიერ,მათ შორის მუსიკასა და ხელოვნებაში,რაც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ ზრდას, განვითარებას, ემოციების მართვას. მოსწავლეებს უყალიბდებათ ღირებულებათა სისტემა. ეჩვევიან გუნდურ მუშაობას, ამყარებენ პოზიტიურ ურთიერთობებს, მოსწავლეებს უყალიბდებათ პასუხისმგებლობა და ემპათია.

წარმოდგენილი საგნობრივ პროგრამებში საგნობრივი საკითხები შერჩეულია იმგვარად, რომ ისინი არც ძალიან იოლი და არც ძალიან რთული იყოს მოსწავლისთვის. ეს ასახულია საბაზო საფეხურის განმავითარებელი შეფასების კერძო რუბრიკაში. გასაუბრების კი გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე შემავალ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს (და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის ,,ვალდებულებას“).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ბერიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

---

საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მასწავლებლის მიერ შეთავაზებული მრავალფეროვანი აქტივობები და რესურსი უზრუნველყოფს შემოქმედებითი უნარების განვითარებას.
კურილულემებში გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები, რომლებიც ასახავს სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს და ცხოვრების ჯანსაღი წესის, აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი პროექტები, ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ, ფსიქო-ემოციურ განვითარებას და კეთილდღეობას.
მათემატიკის და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის მიხედვით დაგეგმილი სასწავლო პროცესი, კომპლექსური დავალებების გასიტყვების ნაწილი, მოსწავლის პერფომანსი, მოემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამებ**

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში, რომელიც სკოლას ნიმუშის სახით აქვს წარმოდგენილი, ჩანს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერა. ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივმა კათედრამ წარმოადგინა შეფასების რუბრიკები, (კითხვის, წერის, ჩართულობის, ზეპირმეტყველების, პრეზენტაციის) ასევე აქვთ სოლო ტაქსონომიით მოსწავლის შეფასების გამოცდილება, გაცნობიერებული აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მიზნობრიობა სწავლა-სწავლების პროცესში,მომავალი სასწავლო წლისათვის შერჩეული აქვთ განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი ,ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ 2023-2024 სასწავლო წლიდან , თემებთან მიმართებით,სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაყრდნობით, შქმნიან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს.
შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. შეფასების სისტემა(განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. კათედრას შემუშავებული აქვსსტანდარტის შესაბამისი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
შეფასების ფორმები , დონეები და რუბრიკები მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში,სადაც აღინიშნება,რომ მოსწავლეები შეფასების ინდიკატორებისა და რუბრიკების შესახებ ინფორმაციას.სავალდებულო პროექტების სწავლებისას მოსწავლეთა შეფასება განმავითარებელი შეფასების რუბრიკით ხდება, რომელიც მასწავლებლის მეთოდურ სახელმძღვანელოშივეა, მასწავლებელს თავისუფლად შეუძლია მისი გამოყენება, ასევე მტკიცებულების სახით მათ აქვთ უკვე დაწყებით და საბაზო საფეხურზე განმავითრებელი შეფასების რუბრიკები,შეგვიძლია დავასკვნათ რომ მასწავლებლები იცნობენ შეფასების სახვადასხვა მეთოდებს , ეს შეფასება მოსწავლეების განვითარებისკენ არის მიმართული. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე და ინდიკატორს შეესაბამება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ბერიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----

მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ წარმოუდგენია საშუალო საფეხურის უცხოური ენების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ზოგადი რუბრიკები, გასუბრების შედეგების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ საშუალო საფეზურზეც მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით განიხილება სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ შეფასების სისტემა არ არის ორიენტირებული მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე და ითვალისწინებს მოსწავლის ჩართულობასაც სასწავლო პროცესში. საბოლოოდ, შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასების აუცილებელ კომპონენტებად უნდა განიხილონ დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტირება განვითარების ყველა სფეროს (კოგნიტური, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური) მიხედვით.

სკოლის მიერ წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ეყრდნობა სტანდარტში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენიდან. რომელიც საჭიროებს დახვეწას და რის მზაობასაც გამოხატავს სკოლა, მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიზანმიმართულად გამოიყენება, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

ამჟამად წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმები, როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასებისათვის ნაკლებად ეფუძნება შედეგების მიღწევის ინდიკატორებს, მაგრამ, როგორც შეხვედრიდან გამოიკვეთა (თვითშეფასების კითხვარშიც წერენ), მომავალი სასწავლო წლისათვის კათედრა გეგმავს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნას, მასწავლებლები შეიმუშავებენ შეფასების მეთოდოლოგიას,შეფასების კრიტერიუმებს, გაითვალისწინებენ მოსწავლის საჭიროებებს,გამოკვეთენ,რომელ სასწავლო შედეგს მიემართება შეფასება,შესაბამისად,შეფასება იქნება ვალიდური.მოსწავლეებს ეცოდინებათ, თუ როგორ შეფასდება მათი ცოდნა- ამ შემთხვევაში შეფასება იქნება გამჭირვალე, ობიექტური და სამართლიანი. თითოეული ქულა იქნება რეალისტური ,დახვეწილი და არაორაზროვანი. ამ შემთხვევაში ,კი, შეფასება იქნება სანდო.

წარმოდგენილ საგნობრივი პროგრამებიდან ჩანს, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა არის: ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო , ობიექტური და სამართლიანი. ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების სისტემური ხედვა და მზაობა რომ შეფასების კონცეფციის, მეთოდიკური ორიენტირებისა და მიდგომის შემუშავებით შეარჩიონ შეფასების ინსტრუმენტი (მაგ., შეიძლება მასწავლებელმა დაგეგმოს პოტფოლიოების, ჟურნალების, დღიურების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ბერიშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----

გამოყენება, რადგან ეს მიდგომა და დიზაინი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს განახორციელონ რეფლექსია, შეაფასონ საკუთარი ნამუშევარი და მონიტორინგი გაუწიონ სწავლის პროგრესს), განსაზღვრონ შეფასების ინსტრუმენტი და შეიმუშაონ შეფასების კრიტერიუმები.

მასწავლებლები ფლობენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს და წარმატებით იყენებენ პრაქტიკაში, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს(პრეზნტაცია), ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელთან გასაუბრების დროს კი გამოიკვეთა რომ მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში გათვალისწინებულია ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შეფასების სისტემის განვითარება და დახვეწა, რომლებიც სრულად დააკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და მათემატიკის საგნობრივი კათედრები, შეფასების რუბრიკების გამჭვირვალეობის მიზნით, გეგმავს მათ გასაჯაროებას. სასწავლო პროცესში გამოყენებისას კი იზრუნებს ობიექტურობასა და სამართლიანობაზე. კომპლექსური დავალების ბარათები ეგზავნებათ მოსწავლეებს და ასევე, ეცნობიან მშობლებიც, კომპლექსურ დავალებებში კი ჩაშენებულია შეფასების კრიტერიუმები. ამიტომ ვალიდურობა და გამჭვირვალეობა ნათლად ჩანს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

სკოლაში შემუშავებული აქვთ შიდა ვერიფიკაციის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა მექანიზმს, მათ შორის- სემესტრულ გამოცდას. ამ ეტაპისთვის კათედრას წარმოდგენილი აქვს დიაგნოსტიკური შეფასების ანალიზი, კომპლექსური დავალების ანალიზი, მოსწავლეთა პროგრესის ამსახველი მასალა ფუნქციურ-კომპონენტური უნარების თავლსაზრისით, შემაჯამებელი დავალების ანალიზი. გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ კათედრა გეგმავს, მომავალი სასწავლო წლისათვის ვერიფიკაციის მექანიზმების დახვეწას, მოსწავლეთა ნამუშევრების გაანალიზებას, მოსწავლეთა და მასწავლებელთა პორტფოლიოების შექმნას. როგორც პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, კათედრის შეხვედრებზე განიხილება მოსწავლეების მიღწევების აღწერა და ხდება გაანალიზება, თუ რამდენად ასრულებს არსებული შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწვლა-სწვალების პროცესის საყრდენს. მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემის დახვეწა-განვითარება მუდმივად ხორციელდებოდეს, რათა მოსწავლეებმა შეიძინონ ის მნიშვნელოვანი ცოდნა და უნარები, რაც მათ დასჭირდებათ არა მხოლოდ სკოლაში, უმაღლეს განათლებაში, სამუშაო ადგილზე, არამედ მთელი ცხოვრების მანძილზე წარმატების მისაღწევად.

სკოლის თვითშეფასების განაცხადის ნარატივში წარმოდგენილი ვერიფიკაციის მექანიზმები და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგის ინტერვიუ ადასტურებს, რომ შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ კათედრები, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია და დაკვირვების შედეგად ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა მოქმედ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ბერიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

----

სტანდარტებთან. სკოლა გეგმავს სასკოლო პრაქტიკაში დამკვიდრებული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები აქციოს წერილობით დოკუმენტად, რომელშიც გაიწერება სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის მეთოდოლოგია.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას ჩამოყალიბებული აქვს მოსწავლეების აკადემიური მიღწევების შეფასების სისტემა, როგორ ახორციელებს შეფასების სიტემის ვერიფიკაციას და ზოგადად სასწავლო პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. საშუალო საფეხურზე წარმოებული ელექტრონული ჟურნალები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ამასთანავე ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმები;
2. კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები;

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ყურაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----
----

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სკოლის მიერ შემუშავებულ სასკოლო სასწავლო გეგმაში, აღნიშნულია სკოლის მისია და ხედვა, რამდენად გეგმავს და წარმართავს სკოლა მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, ასევე, სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი პროგრამები, რომლებიც აძლევს საშუალებას მოსწავლეებს პიროვნული ზრდისთვის, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე და სასწავლო პროცესის მხარდამჭერი და გაუმჯობესების გზის მაჩვენებელია და ა.შ. იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია პოზიტიური გარემო, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გააქტიურებას. (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა, პასუხისმგებლობა, ეთიკა.

სკოლის მიერ შემუშავებულ სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი სკოლის მისია, ხედვა, სასწავლო გარემო, საგნობრივი პროგრამები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის შეფასების წესები დამატებითი მომსახურეობა და ა.შ ემსახურება მიმღებლობით და მხარდამჭერი გარემოს შექმნას; ინტერვიუს შედეგად ასევე გამოვლინდა, რომ მასწავლებლებს შორის ხდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება, რჩევების მიცემა და გამოცდილების გაზიარება. ყოველივე ზემოთ აღნიშნული იძლევა იმის საუძველს, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო.

სასწავლო პროცესის მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნა მნიშვნელოვანი ნაწილია სკოლის განვითარებაში. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელთან ინტერვიუდან გამომდინარე სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის მხარდამჭერ და მიმღებლობის გარემოს. ითვალისწინებდა მათ ინტერესებს და სკოლის ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე გეგმავს სპორტულ აქტივობებს. რაც ერთ-ერთი საშუალებაა მოსწავლეებში ნდობის და დადებითი გარემოს უზრუნველსაყოფად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

სკოლას შემუშავებული აქვს საშუალო საფეხურზე საგნების კურიკულუმი და დაგეგმილი აქვს სასწავლო პროცესი შუალედური სასწავლო მიზნებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით სწავლება პედაგოგს საშუალებას აძლევს უზურნველყოს ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში, მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარება და შექმნას ეფექტური გარემო მოსწვალეთა პოტენციალის რეალიზებისთვის.

სკოლის თვითშეფასების ფორმაში ასახულია სასწავლო პროცესის წარმართვის მექანიზმები, რომელიც არის მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო და უსაფრთხო გარემო, სკოლა ამისთვის იყენებს მართვის ეფექტიან სტრატეგიებს, კერძოდ, მშობელთან კომუნიკაცია, სოციალურ მუშაკებთან ინფორმაციის გაზიარება გამოსავლის მოძებნის მიზნით, პრობლემებთან ჩაღრმავება იდენტიფიცირებისა და მოგვარების თვალსაზრისით. მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოში, ხშირ შემთხვევაში, ითვალისწინებენ მოსწავლეთა არჩევანსაც- თუ სად, როდის და როგორ უნდა სწავლა. სასწავლო პროცესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ხელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

----

ორიენტირებულია მოსწავლის თვითრეგულაციის (თვითრეგულაციური ციკლის) განვითარებაზე. მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვას სახის სპორტულ ოლიმპიადებში, სასკოლო სპორტულ ფესტივალებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებსაა მორგებული და მათზეა ორიენტირებული.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას. სკოლა უზრუნველყოფს ეფექტურად დაგეგმოს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია). ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ განსაკუთრებით ინგლისური ენის პედაგოგებს აქვს მჭიდრო თანამშრომლობა და კომუნიკაცია, რაც აისახა მათ მიერ წარმოდგენილ კურიკულუმში და განხორციელებულ პროექტებში.

სკოლის სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს სკოლაში შექმნილია პოზიტიური და მეგობრული გარემო, მოსწავლეებს, მშობლებს და სკოლის თანამშრომლებს ყოველთვის შეუძლიათ დააფიქსირონ საკუთარი აზრი სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, ხშირად ხდება მათი პოზიციის გათვალისწინება. დამკვიდრებული გამოცდილება პედაგოგების თანამშრომლობის სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან, მშობლებს, სამეურვეო საბჭოს აქვთ საშუალება გაეცნონ სკოლის სასწავლო პროცესში შემოთავაზებულ ინოვაციებს, ახალ მეთოდებს, ,,ახალი სკოლის“ მოდელის ფარგლებში კურიკულუმის დანერგვის პროცესის მექანიზმების შესახებ. მშობლებს აქვთ ინფორმაცია საშუალო საფეხურზე ჩატარებული სპორტულ ფესტივალის შინაარსის შესახებ სკოლა გეგმავს მშობლების კომპონენტის გაძლიერებას, პროექტული სწავლების გამოყენებით, სასკოლო თემის ჩართულობას სკოლის განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ შექმნილია სკოლაში პოზიტიური გარემო სკოლისა და კლასის დონეზე, შესაბამისად სასკოლო საზოგადოების წევრები ინტენსიურად არიან ჩართული სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში, გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებსა და არაფორმალური განათლების მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებს, რომელიც ასახული და გაწერილი აქვთ ერთ წლიან სამოქმედო გეგმაში.

სკოლაში სათანადოდ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. თუმცა აქვს გაუმჯობესების მეტი მზაობა. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელთან გასაუბრებიდან გამომდინარე სკოლაში ყოველთვის ატარებდნენ სპორტულ საკლასო და სასკოლო ღონისძიებები. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში შექმნილი და გადამუშავებული კურიკულუმები კიდევ მეტად გააქტიურებს ამ პროცესს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ბერიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

----

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმი;
2. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
3. სკოლის შინაგანაწესი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

v შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ბერიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----

სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია სასკოლო სასწავლო გეგმაში; თუმცაღა არ არის დაზუსტებული გამოკვეთლი მონიტორინგის და შეფასების მიზნები და ამოცანები, თუ რა პრობლემები გამოიკვეთა, რა არის მისი გამოწვევი მიზეზები, რა ნაბიჯები გადაიდგმება, რა ინტერვენციები განხორციელდება ამ პრობლემის მოსაგვარებლად და როგორ დავრწმუნდებით, რომ განხორციელებულმა ინტერვენციებმა წარმატებით გადაჭრა პრობლემა. გამომდინარე ნათქვამიდან სკოლაში კურიკულუმით განსაზღვრული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები არის შესამუშავებელი, სამომავლოდ იგეგმება მონიტორინგზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნა, რომელიც შეიმუშავებს მეთოდოლოგიას, ანალიზს გაუკეთებს მოგროვილ მასალას და დაკვირვების საფუძველზე დაადგენს საჭიროებებს. სასურველია სკოლამ კურიკულუმის მონიტორინგის მეთოდოლოგიის შემუშავების დროს გადადგას შემდეგი ნაბიჯები: გამოკვეთოს მიზნები და ამოცანები, თუ რა პრობლემის გადაჭრას ცდილობს კურიკულუმი, რა არის მისი მიზანი, რა ნაბიჯები გადაიდგმება, რა ინტერვენციები განხორციელდება ამ პრობლემის მოსაგვარებლად და როგორ დავრწმუნდებით, რომ კურიკულუმით წარმოებულმა პროცესებმა წარმატებით გადაჭრა პრობლემა.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

სასკოლო სასწავო გეგმაში, ასევე, პედაგოგებთან ინტერვიუს შემდეგ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მონიტორინგის და შეფასების სისტემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღქმულია ერთ-ერთ საჭიროებად. მნიშვნელოვანია, სკოლაში შემუშავებულმა მონიტორინგისა და შეფასების სისტემამ სკოლის მენეჯმენტის გუნდს მისცეს საშუალება, ისწავლოს წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით და გააუმჯობესოს სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. მონიტორინგისა და შეფასების სისტემამ უნდა შექმნას წინაპირობა მოსწავლეების და მასწავლებლების მუშაობის გაუმჯობესებისათვის და უკეთესი აკადემიური შედეგების მიღწევისთვის. სკოლის სპორტისა და ესთეტიკის კათედრასთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში ხდება გაკვეთილზე დასწრება, უკუკავშირის, რეკომენდაციების მიცემა. ამასთანავე, ხდება მასწავლებელთა მიერ რეფლექსიის შედგენა. აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. იკვეთება რომ კათედრები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ, დანერგილ გამოცდილებას. საფეხურებისა და კლასების მიხედვით. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგები ჩართული არიან აღნიშნულ პროცესში. რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და გამოხატავს სასკოლო საზოგადოების წევრების ერთგვარ მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

მნიშვნელოვანია, სკოლამ გამოკვეთოს სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში თუ როგორ ესახება მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოკვეთილი ძირითადი პრობლემების გადაჭრის გზები და საშუალებები, სკოლამ

ანალიზზე დაფუძნებით უნდა შეიმუშავოს პრიორიტეტული და სტრატეგიულ ხედვა კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისთვის და ასახოს სამოქმედო გეგმასა და სასკოლო სასწავლო გეგმაში.
მონიტორინგის და შეფასების შედეგად თუ რა პრობლემები გამოიკვეთა და რა გადაჭრის გზები/საშუალებები განხორციელდა ნაკლებად არის წარმოდგენილი ერთწლიან სამოქმედო გეგმაში და სკოლის თვიშეფასების ფორმაში. მნიშვნელოვანია, სკოლამ გამოკვეთოს სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში თუ როგორ ესახება მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოკვეთილი ძირითადი პრობლემების გადაჭრის გზები და საშუალებები, სკოლამ ანალიზზე დაფუძნებით უნდა შეიმუშავოს პრიორიტეტული და სტრატეგიულ ხედვა კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისთვის და ასახოს სამოქმედო გეგმასა და სასკოლო სასწავლო გეგმაში.
მიმდინარე ეტაპზე სკოლაში დანერგვის ეტაპზეა კურიკულუმის მონიტორინგი/შეფასება, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი, სასწავლო პროცესში შედეგების შეფასება ხდება კათედრების დონეზე, რომელნიც ანალიზს წარმოადგენენ პედაგოგიური საბჭოს შემაჯამებელ სხდომაზე. ანალიზი ეხმარება სკოლას /კათედრებს / საფეხურებს პრობლემების იდენტიფიცირება/მოგვარებასა და სამოქმედო მიზნების განსაზღვრაში.
სამომავლოდ სკოლა გეგმავს განვსაზღვროს, როგორც ხელისშემშლელი ფაქტორები, ასევე არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის. სკოლას განსაზღვრული აქვს მონიტორინგის ანალიზებზე დაფუძნებით შეიმუშავოს პრიორიტეტული და სტრატეგიული ხედვები; კურიკულუმში წინარე წარმატებული გამოცდილების გათვალისწინება მოხდება ურთიერთდასწრების ანალიზებისა და შეფასების მასალების საფუძველზე.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მე-10 კლასის გეოგრაფიის, მოქალაქეობის, ისტორიისა და საქართველოს ისტორიის საგნობრივი კურიკულუმები;
2. კურიკულუმი;
3. სკოლის ერწლიანი სამოწმედო გეგმა;
4. სკოლს თვიშეფასების ფორმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ბერიშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა კომპლექსურია და მოიცავს სხვადასხვა მიმართულებას. მოსწავლე არ ფასდება ცალსახად, მხოლოდ მის მიერ გამოვლენილი ცოდნის საფუძველზე, მისი შეფასებისას ხდება სხვა ფაქტორების გათვალისწინებაც. შეფასების ჰოლისტური ხასიათის გათვალისწინებით, დანერგილია ერთიანი და სისტემური მიდგომა, მიმდინარე ეტაპზე სკოლა იყენებს შეფასების რუბრიკებს საგნობრივი მიმართულებით, პედაგოგების ინტერვიუდან გამომდინარე საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენება სიტყვიერი კომენტარი, რომელიც მიმართულია მოსწავლის დადებითი მხარის წარმოსაჩენად და რჩევების ზუსტად და გასაგებად მიცემაში, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეების განვითარებას და სასწავლო პროცესის შედეგების გაუმჯობესებას.

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია , რომ სკოლა განახორციელებს პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას. თუმცაღა არ არის დაკონკრეტებული რა მეთოდებით და ინსტრუმენტებით მოხდება მონიტორინგი და შეფასება. შეფასება სასურველია მოიცავდეს მონაცემების შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს და ხორციელდებოდეს სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

საშუალო საფეხური გვაძლევს შესაძლებლობას, მოსწავლეს დავაკვირდეთ და შევაფასოთ სხვადასხვა კონტექსტში, და მოვიტანოთ რეალისტური დასკვნები მისი სწავლის საჭიროებისა და უნარების შესახებ; სკოლა მოსწავლეს ხედავს სხვადასხვა კონტექსტში და ცდილობს მის წარმოჩენას/ შეფასებას. შეფასების დროს გათვალისწინებულია ყველა ინდივიდუალური ფაქტორი (შესაძლებლობები, უნარები, გამოცდილებები, წინაპირობები, პიროვნულობა, თვითგანსაზღვრა და სხვა) ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ბერიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----

შესაბამისად, მასწავლებლები ამ ფაქტორების გათვალისწინებით აღიქვამენ მოსწავლეებს, და ამის მიხედვით მუშაობენ ინდივიდუალურად მათთან, ხელს უწყობენ მოსწავლეებს შედეგის/წარმატების მიღწევაში.

სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ფორმაში ჩანს, რომ შეფასება ხორციელდება ,, ანალიზის ან/და კვლევის საფუძველზე, პროცესზე დაკვირვებით,სასწავლო წლის ბოლოს, კათედრის წევრები ინდივიდუალურად ახდენენ კურიკულუმის თვითშეფასებას შეთანხმებული ინსტრუმენტებით“, თუმცაღა არ არის წარმოდგენილი საკუთრივ რა შეთანხმებული ინსტრუმენტებით. მნიშვნელოვანია, რომ შეფასების განხორციელებისას, (რომლის ერთერთი ფორმაა პედაგოგიური პარაქტიკის კვლევაც), გათვალისწინებული იყოს მრავალი კონტექსტი. ეს კონტექსტები შეიძლება იყოს: კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის მართებულობას სწორედ ეს მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს.

მნიშვნელოვანია, რომ პედაგოგიური პარაქტიკის კვლევისას, რომლის მიზანია შეისწავლოს რამდენად ეფექტურია მისი შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, გათვალისწინებული იყოს მრავალი კონტექსტი. ეს კონტექსტები შეიძლება იყოს: კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის მართებულობას სწორედ ეს მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

სკოლაში შეფასების ვალიდურობის უზრუნველსაყოფად მონაცემთა მიზნობრივი შეგროვებისა და ანალიზის პროცესს ახორციელებენ. ამ პროცესში მნიშვნელოვნად გამოიყენება მონაცემთა მოპოვების. სიტუაციის, მოვლენის, მოსწავლის უნარისა და შესაძლებლობების ასპექტები. საშუალო საფეხურზე გადამწყვეტია მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაციის მიღება, რაც შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით, ეს კი საკითხის შესწავლის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. სამომავლოდ, ამ მიმართულებით, სკოლა გეგმავს, შეფასების მეთოდოლოგიის დახვეწას , რათა დაბალანსდეს თითოეული მეთოდის სუსტი მხარეები და აქცენტი გაკეთდეს გაძლიერებაზე.

შეფასების ვალიდურობა დამოკიდებულია ბევრ მნიშვნელოვან ფაქტორზე, მათ შორის მონაცემთა მოპოვების მეთოდებზე. წარმოდგენილ დოკუმეტაციაზე დაყრდნობით და ასევე ინტერვიუს საუძველზე დადგინდა, რომ სკოლა იყენებს ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდებს. სკოლა სამომავლოდ გეგმავს დახვეწოს და გაამრავალფეროს შეფასების მეთოდები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ხელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

---

შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს ხედვის პერსპექტივაში მოვლენის, სიტუაციის, ინდივიდის შესწავლას, იაზრებს მოსწავლის სწავლის პროცესზე მოქმედ სხვადასხვა ფაქტორს. მულტი ფაქტორული მიდგომა ეხმარება მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებაში და სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებაში, სწავლის უნარების დეფიციტის იდენტიფიცირებასა და გაუმჯობესების გზების მოძიებაში;

.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან (თვითშეფასების ფორმით) ჩანს, რომ სკოლა იყენებს შეასების მულტიფაქტორულ (თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, კვლევა, დიაგნოსტიკური შეფასება და ა.შ) ფორმებს და გეგმავს, რომ სამომავლოდ კიდევ უფრო სიღრმისეულად გაითვალისწინოს შეფასების სხვადასხვა ფაქტორები.

სასურველია სკოლამ სამომავლოდ შეფასებისას გამოიყენოს მრავალმხრივი მიდგომა, რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას.

პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ შეფასებას ახორციელებს სკოლა სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით და ითვალისწინებს კლასის, მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. სასურველია სკოლამ შეფასებისას გამოიყენოს მრავალმხრივი მიდგომა, რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმი;
2. შეფასების ფორმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- [v] **შეესაბამება**
- [ ] მეტწილად შეესაბამება
- [ ] ნაწილობრივ შეესაბამება
- [ ] არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ბერიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------

----

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
სასკოლო სტრუქტურის ყველა დონეზე ყოველი სასწავლო წლის ბოლოს თითოეული მასწავლებელი აკეთებს თვითშეფასებას მის მიერ შედგენილი საგნობრივი კურიკულუმის შესახებ, ხდება მიღწეული და მისაღწევი შედეგების გაანალიზება. საკუთარ ანალიზებზე დაყრდნობით კათედრები გამოკვეთენ ძლიერ და სუსტ მხარეებს, და გაწერენ წლიურ სამოქმედო გეგმას, სადაც პასუხისმგებლობები და შესასრულებელი საქმიანობები დელეგირებულია თითოეულ წევრზე; კურიკულუმის განვითარების მიზნით სკოლასთან თანამშრომლობენ საგნობრივი ექსპერტები. წლის განმავლობაში, ეტაპობრივად ესწრებიან გაკვეთილებს, აწარმოებენ დაკვირვებას და დაკვირვების შედეგებს მასწავლებლებს აწვდიან უკუკავშირის სახით.
სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კათედრის შეხვედრაზე, პედაგოგები განიხილავენ როგორ მიდის კურიკულუმზე მუშაობის პროცესი, როგორ ხდება მონაცემების შეგროვება და დამუშავება. კურიკულუმი და სამოქმედო წლიური გეგმა, რომელიც სკოლას აქვს წარმოდგენილი ასახავს სკოლის პრიორიტეტებს და მოქმედების არეალს, რომელშიც გათვალისწინებულია სკოლის გამოცდილება, მისი ძლიერი მხარეები და გამოწვევები.
სასურველია გაითვალისწინებულ იქნეს,, რომ კურიკულუმის განვითარება გულისხმობს მუდმივ შესწავლას და რეფლექსიას. კურიკულუმი და სამოქმედო წლიური გეგმა, ასახავდეს სკოლის პრიორიტეტებს და მოქმედების არეალს, რომელშიც გათვალისწინებულია სკოლის გამოცდილება, მისი ძლიერი მხარეები და გამოწვევები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ბერიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----

სასწავლო პროცესი ქმნის მოსწავლის გამოცდილების უწყვეტობას. ვინაიდან სკოლაში კურიკულუმის დანერგვა მუდმივ ინტერაქციას გულისხმობს დაწერილ/დაგეგმილ და რეალიზებულ პროცესებს შორის, აუცილებელია მისი, როგორც უწყვეტი ციკლის გააზრება. ეს ედება კურიკულუმის გადამუშავებულ ვერსიას საფუძვლად.
მიმდინარე ეტაპზე მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები სამომავლოდ აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. სკოლა გეგმავს, სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში ასახოს მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების მონაცემები და ა.შ. განსზღვრულია, რომ არსებული გამოცდილება გათვალისწინებულ იქნეს როგორც კლასის, ასევე საფეხურის დონეზეც.
უცხოური ენების კათედრასთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ კათედრა გეგმავს ყოველწლირად განიხილოს სასკოლო კურიკულუმი და შეიმუშავოს სასკოლო კურიკულუმის გაუმჯობესებული ვერსია. მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახოს ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. ეს გამოცდილება გათვალისწინებული შეიძლება იყოს, როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის დონეზეც. სკოლამ ყოველწლიურად უნდა შეიმუშაოვოს კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია და ასახოს სავალდებულო თემების სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესება.
საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ გეგმავენ ყოველწლირად განიხილნს სასკოლო კურიკულუმი და შეიმუშავონ სასკოლო კურიკულუმის გაუმჯობესებული ვერსია. მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახოს ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. ეს გამოცდილება გათვალისწინებული შეიძლება იყოს, როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის დონეზეც. სკოლამ ყოველწლიურად უნდა შეიმუშაოვოს კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია და ასახოს სავალდებულო თემების სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესება
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა;
2. თვითშეფასების ფორმა;
3. საგნობრივი კურიკულუმები;

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ბერიშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

v შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

02 ოქტომბერი 2023 წელი
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ---- ქ. ყურაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები ----------
----